



საქართველოს  
ზიზლიოთეკა

Кієвъ. Публічна бібліотека.



იაროსლავ ბრძენის სახელობის  
უკრაინის ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალურ ორგანოს. გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ ურიგდებათ საქართველოს ბიბლიოთეკებს; ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება ელექტრონული ფორმით მისამართზე: **sakartvelosbiblioteka@gmail.com**

ავტორების მიერ სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ იღებენ პასუხისმგებლობას მასალების შინაარსზე.

მთავარი რედაქტორი:	<b>მაია მიქაბერიძე</b>
საპატიო რედაქტორი:	<b>ალექსანდრე ლორია</b>
სარედაქციო კოლეგია:	<b>გულნარა სტურუა რუსუდან ასათიანი დალი მაჩაიძე გიორგი ჩუბინიძე მირიან ხოსიტაშვილი</b>
ტექნიკური რედაქტორი:	<b>ლოლა სანაია</b>
დიზაინი:	<b>გიგი გელაშვილი</b>
დაკაბადონება:	<b>რევაზ თხილიშვილი</b>

საქართველოს ბიბლიოთეკა №1 (86) – 2022; გამოიცემა 2000 წლიდან.  
©საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ლოგოში გამოყენებულია გრაფიკორ გრიგოლ ტატიშვილის მიერ შესრულებული ქართული ანბანის ასოთა ბმული.

ISSN 1512-0880  
www.nplg.gov.ge  
www.gela.org.ge



**www.fb.com/magazineLibraryofGeorgia**



# შინაარსი

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

**რუსუდან ასათიანი**  
მიმართვა

3

რედაქტორისაგან

**მაია მიქაბერიძე**  
მიმართვა

4

უკრაინა ომის ქარცეცხლში

**ლოლა სანაია**  
ბრძოლა თავისუფლებისთვის..!

5

**ლარისა ლუგოვა**  
წერილი ომიდან

8

**ნატალია ელიზბარაშვილი**  
ჩემი უკრაინა

10

**ჩვენი თანადგომა უკრაინას**

12

ახალი გამოცემები  
**„მწვანე ქალაქი“**

16

**„ქალები ბიბლიოთეკებიდან“**

17

საბიბლიოთეკო საქმე: საბიბლიოთეკო მენეჯმენტი.

საერთაშორისო ურთიერთობები

**მაია სიმონიშვილი**

საბიბლიოთეკო სამყაროს სიახლეები  
პანდემიის ფონზე

18

**ფერდინანდ ჩიჯიოკე, ნგოზი ოკვორი,**  
**ემანუელ ჩუკვუდი იჰუკვობა**

ბიბლიოთეკის სივრცე და ადგილი  
(თარგმნა გიორგი კილაძემ)

22

ნიუნის ისტორია

**დავით გურგენიძე**  
ჭადრაკი მზითვის წიგნში

30

**მარიამ გუნია**

ბერნარ ლე ბოვიე დე ფონტენელი.  
საუბრები სამყაროთა სიმრავლეზე

32





საქართველოს ბიბლიოთეკები: დაარსების  
ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა

**მაკა გეგეგშიძე**

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო  
უნივერსიტეტი და მისი ბიბლიოთეკა

37

რეცენზია, მიმოხილვა, შთაბეჭდილებები

**ალექსანდრე ლორია**

ინფორმაციულ-ბიბლიოგრაფიული თვალსაზრისი  
(როლანდ თოფჩიშვილის ახალი წიგნები)

40

ბიბლიოთეკა და საზოგადოება

**მონაზონი იოანე (მამუკა) ცუხიშვილი**

ბიბლიოთეკა - ჩემი სამყაროს ნაწილი

42

ღირსეული მამულიშვილები

**ირმა კეკელიძე**

კონსტანტინე მიქაბერიძე - ექიმი, საზოგადო  
მოდვანე, ფილანტროპი

44

ბიბლიოთეკის ჩანაწერები

**ლევან თაქთაქიშვილი**

წიგნი ჩემი მონარქია

47

ღვანულამოსილი ბიბლიოთეკარები

**ჟანა ქვათაძის გახსენება**

**დარეჯან ხვედელიძე**

პორტრეტი ბიბლიოთეკის ინტერიერში

57

**ნანა ხვედელიანი**

მაინც ვერ გაგაწარსულე...

58

**კოტე ალიბეგაშვილი**

თინათინ ყანდარელის გახსენება

59

ხელოვნება

**დავით გიგინეიშვილი**

ვიტორიო დე სიკას გაკვეთილები

61

**ეროვნული ბიბლიოთეკის  
2021 წლის გამოცემები**

63



**რუსუდან ასათიანი**

საქართველოს საბიბლიოთეკო  
ასოციაციის პრეზიდენტი

წინამდებარე ნომერი გამოიცა ურთულეს პერიოდში, როდესაც რუსეთმა წამოიწყო ომი უკრაინასა და მთელი ცივილიზებული სამყაროს წინააღმდეგ.

რუსეთმა ამ ომით დაიწყო უკრაინელი ხალხის, სახელმწიფოსა და კულტურის განადგურება: ბიბლიოთეკების, მუზეუმების, უნივერსიტეტებისა და სკოლების, რაც საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევაა.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია მჭიდროდ თანამშრომლობს უკრაინის საბიბლიოთეკო ასოციაციასთან. უახლოეს მომავალში იგეგმება ფართომასშტაბიანი ონლაინ შეხვედრა, სადაც ბიბლიოთეკარები მთელი უკრაინიდან გაგვიზიარებენ რეალურ ისტორიებს იმაზე, თუ რა ზიანი მიადგა უკრაინას და მის საბიბლიოთეკო სისტემას ომის შედეგად და როგორ უმკლავდებიან ისინი რუსეთის აგრესიას.

უკრაინის საბიბლიოთეკო ასოციაციამ უკვე დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ უნდა გადარჩეს მათი კულტურული მემკვიდრეობა. ჩვენი შეხვედრის დროს განვიხილავთ ამ თვალსაზრისით დაგეგმილ აქტივობებს. საუბარი შეეხება იმასაც, თუ როგორ შეუძლია

**ძვირფასო  
მეგობრობო!**

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციას, დაეხმაროს უკრაინელ კოლეგებს ომის შედეგად დაზარალებული კულტურული მემკვიდრეობის აღდგენის საქმეში.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია ემიჯნება რუსეთის საბიბლიოთეკო ასოციაციის ცინიკურ და არაპროფესიონალურ განცხადებას უკრაინაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ემიჯნება ყველა პრორუსულ პროპაგანდას და უერთდება უკრაინას ყველა იმ ქმედებაში, რომლებიც მიმართულია რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ.

ამ პერიოდში საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია უკრაინის საბიბლიოთეკო ასოციაციასთან ერთად მუშაობს საგანგებო რეჟიმში, რაც გულისხმობს კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენისთვის ერთობლივ მუშაობას და ამისათვის საჭირო აქტივობების დაგეგმვას.

მოხარული ვარ, რომ წინამდებარე ნომერი მთლიანად ეძღვნება უკრაინას. ეს ქვეყანა ბევრად მეტს იმსახურებს ჩვენგან. ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რაც შეგვიძლია უკრაინის ბიბლიოთეკების მხარდასაჭერად.

ჩვენი და უკრაინის საბიბლიოთეკო ასოციაციის სამომავლო თანამშრომლობის შესახებ მეტი დეტალის გასაგებად თვალი ადევნეთ ჩვენს Facebook გვერდს: <https://www.facebook.com/GeorgianLibraryAssociation2000>



მაია მიქაბერიძე

## ჩვენო მკითხველებო!

რთულად დაიწყო ახალი, 2022 წელი. ჯერ კიდევ არ დასრულებულა კოვიდ-პანდემია, რომელმაც მსოფლიო გააერთიანა უხილავი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ ახალი განსაცდელი გაჩნდა – რუსეთი უკრაინაში შეიჭრა და იმპერიულ-შოვინისტური წესრიგის დამყარებას შეეცადა.

საბედნიეროდ, მსოფლიომ გააცნობიერა, რომ ომი უკრაინაში მხოლოდ ერთი ქვეყნის პრობლემა არ იყო და ისევ გაერთიანდა, ამჯერად უკვე, ხილული ბოროტების წინააღმდეგ. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ერთიანი ძალისხმევა სასიკეთო შედეგს გამოიღებს და ისეთი მშვიდობა დამყარდება, როგორც ცივილიზებული სამყაროს ეკადრება.

ომის უპირველესი ტრაგიკული შედეგი ადამიანების დაღუპვაა. დანგრეულ სახლებს ააშენებენ, ეკონომიკას ააღორძინებენ, მაგრამ იმ ადამიანებს არაფერი ეშველება, რომელთა სიცოცხლე ასე უაზროდ შეიწირა ომმა. გარდა ადამიანური დანაკარგისა, ომმა სერიოზულად შეაფერხა ცხოვრება უკრაინაში. ყველა სხვა სფეროს მსგავსად, დაზარალდა საბიბლიოთეკო საქმეც.

საქართველო საბიბლიოთეკო საზოგადოება საქართველოს მთელ მოსახლეობასთან ერთად ძლიერ განიცდის მეგობარი ქვეყნის მძიმე მდგომარეობას. გამუდმებით თვალ-ყურს ადევნებს უკრაინიდან წამოსულ ინფორმაციას როგორც საბრძოლო მოქმედებების, ასევე სხვა საკითხების შესახებ.

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია შეეცადა უკრაინელ კოლეგებთან დაკავშირებას, რათა მათი მონათხრობის საშუ-

ალებით ჩვენს მკითხველებს შესაძლებლობა მიეცეთ, მეტი ინფორმაცია მიიღონ უკრაინული ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოთეკარების ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ. წინამდებარე ნომერში გაგაცნობთ ამ თემაზე წერილს, რომლის ავტორია ლარისა ლუგოვა, უკრაინის საბიბლიოთეკო ასოციაციის ვიცე პრეზიდენტი, ლვოვის რეგიონალური საბავშვო ბიბლიოთეკის დირექტორი.

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ სახელით ვუსურვებ უკრაინას გამძლეობასა და მტერზე საბოლოო გამარჯვებას. ჩემი მიმართვა მინდა დავასრულო ფრაგმენტით ცნობილი პოეტის, ჩვენი ყოფილი კოლეგის, ალექსანდრე შანიძის ლექსიდან „უკრაინაში ვიბრძვი ქართველი“, რომელიც 1942 წელს დაინერაფრონტზე. ალ. შანიძე ეროვნულ ბიბლიოთეკაში მუშაობდა გასული საუკუნის 30-იან წლებში. მე-2 მსოფლიო ომში იგი უკრაინულ მიწას იცავდა. მისი ლექსი ერთგვარად ეხმაურება იმ სულისკვეთებას, რითაც დღეს ქართველი მებრძოლენი ებრძვიან ბოროტებას უკრაინაში:

...უკრაინაში ვიბრძვი ქართველი,  
მე აქ მხედრული ფიცით მოვედი,  
რომ ვანადგურო მტერი მძრახველი,  
ქვეყნად სიკეთის დამამხობელი.

ღმერთო, გვიკურთხე ხმალი, მარჯვენა,  
დაგვაძლევინე ეს განსაცდელი,  
ძმებო! სიკვდილი ან გამარჯვება,  
გავიზაფხულოთ სიცოცხლე ძნელი...

1942 წ.

**ლოლა სანია**

Национальна Парламентська  
Бібліотека Грузії

**ლოლა სანია**

საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა

Вторгнення Росії в Україну є найбільшою військовою агресією з часів Другої світової війни в Європі, суверенній державі, і становить загрозу для всього світу. Україну підтримує весь цивілізований світ, і це не дивно. Це боротьба за свободу, не тільки за свободу України, і не тільки за свободу Грузії, а й боротьба за свободу всього світу, за мир у всьому світі!

У ці важкі часи українські бібліотекарі стоять на боці своїх людей. Там, де можливо, бібліотеки продовжують обслуговувати читачів. На цьому етапі особливо важливо боротися з дезінформацією, яка поширюється у кіберпросторі про Україну. Бібліотеки взяли на себе багато інших обов'язків... Війна принесла...

Польові бібліотеки України отримали численні листи підтримки від численних бібліотек різних куточків країни. Мої українські колеги в особистій розмові зі мною часто кажуть: «Ми вдячні всім, хто з нами у цей важкий для України час».

Незабаром настане час перемоги, і розбомблені бібліотеки, музеї, університети, школи та інші пам'ятки України потребують допомоги для їх відновлення. З цією метою Бібліотечна асоціація України разом із Благодійним фондом перераховує всі постраждалі установи та закликає світову спільноту допомогти. Бібліотечна асоціація створила окремий фонд допомоги бібліотекарям, які опинилися у скрутному становищі. На потреби бібліотекарів, які перебувають у зонах активних бойових дій.

Для припинення цієї кривавої війни проти Росії вводяться економічні та інші санкції. Санкції у сфері культури є не менш важливими і певною

**БОРІТЬСЯ ЗА СВОБОДУ...!**

**«Вмирають лише за те,  
заради чого варто жити»**

*Леся Українка*

мірою допоможуть прискорити падіння режиму Путіна та принести мир у освічений світ.

Під час війни бібліотеки працюють інакше. Що зараз відбувається в бібліотеках?

**Тепер** їхні читачі везуть своїх новонароджених не додому, а в підвал бібліотеки, бо це найбезпечніше місце... адже з 24 лютого бібліотеки стали притулком від бомб. Тут сплять їхні діти, тут готують уроки, малюють карти для солдатів...

**Тепер** діти, які звикли до читання, біжать до бібліотеки не за книжками, а щоб уникнути авіаударів, коли чують звук тривоги... Вони біжать і швидко думають, чи стануть вони ціллю ворога. ..

**Зараз** бібліотекарі не обробляють книги і не організують заходи, тепер у них інша функція, вони грають інші ролі – вони стали кухарями, пекарі, кравцями та нянями.

**Зараз** плетуть сітки, шують прапори в укриттях, влаштовують розважальні заходи для евакуйованих та захищених дітей, дбають, щоб кожен день наближав їх до перемоги!

Після частого листування з українськими колегами я вирішив попросити віце-президента Української бібліотечної асоціації надіслати мені листа для публікації в бібліотечному журналі. Вона одразу підготувала листа, який пропонується українською та грузинською мовами. Я також символічно обрав назву: «Лист з війни».

**Хай буде безмарне небо над  
Грузією та Україною...  
Слава Україні! Героям Слава!  
Слава Грузії! Героям Слава!**





# ბრძოლა თავისუფლებისთვის...!

## „ეწირებიან მხოლოდ იმას, რისთვისაც ღირს ცხოვრება“ ლესია უკრაინკა

რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრა ყველაზე დიდი სამხედრო აგრესიაა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომელიც ევროპაში, სუვერენულ სახელმწიფოზე განხორციელდა და საშიშროებას უქმნის მთელ მსოფლიოს. უკრაინას მთელი ცივილიზებული სამყარო უჭერს მხარს და ეს არც არის გასაკვირი. ეს ხომ არის ბრძოლა თავისუფლებისთვის, არა მხოლოდ უკრაინის თავისუფლებისთვის და არც მხოლოდ საქართველოს თავისუფლებისთვის, არამედ ესაა ბრძოლა მთელი მსოფლიოს თავისუფლებისთვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისთვის!

ამ რთულ დროს უკრაინელი ბიბლიოთეკარები თავისი ხალხის გვერდით დგანან. იქ, სადაც ეს შესაძლებელია, ბიბლიოთეკები აგრძელებენ მკითხველთა მომსახურებას. ამ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა, რაც კიბერსივრცეში ვრცელდება უკრაინასთან დაკავშირებით. ბიბლიოთეკებს თავიანთ თავზე აქვთ აღებული სხვა მრავალი ვალდებულებაც...

საველე პირობებში მყოფმა უკრაინის ბიბლიოთეკებმა უამრავი მხარდაჭერის წერილი მიიღეს სხვადასხვა ქვეყნის უამრავი ბიბლიოთეკებისგან. ჩემთან პირად საუბარში ხშირად აღნიშნავენ ჩემი უკრაინელი კოლეგები: „ჩვენ მაღლობელი ვართ ყველასი, ვინც ჩვენთან ერთად არის უკრაინისთვის ამ რთულ დროს“.

მაღე დადგება ჟამი გამარჯვებისა და უკრაინის დაბომბულ ბიბლიოთეკებს, მუზეუმებს, უნივერსიტეტებს, სკოლებსა და სხვა ღირსშესანიშნავ ძეგლებს დასჭირდებათ დახმარება მათი აღდგენისთვის. უკრაინის საბიბლიოთეკო ასოციაცია საქველმოქმედო ფონდთან ერთად აღნუსხავს ყველა დაზიანებულ დაწესებულებას და მოუწოდებს მსოფლიო საზოგადოებას დახმარებისაკენ. აგრეთვე საბიბლიოთეკო ასოციაციამ ცალკე შექმნა ფონდი, რომლის რესურსები მოხმარდება იმ ბიბლიოთეკარებს, რომლებიც იმყოფებიან აქტიურ საომარ ტერიტორიებზე და აღმოჩნდნენ რთულ სიტუაციაში.

ამ სისხლიანი ომის შესაჩერებლად რუსეთს დაუწესდა ეკონომიკური და სხვა მრავალი სან-

ქცია. სანქციები კულტურის სფეროში არანაკლებ მნიშვნელოვანია. იგი, გარკვეულ წილად, ხელს შეუწყობს პუტინის რეჟიმის დაცემის დაჩქარებას და მშვიდობას მთელს მსოფლიოში.

ომის დროს ბიბლიოთეკები სხვანაირად მუშაობენ. რა ხდება ამჟამად ბიბლიოთეკებში?

**ახლა** მათი მკითხველები ახალშობილებს არა სახლში, არამედ ბიბლიოთეკის სარდაფში მიჰყავთ, რადგან ეს ყველაზე უსაფრთხო ადგილია... რადგან 24 თებერვალიდან მოყოლებული ბიბლიოთეკები გადაიქცა ბომბებისგან თავშესაფარ ადგილად. აქ სძინავთ მათ შვილებს, აქ ამზადებენ ისინი გაკვეთილებს, ხატავენ ბარათებს ჯარისკაცებისთვის...

**ახლა** კითხვას მიჩვეული ბავშვები გარბიან ბიბლიოთეკაში არა წიგნისთვის, არამედ განგამის ხმის გაგონებისას საჭიერო დარტყმებისგან თავშესაფრად... მირბიან და ფიქრობენ იქნებიან თუ არა ისინი მტრის სამიზნეები...

**ახლა** ბიბლიოთეკარები არ ამუშავენენ წიგნებს და არ აწყობენ ღონისძიებებს, ახლა მათ სხვა ფუნქციაა აქვთ, სხვადასხვა როლებს ირგებენ – ისინი გახდნენ მზარეულები და მცხობელები, მკერავები და ძიძები...

**ახლა** ბიბლიოთეკარები ქსოვენ ბადეებს, კერავენ დროშებს, აწყობენ გასართობ აქტივობებს ევაკუირებული და თავშესაფარში მყოფი ბავშვებისთვის და დარწმუნებულები არიან, რომ ყოველი დღე აახლოებთ გამარჯვებასთან!

ჩემს უკრაინელ კოლეგებთან ხშირი მიმონერის შედეგად, გადავწყვიტე უკრაინის საბიბლიოთეკო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტისთვის – ქალბატონი რაისა ლუგოვოსთვის მეთხოვა წერილი ჟურნალში დასაბუქდად. მან მყისიერად მოამზადა და გთავაზობთ უკრაინულ და ქართულ ენაზე. სიმბოლურადაც შევურჩიე სახელი: „წერილი ომიდან“.

**დაე, იყოს უდრუბლო ცა  
საქართველოსა და უკრაინის თავზე...**

**დიდება უკრაინას! დიდება გმირებს!  
დიდება საქართველოს! დიდება გმირებს!**





### Лариса Лугова

Віцепрезидентка Української Бібліотечної Асоціації  
Директорка Львівської Обласної  
Бібліотеки для Дітей

### ლარისა ლუგოვა

უკრაინის საბიბლიოთეკო ასოციაციის  
ვიცე პრეზიდენტი,  
ლუგვის რეგიონული საბავშვო  
ბიბლიოთეკის დირექტორი

Пишу вам лист з дружньої України, пишу вам лист з війни. Я проста бібліотекарка, все життя віддала цій справі і хочу розповісти вам, чим живуть сьогодні українські бібліотекарі, як вони протистоять ворогу, що робить український народ для Перемоги над російськими агресорами, які сьогодні бомблять наші міста, вбивають наших мирних мешканців, вбивають наших дітей.

Але ми не здаємося! В тих містах, де немає бомбардувань і нападів з боку російських окупантів, бібліотеки продовжують працювати. Працюють не лише як бібліотеки, але й як центри соціальної допомоги, інформаційної, психологічної підтримки біженцям, місцевим мешканцям, збирають гуманітарну допомогу, надають свої підвальні приміщення під бомбосховища.

Читальні зали перетворюють на місця тимчасового перебування людей, а ще бібліотекарі разом з волонтерами плетуть маскувальні сітки, готують їжу, шукають інформацію про поселення, надають контакти спеціальних служб, роблять все для нашої Перемоги. Частина працівників бібліотек була змушена покинути свої домівки, щоб врятувати дітей від бомбардувань, в деякого

# ЛИСТ З ВІЙНИ...

## Дорогі Грузинські Колеги!

російські окупанти повністю зруйнували житло. Багато наших колег виїхало на терени Західної України і одразу активно включились в роботу в якості волонтерів, допомагають місцевим бібліотекарям, працюють дистанційно, наповнюють інтернет-ресурси, беруть участь в інформаційних атаках на ворогів.

На жаль, вже є зруйновані і пошкоджені російськими агресорами бібліотеки. Пошкоджено Центральну міську бібліотеку для дорослих і бібліотеку для дітей в Чернігові, бібліотеку для дітей в м. Старобільськ, міську центральну бібліотеку в місті Северодонецьк, Центральну бібліотеку в одному з районів Харкова.

В бібліотеках вибухами вибиті вікна, знесено дахи, завдана шкода бібліотечним фондам. Ми збираємо таку інформацію з усіх територій України де точаться бойові дії, але дуже хочеться, щоб список постраждалих бібліотек більше не продовжувався.

Нам потрібна підтримка. Закликаємо вас, дорогі колеги, поширюйте правдиву інформацію про війну, припиняйте будь-яку співпрацю з російськими бібліотеками та іншими установами Російської федерації, пишіть листи в IFLA з вимогою позбавляти членства в цій організації російські бібліотеки. Це будуть наші, бібліотечні санкції! Від спільноти бібліотекарів України, від членів Української бібліотечної асоціації хочемо передати сердечну подяку грузинським колегам, всьому народу Грузії за підтримку і допомогу.

Ви вистраждали свою незалежність, ви знаєте ціну свободи та демократії. Знаємо й ми. І обов'язково переможемо!

Слава Україні! Героям Слава!

## წერილი ომიდან...

### ძვირფასო ქართველო კოლეგებო!



მე გწერთ წერილს მეგობარი უკრაინიდან. გწერთ წერილს ომიდან. მე უბრალო ბიბლიოთეკარი ვარ. მთელი ჩემი ცხოვრება ამ საქმეს მივუძღვენი და მინდა მოგიყვებო, როგორ ცხოვრობენ დღეს უკრაინელი ბიბლიოთეკარები, თუ როგორ ეწინააღმდეგებიან მტერს, რას აკეთებენ უკრაინელი ხალხი რუსი აგრესორების დასამარცხებლად, რომლებიც უმონყალოდ ბომბავენ ჩვენს ქალაქებს, ხოცავენ ჩვენს მშვიდობიან მოსახლეობას, ჩვენს ბავშვებს... მაგრამ ჩვენ არ ვნებდებით!

იმ ქალაქებში, სადაც რუსი ოკუპანტების მიერ დაბომბვები და თავდასხმები არ ხდება, ბიბლიოთეკები აგრძელებენ მუშაობას. ისინი მუშაობენ არა მხოლოდ ბიბლიოთეკებად, არამედ როგორც სოციალური დახმარების, ინფორმაციისა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ცენტრები ლტოლვილებისთვის, ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის. ბიბლიოთეკის თანამშრომლები აგროვებენ ჰუმანიტარულ დახმარებას და უზრუნველყოფენ მათ სარდაფებით, რომლებიც ბომბებისგან თავშესაფრის ფუნქციას ასრულებენ.

სამკითხველო დარბაზები ხალხის დროებით საცხოვრებლად იქცა. ბიბლიოთეკარები მოხალისეებთან ერთად ქსოვენ შენიღბვის ბადეებს, ამზადებენ საკვებს, ეძებენ ინფორმაციას დასახლებების შესახებ, აწვდიან სპეცსამსახურებს კონტაქტებს... ყველაფერს აკეთებენ ჩვენი გამარჯვებისთვის.

ზოგიერთი ბიბლიოთეკარი იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი სახლი ბავშვების გადასარჩენად, ნაწილი სახლებისა კი მთლიანად გაანადგურეს რუსმა ოკუპანტებმა. ბევრი ჩვენი კოლეგა გაემგზავრა დასავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე, სადაც მაშინვე აქტიურად ჩაერთვნენ როგორც მოხალისეები. ისინი ეხმარებიან ადგილობრივ ბიბლიოთეკარებს, მუშაობენ დისტანციურად, ავსებენ ინტერნეტ რესურსებს, მონაწილეობენ მტრებზე საინფორმაციო თავდასხმებში.





უკრაინის საბიბლიოთეკო ასოციაციის მოწოდება: დაეხმრეთ ბიბლიოთეკარებს!

სამწუხაროდ, უკვე არის რუსი აგრესორების მიერ განადგურებული და დაზიანებული ბიბლიოთეკები. დაზიანდა ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკა მოზრდილებისთვის და საბავშვო ბიბლიოთეკა ჩერნიგოვში, საბავშვო ბიბლიოთეკა სტარობილსკში, ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკა სევეროდონეცკში და ცენტრალური ბიბლიოთეკა ხარკოვის ერთ-ერთ რაიონში. აფეთქების შედეგად ჩაიმსხვა ბიბლიოთეკების მინები, ჩამოინგრა სახურავები, დაზიანდა ბიბლიოთეკის ფონდები. ჩვენ ვაგროვებთ ასეთ ინფორმაციას ყველა რეგიონიდან, სადაც საომარი მოქმედებები მიმდინარეობს, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ გვსურს ამ სიის გაზრდა.

ჩვენ გვჭირდება მხარდაჭერა. ძვირფასო კოლეგებო, მოგიწოდებთ, გაავრცელოთ ნამდვილი ინფორმაცია ომის შესახებ. შეწყვიტოთ ყოველგვარი თანამშრომლობა რუსულ ბიბლიოთეკებთან და რუსეთის ფედერაციის სხვა დაწესებულებებთან, დაწერეთ წერილები IFLA-ს რუსული ბიბლიოთეკების ამ ორგანიზაციაში წევრობის ჩამორთმევის მოთხოვნით. ეს იქნება ჩვენი საბიბლიოთეკო სანქციები!

უკრაინის საბიბლიოთეკო საზოგადოების, უკრაინის საბიბლიოთეკო წევრების მხრიდან, მსურს გამოეხატო ჩვენი გულწრფელი მადლიერება ქართველ კოლეგებისადმი. მადლობა მთელ ქართველ ხალხს მხარდაჭერისა და დახმარებისთვის.



რუსეთ-უკრაინის ომის დროს დაზიანებული ბიბლიოთეკები

თქვენ მოიპოვეთ თქვენი დამოუკიდებლობა, იცით თავისუფლებისა და დემოკრატიის ფასი. ჩვენც ვიცით და ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ!

დიდება უკრაინას! დიდება გმირებს!





**ნატალია ელიზბარაშვილი**

საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემი უკრაინელები!

ხალხის მიმართ, რომელმაც ასეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

არ ვიცი, როგორ დავალაგო ემოცია და მოვეფერო ამ ღირსეულ, მოსიყვარულე, გმირ ხალხს. ვინ გვასწავლის ჩვენ სტუმართმოყვარეობას, მაგრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა უკრაინელების მასპინძლობამ კიევში. პროფესიულ შენაძენზე აღარაფერს ვიტყვი – ეს ცალკე, დიდი თემაა. ახლა ადამიანურ ურთიერთობებზე მინდა გიამბოთ. ნეტავ, იცოდეთ, როგორ ზრუნავდნენ, როგორ ცდილობდნენ, რომ ნაცოფიერი ყოფილიყო ყოველი დღე ჩვენთვის. ყველა წვრილმანი, ყველა გადაადგილება წინასწარ იყო განერილი. თითოეული მათი ქმედება გარემოსილი იყო მოფერებითა და სიყვარულით. ყველა ფეხის ნაბიჯზე იგრძნობოდა პატივისცემა ჩვენი ერის მიმართ. ძალიან კარგად იცნობენ ჩვენი ქვეყნის ისტორიას, რა გვიყვარს, რა – არა. საოცარი სიზუსტით და დიდი სინანულით ყვებოდნენ 2008 წლის ომზე. გსიამოვნებს, როცა გრძნობ, რომ ამ ხალხს ვუყვარვართ და ყოველი ჩვენი წარმატება უხარიათ.

2021 წლის სექტემბერში მქონდა ბედნიერება, ახლოს გავცნობოდი უკრაინას და მის დიდებულ ხალხს. მე და ჩემი თანამშრომელი ნინა ჩიმაკაძე ვიყავით მივლინებით კიევის კონსერვაციისა და რესტავრაციის სამეცნიერო კვლევით ცენტრში, რათა უკრაინელი კოლეგების დახმარებით გაგვემდიდრებინა ჩვენი ცოდნა წიგნის ფურცლისა და ყდის რესტავრაციის დარგში. ეს იყო განუმეორებელი 25 დღე, ამის შესახებ უკვე რამდენჯერმე დავწერე სოციალურ ქსელში და აღარ გავიმეორებ. უბრალოდ, მინდა ჩემი გრძნობები გამოვხატო იმ



მარცხნიდან - 1. ტანია მაღნიჩაჟო, ფურცლის მთავარი მხატვარ-რესტავრატორი; 3. სვიტლანა სტრიკალნიკოვა, უკრაინის სამეცნიერო კვლავითი კონსერვაციისა და რესტავრაციის ცენტრის ბუნარაღური დირექტორი; 4. ტათიანა ბიჩკო, ბუნარაღური დირექტორის მოადგილე; 5. ნატალია ელიზბარაშვილი; 6. ნინა ჩიმაკაძე.



მარცხნიდან - 1. ტანია ბაღნიჩანკო, ფურცლის მთავარი მხატვარ-რესტავრატორი; 2. ნატალია ელიზბარაშვილი; 3. ნინა ჩიბაკაძე; 4. ჰავალ კულაკოვი, ძველნაბაჟდი წიგნის უმაღლესი კატაბორიის მხატვარ-რესტავრატორი; 6. სვიტლანა სტრილენიკოვა, უკრაინის საპეცნიერო კვლავითი კონსერვაციისა და რესტავრაციის ცენტრის განერალური დირაქტორი; 8. ანია ბარიშნიაკი, წიგნის რესტავრაციისა და კონსერვაციის განყოფილების უფროსი.

რა დამავინყებს ყოველ დილით მოსალმე-ბას – „გამარჯობა, გენაცვალე“. ერთ საღამოს შეხვედრა იყო ჩანიშნული ერთ-ერთ მუზეუმში. დრო მქონდა ნახევარი საათი და ქალაქის მთავარ გამზირზე, ხრეშატიკზე, გავისეირნე. ვინც ნამყოფია კიევში, იცის, რომ აქ გამოდიან ქუჩის მუსიკოსები და მღერიან გამველებსთვის. ერთ ადგილზე ბევრი ხალხი იყო შეკრებილი. ვცადე, გამერღვია და აი, პირველი აკორდიც ქართულია! ადგილზე გავეშეშედი. დარწმუნებული ვარ, ბევრს გამოგიცდით მსგავსი გრძნობა საზღვარგარეთ – უცებ ამაყი რომ ხდები, მაგრამ საქმე ეს არ არის. აი, შემდგომ გარშემო რომ აკვირდები, როგორი აღფრთოვანებით უსმენენ ადამიანები, როგორ ცნობენ რეპერტუარს, როგორ ელოდებიან გარკვეულ ნომერს და ამის ფონზე, როგორ საუბრობენ საქართველოზე, როგორ გინდა გულგრილი დარჩე. გამოსათხოვარ საღამოს ჩემმა კოლეგებმა მაგიდის გადასაფარებელი მაჩუქეს უკრაინული ნაქარგით. მითხრეს, რომ ეს არის ოჯახის მთლიანობის, ბარაქისა და მშვიდობის ეროვნული სიმბოლო. უკეთესს რას მაჩუქებდნენ – ოჯახში მშვიდობა მისურვეს.

დღევანდელი რეალობა კი ასეთია: მათ ოჯახებში ახლა, სიმშვიდის გარდა, ყველაფერი სუფევს: შიში, მწუხარება, ბრაზი. ეს ხალხი

ახლა იბრძვის და ეს არ არის ბრძოლა მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობისთვის, ეს არის ბრძოლა თავისუფლებისთვის.

ძალიან მტკივნეულია, რომ დღეს, 21-ე საუკუნეში, ევროპის ტერიტორიაზე თავისუფლების შენარჩუნება სისხლის და, მათ შორის, ყველაზე წმინდა სისხლის – ბავშვების სისხლის ფასად მიმდინარეობს, ბავშვების, რომლებსაც ომის შესახებ არც კი სმენიათ.

იმას, რომ შეუძლებელი იყო ომის თავიდან აცილება, რომ სიტყვა უძღური აღმოჩნდა მის შესაკავებლად, მე მივიჩნევ კაცობრიობის ტრაგედიადა. მართალია, ეს ბოროტება ყველას გვამუხჯებს, მაგრამ ახლა სიჩუმის დრო აღარ არის. ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვუთხრათ ომს – არა! არა – სისხლისღვრას!

და ბოლოს, მე მინდა ამ გმირ, ამაყ, პატრიოტ ხალხს ვუსურვო მშვიდობა ოჯახებში, ქვეყანაში. ეს ერი იმსახურებს გამარჯვებას და მჯერა, რომ გაიმარჯვებს კიდეც! კიდეც მჯერა, შემოდგომაზე დაგეგმილი ჩვენი შეხვედრა აუცილებლად შედგება და მე მათ, უკლებლივ ყველას, მოვეფერები.

**დიდება უკრაინას!**

**დიდება გმირებს!**



მრავალჭირგამოვლილმა ქართველმა ხალხმა იცის, თუ რას ნიშნავს ომის დროს მხარში დგომა. ქართველი ვაჟკაცები უკრაინაში იბრძვიან ამ მიწის დასაცავად, მშვიდობიანი მოქალაქეები კი სხვადასხვა ფორმით ცდილობენ თანადგომა გამოხატონ უკრაინელი ხალხის მიმართ და ამით თავისი წვლილი შეიტანონ მეგობარი ქვეყნის დახმარების საქმეში.

წარმოგიდგენთ მცირე ჩამონათვალს უკრაინის მხარდამჭერი ღონისძიებებისა, რომლებიც საქართველოს ბიბლიოთეკებში გაიმართა ომის დაწყების დღიდან.

### საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოაცხადა შემონირულობათა შეგროვების აქცია, რომელშიც ბიბლიოთეკარებთან ერთად სხვადასხვა ინსტიტუციებმა და რიგითმა მოქალაქეებმაც მიიღეს მონაწილეობა. შემონირულობები მოიცავს როგორც ფულად გადარიცხვებს მითითებულ ანგარიშზე, ასევე საკვებს, ტანსაცმელს, ბავშვთა მოვლისთვის საჭირო სხვადასხვა სახის ნივთებს, ყველაფერს, რაც შეიძლება გამოადგეთ ომის მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს, ასევე ლტოლვილებს. ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოაქვეყნა უკრაინის საელჩოდან მონოდეზიანი სია იმ სამედიცინო ინვენტარისა და მედიკამენტებისა, რომელთა საჭიროება უპირველესად გამოიკვეთა.



შემონირულობის შეგროვების პარალელურად, ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა „ჰემატოლოგიის ინსტიტუტის სისხლის ბანკის“ მეშვეობით, მონაწილეობა მიიღეს მოძრაობაში „გაიღე სისხლი უკრაინელი ხალხისთვის“.

თბილისის 55-ე საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეებმა, ასევე პატარა ილია ბუკიამ უკრაინელი თანატოლებისთვის შემონირულობა მოიტანეს.



### ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა



ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა შეკრება რუსეთ-უკრაინის ომში დაზარალებულთა თანადგომის მიზნით. შეგროვილი თანხა გადაირიცხა დახმარების ფონდში.

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო ლიტერატურის განყოფილებამ და ამერიკულმა კუთხემ გამოფენა-გაყიდვას უმასპინძლეს. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ბავშვების მიერ შექმნილი ნახატები და ხელთნაკეთი ნივთები. გამოფენის იდეის ავტორი გახლავთ მწლის ანამარია ფრუიძე და მისი მეგობრები. შემოსული თანხა (465 ლარი) სრულად გადაერიცხათ უკრაინელ ბავშვებს.

### აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამდე და ომის შემდეგ სიცოცხლის გადასარჩენად სხვადასხვა ქალაქებიდან საქართველოში მრავლად არიან ჩამოსული უკრაინელები, ძირითადად ქალები და ბავშვები. არც საზღვაო ქალაქია გამონაკლისი. ომით დაზარალებული უკრაინელები გახდნენ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები. თავიანთი ყოველდღიური ყოფითი საკითხების მოსაგვარებლად უკრაინელი დედები ბიბლიოთეკაში ტოვებენ ბავშვებს, სადაც მათ დიდი სიყვარულითა და ყურადღებით უვლიან ბათუმელი ბიბლიოთეკარები. ბიბლიოთეკა მხარდაჭერას უცხადებს ჩვენს უკრაინელ დაძმებს. სპეციალურად მათთვის გაკეთდა ბიბლიოთეკის ფონდში დაცული უკრაინული ლიტერატურის გამოფენა.



\*\*\*

**თიანეთის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება** შეუერთდა მუნიციპალიტეტის ორგანიზებით ჩატარებულ აქციას „დაეხმარე უკრაინას“ და უკვე მესამედ გაგზავნეს ჰუმანიტარული დახმარება მოძმე ერის მხარდასაჭერად.

\*\*\*

**თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოს ბიბლიოთეკა** შეუერთდა უკრაინელი ხალხის დასახმარებლად მოწყობილ აქციას. ჰუმანიტარული აქციის ფარგლებში შეგროვდა სხვადასხვა სახის არა მალფუჭებადი პროდუქტი, პირველადი მოხმარების ნივთები და ტანსაცმელი, რომელიც უკრაინელ ხალხს სოლიდარობის ნიშნად გაეგზავნა.

\*\*\*

**ჭიათურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო ქსელის** მიერ, სახელმწიფო უწყებებთან ერთად აქტიური ჩართულობით, უკრაინაში ჩვენი კოლეგების სოლიდარობის ნიშნად ჭიათურელი ბიბლიოთეკარების მიერ შეგროვდა ჰუმანიტარული ტვირთი არა მალფუჭებადი პროდუქტების, მედიკამენტებისა და სამედიცინო ნივთების სახით. ასევე ბიბლიოთეკარების მიერ გაღებული შემოწირულობა თანხის სახით გადაირიცხა უკრაინის საქველმოქმედო ფონდში.



## ზუგდიდი მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი

7 მარტს ზუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე – უკრაინა და ევროკავშირი. ლექციას ესწრებოდნენ ახალგაზრდები, რომლებმაც ისაუბრეს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე და აღნიშნეს უკრაინის ევროკავშირში გაერთიანების აუცილებლობის მნიშვნელობა.



7 მარტს ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი შეუერთდა უკრაინული ქალაქებისთვის ჰუმანიტარული დახმარების განვების აქციას. ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და მის საქალაქო და სასოფლო ფილიალებში ამ აქციისათვის შეგროვდა პირველადი მოხმარების სხვადასხვა ნივთები. აქციას შეუერთდა ახალგაზრდების ჯგუფი, რომლებმაც უკრაინულ ახალგაზრდებს სასაჩუქრე ამანათები გაუზავნეს.



ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის მიერ მომზადდა უკრაინელების მხარდასაჭერი ვიდეო ჩანაწერები სახელწოდებით „მხარდაჭერა ზუგდიდიდან მშობლიურ უკრაინას!“ ამ ჩანაწერების საშუალებით ზუგდიდში მცხოვრები და მოღვაწე უკრაინელები – ელენა სობოლევსკაია, ტაისია კონდრატიუკი, ტანია მაკაროვა, ანატოლი დიკოლენკო, მიმართავენ თავიანთ თანამოძმეებს უკრაინაში.




10 მარტს ზუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში უკრაინის მხარდასაჭერად გაიხსნა გამოფენა „უკრაინული ლიტერატურა მშვიდობისთვის“. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული უკრაინული ლიტერატურა.





\*\*\*

ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წყორდის ბიბლიოთეკაში გაიმართა ღონისძიება, სადაც ბიბლიოთეკის მკითხველებმა სოლიდარობა გამოხატეს უკრაინელი თანატოლებისა და მთლიანად უკრაინელი ხალხის მიმართ.



\*\*\*

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში შემავალი მთავარი, საბავშვო, საქალაქო და სასოფლო ბიბლიოთეკების თანამშრომლებმა შეაგროვეს თანხა უკრაინელების დასახმარებლად. ეს თანხა გადაეირიცხა უკრაინის საბიბლიოთეკო ასოციაციას, მათ მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებულ საქველმოქმედო ანგარიშზე. შემონიშნული თანხა მოხმარდება უკრაინაში დაზარალებული ბიბლიოთეკებისა და უსახლ-კაროდ დარჩენილი უკრაინელი ბიბლიოთეკარების დასახმარებლად.

გურჯაანის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანების თანამშრომლები შეუერთდნენ უკრაინელი ხალხის დასახმარებლად წამოწყებულ ჰუმანიტარულ აქციას. შეგროვდა საკვები პროდუქტები, ჰიგიენის საშუალებები და ტანსაცმელი, რომელიც გაიგზავნა უკრაინაში.

დედის დღესთან დაკავშირებით გურჯაანის შოთა რუსთაველის სახელობის ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა მიმართვა გაუგზავნეს უკრაინელ დედებს, რომელშიც უსურვეს მხნეობა და გამარჯვება...



\*\*\*

დედოფლისწყაროს მთავარ ბიბლიოთეკაში მოეწყო უკრაინული ლიტერატურის თარგმანების გამოფენა.





## მწვანე ქალაქი

## GREEN CITY

„მწვანე ქალაქი“ (Green City) – ასე ჰქვია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და ფონდ „განვითარება და გარემოს“ მიერ გამოცემულ ალბომს, რომელიც დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობისა და, ზოგადად, ქალაქების გამწვანების საკითხებს ეხება.

2022 წლის 9 მარტს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ალბომის პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიება ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ, გამოცემის ერთ-ერთმა შემდგენელმა მირიან ხოსიტაშვილმა გახსნა.

ალბომი წარმოგიდგენთ თუ როგორი იყო თბილისის გამწვანება ისტორიულად. დედაქალაქში არსებული ბაღების განლაგება და მათი ცვალებადობა დროთა განმავლობაში – სწორედ ეს საკითხებია განხილული ქართულ და ინგლისურ ენაზე შედგენილ ალბომში.

გამოცემის შემდგენლები გახლავთ: სალომე ჭანტურიძე, მირიან ხოსიტაშვილი, ანა ბარბაქაძე. სარედაქციო კოლეგია: თემურ ტყემალაძე, გოჩა კობერიძე. რედაქტორი კატო ჯავახიშვილი.

„ჩვენი ნაშრომის მიზანია, ფართო საზოგადოებას გავაცნოთ თბილისის ბაღებისა და სკვერების ისტორია და საკითხის უკეთ აღსაქმელად, მოვუყვეთ დღევანდელ ვითარებაზე. ნაშრომში ასევე წარმოდგენილია სამომავლო პერსპექტივები თბილისის მწვანე ქალაქად ქცევის თვალსაზრისით, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს დედაქალაქის მოსახლეობისთვის“, – ნერს წიგნის წინასიტყვაობაში ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე, ალბომის სარედაქციო კოლეგიის წევრი და ერთ-ერთი შემდგენელი მირიან ხოსიტაშვილი.



# ქალები ბიბლიოთეკიდან

## WOMEN FROM THE LIBRARY



2022 წლის 17 მარტს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა ალბომის „ქალები ბიბლიოთეკიდან“ წარდგენა.

ლონისძიება გახსნა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ მირიან ხოსიტაშვილმა.

ალბომი პროექტ „ბიბლიოთეკარი ქალების“ ფარგლებში გამოიცა. პროექტზე მუშაობდნენ კატო ჯავახიშვილი, სალომე ჭანტურიძე, მარინა ჭყონია, გიგი გელაშვილი. პროექტი არასამთავრობო ორგანიზაცია „ART & Society“-ს მიერ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და ფონდ „ლია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით განხორციელდა.

პროექტ „ბიბლიოთეკარი ქალების“ მიზანი იყო ბიბლიოთეკარის პროფესიის პოპულარიზაცია, ქალთა შესაძლებლობების გაზრდა, მათი ინტელექტუალური და ფიზიკური შრომის დაფასება და ამ სფეროში არსებული პრობლე-

მებისა და გამოწვევების შესწავლა. იდეის ავტორები მიიჩნევენ, რომ შესაძლებელია კონსტრუქციული ცვლილებების მოხდენა საზოგადოებაში, რომელიც ჯერ კიდევ არაჯეროვნად აფასებს ე.წ. „ქალურ პროფესიებს“.

სწორედ ამ მიზნით, საქართველოს დედაქალაქსა და სხვადასხვა რეგიონში პროექტის მესვეურებმა იმოგზაურეს, თავად გაეცნენ არაერთ საინტერესო ადამიანს და, რაც მთავარია, საკუთარი თვალთ დაინახეს ის სიტუაცია და სირთულეები, რასაც ბიბლიოთეკარი ქალები ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდებიან.

ამ ალბომში წარმოდგენილია ბიბლიოთეკარი ქალების ისტორიები, რომლებმაც თავიანთი ქალაქისა თუ სოფლის ბიბლიოთეკები დღემდე მკითხველისა და წიგნის სიყვარულით მოიტანეს.

პირველი ეტაპი დასრულდა და დაგვირგვინდა წინამდებარე გამოცემით. მომზადდა ვიდეორგოლიც.



**მაია სიმონიშვილი**

საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა

საბიბლიოთეკო ასოციაციებისა და ინსტიტუტების  
საერთაშორისო ფედერაციის ევროპის რეგიონული  
განყოფილების არჩეული წევრი

## საბიბლიოთეკო სამყაროს სიახლეები პანდემიის ფონზე

დამეთანხმებით, რომ პანდემიამ ჩვენს საქმიანობასა და ცხოვრებაში გარკვეული ცვლილებები განაპირობა. სავარაუდოდ, ეს ცვლილებები უფრო ნაკლებად საგრძნობი იქნებოდა, რომ არა კაცობრიობის თავდაჯერებულობა, თითქოს პანდემია და მსგავსი მოვლენები 21-ე საუკუნეში, ბევრად უფრო განვითარებულ სამყაროში, მოსალოდნელი აღარ იქნებოდა და პრევენციის ცოდნაც აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა. პანდემიის ფონზე უფრო ცხადი გახდა უახლესი ტექნოლოგიებისა და მეთოდების მნიშვნელობა იმისთვის, რომ მსოფლიომ და საქართველომ, როგორც მსოფლიოს ნაწილმა, პანდემიასა თუ სხვა მნიშვნელოვან გამოწვევებს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად უპასუხოს.

გარკვეული ცვლილებები დაეტყო საბიბლიოთეკო საქმიანობის სფეროსაც, მაგალითად, გაიზარდა დისტანციური მომსახურების როლი, ციფრული რესურსებით სარგებლობის სურვილიც უფრო მეტმა მკითხველმა გამოთქვა. ამ მხრივ გამონაკლისი არც საერთაშორისო პროექტები და კონფერენციები იყო, რომელთა თემატიკა სწორედ დღევანდელ და მომავლის გამოწვევებს მოიაზრებდა – მათი დიდი ნაწილი სწორედ ციფრული ფორმატით ჩატარდა. თუმცა, ბევრმა ჩვენგანმა პირველად იგრძნო ნოსტალგია იმისა, რომ შეზღუდვებისა

და ზუმის კონფერენციების მალეიდარათი ჩანიშნული გრაფიკი, რომელიც სხვადასხვა შეხვედრის ფონზე ერთმანეთის მიყოლებითაც გრძელდება, კვლავ გახსნილი სამყაროთი და ადამიანური შეხვედრებით განახლდეს.

მიუხედავად აღნიშნული მოვლენებისა, 2021 წელი სასიკეთო სიახლეებითა და საინტერესო შეხვედრებითაცაა აღსანიშნავი. მაგალითად, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლობა პირველად აირჩიეს საბიბლიოთეკო ასოციაციებისა და ინსტიტუტების საერთაშორისო ფედერაციის (IFLA) ევროპის ქვეყნების რეგიონული განყოფილების წევრად. აღნიშნული არჩევნები 2-3 წელიწადში ერთხელ ტარდება. გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით, სხვადასხვა ქვეყნის ბიბლიოთეკების ხელმძღვანელები ერთობლივი კენჭისყრით ადგენენ, თუ ვინ იქნება მათი წარმომადგენელი ამა თუ იმ განყოფილებაში. კანდიდატის არჩევა ხმების უმრავლესობით ხდება. აღსანიშნავია, რომ იფლას სამუშაო ჯგუფის არჩევნებში 2021 წელს სხვადასხვა ქვეყნიდან 3000-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა, რაც მსურველთა ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელი იყო. ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ საერთაშორისო საბიბლიოთეკო სივრცეში საქართველოს ბიბლიოთეკების მონაწილეობისადმი ინტერესი არსებითად გაიზარდა.

2021 წელს იფლას სიახლეები იმითაც იყო საინტერესო, რომ პირველად დაინერგა ელექტრონული არჩევნების სისტემა და საერთაშორისო კონფერენციაც, რომლის სიახლეებს ცოტა ქვევით გაგაცნობთ, ასევე ელექტრონული ფორმით მომზადდა. ამავე წელს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა განეწიანდა აბრეშუმის გზის საერთაშორისო

ალიანსშიც, რომლის ინიციატორი ჩინეთის ეროვნული ბიბლიოთეკა გახლავთ. დღეისთვის აბრეშუმის გზის საბიბლიოთეკო ალიანსის წევრი რეგიონის 30-მდე ბიბლიოთეკაა, მათ შორის, ევროპის ქვეყნების ბიბლიოთეკებიც: ბრიტანეთის, გერმანიის, თურქეთის, საუდის არაბეთის, ყაზახეთის, ინდონეზიის, ყატარის, ტაილანდის, ჩეხეთის, პოლონეთისა და სხვა. აბრეშუმის გზის საერთაშორისო საბიბლიოთეკო ალიანსი 2018 წელს, ჩინეთში, სიჩუანის რეგიონში, ქალაქ ჩენგდუში, საბიბლიოთეკო კონფერენციაზე შეიქმნა. ალიანსის იდეა ეკუთვნის სუნ ივანგს, ჩინეთის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ, აღნიშნა, რომ ეს თანამშრომლობა პირველად 2019 წელს დაიგეგმა, თუმცა, პანდემიის მიზეზით, მხოლოდ მომდევნო წელს განხორციელდა. აბრეშუმის გზის ალიანსის წევრი ბიბლიოთეკების ვალდებულებაა თანამშრომლობისა და განვითარების ხელშეწყობით, მთელ მსოფლიოში კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, მხარდაჭერა, კვლევების შედეგების დაცვა და კომუნიკაციების განვითარება.

ალიანსის პირველი საერთაშორისო კონფერენცია ვირტუალურად ჩატარდა, რომელშიც ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლობაც ჩავერთეთ. ჩენგდუს რეგიონში, საიდანაც ანტიკური პერიოდის აბრეშუმის გზა იწყებოდა, სხვადასხვა ქვეყნის ბიბლიოთეკების თანამშრომლობაზე ისაუბრეს. ალიანსის შექმნის პირობა „მშვიდობიანი პარტნიორობა, ღიაობა და მიმდებლობა, ორმხრივი განვითარება და გამოცდილების გაზიარება“ გახლავთ.

აბრეშუმის გზის რეგიონებში არსებული ქვეყნების ბიბლიოთეკები კოლექციების შექმნის, დაცვისა და სარგებლობის შესახებ ერთმანეთს უახლეს ინფორმაციას გააცნობენ. გათვალისწინებულია საერთაშორისო დონის ტრენინგებიც, რაც მონაწილე მხარეების პროფესიულ საქმიანობას ხელს შეუწყობს. ინტერესის სფეროა კულტურული სიახლეების გაცვლა, სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება, ცვლილებებისა და სტრატეგიების განხილვა. ალიანსმა აგრეთვე მოამზადა მანიფესტი, რომელიც ფორუმისა და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე,

კულტურის სფეროში, ბიბლიოთეკებისა და წიგნის პროფესიონალთა თანამშრომლობის სხვადასხვა გზებს მოიაზრებს.

ასევე, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო დიდი ბრიტანეთის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ ორგანიზებული ევროპის ეროვნული ბიბლიოთეკების საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის სიახლეების ვრცელი პრეზენტაციაც გაიმართა. ევროპის ეროვნული ბიბლიოთეკების კავშირი დიდი ბრიტანეთის ბიბლიოთეკის ბაზაზე დაარსდა. იგი 46 ევროპული ქვეყნის 49 ბიბლიოთეკას აერთიანებს. გაერთიანების წევრები ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებია. 1987 წლიდან ორგანიზაცია ავითარებს ეროვნული ბიბლიოთეკების თანამშრომლობას და ახალი მეთოდების ურთიერთგაცვლას, აგრეთვე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, ინფორმაციისა და ცოდნის საყოველთაო ხელმისაწვდომობის სიახლეებს. გასული წლის კონფერენციის – „ეროვნული ბიბლიოთეკები 2021“ თემები იყო: მომავლის ბიბლიოთეკები, კოლექციების წვდომა და განახლება, მდგრადი განვითარება, ლიტერატურული არქივები, გამომცემლობების ხელშეწყობა, მრავალენობრივი კოლექციები, მართვა პანდემიის დროს, ციფრულად შექმნილი ლიტერატურა, სხვადასხვა სერვისები.





2021 წელს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა კვლავ მონაწილეობდა ევროპის ინტერნეტმმართველობის ფორუმშიც. ვინც პანდემიამდე, 2018 წელს, საქართველოში გამართულ ინტერნეტმმართველობის აღნიშნულ ფორუმს დაესწრო, კარგად ემახსოვრება ის მრავალფეროვანი ღონისძიებები და დემოკრატიული გარემო, რომელიც ამ ფორუმს ახასიათებს. ფორუმში მონაწილე-



## საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ობს ევროპის ქვეყნებიდან და ევროსტრუქტურებიდან 500-ზე მეტი წარმომადგენელი. ფორუმის დღის წესრიგშია ყველა ის საკითხი, რომლებიც ინტერნეტით მდგრადი განვითარებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სხვადასხვა დარგებში დანერგვას უკავშირდება. EuroDIG [ევროპის დიგიტალური ფორუმში] ყოველწლიურად ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში იმართება და წარმოადგენს ევროპის ფარგლებში ყველაზე მასშტაბურ, ღია და მრავალმხრივ პლატფორმას მოსაზრებებისა და გამოცდილების გასაცვლელად, თუ როგორ უნდა იმართებოდეს ინტერნეტი. ფორუმის ფარგლებში, ჩვენი ინიციატივით მომზადდა მედიაწიგნიერების კონფერენცია თემაზე „მედიაგანათლება, როგორც ცრურწმენების დაძლევის გზა“. მასში მონაწილეობდნენ: ამერიკელი მედიასპეციალისტი, მედიაგანათლების კონსორციუმის დამაარსებელი, მკვლევარი ტესა ჯოლსი, პორტუგალიის განათლების სამინისტროს წარმომადგენელი სოფია რასგადო, საქართველოდან მედიის განვითარების ფონდის ხელმძღვანელი თამარ კინწურაშვილი და „დოიჩე ველეს“ რეგიონული წარმომადგენელი ამალია ოგანიანი. აგრეთვე, საუბარი

შეეხო კომუნიკაციების კომისიის მიერ ამერიკული სასწავლო პროგრამის დანერგვას, რომელიც ბავშვებისთვის მედიაწიგნიერებისა და კომპიუტერული პროგრამების სწავლას ითვალისწინებს. მონაწილეებმა ისაუბრეს სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში მედიაწიგნიერების მნიშვნელობაზეც. კონფერენციას ესწრებოდა სხვადასხვა ქვეყნის მედიაორგანიზაციების წარმომადგენლები.

განსაკუთრებით საყურადღებო იყო მსოფლიო საბიბლიოთეკო და საინფორმაციო კონგრესი, რომელიც იფლას, საბიბლიოთეკო ასოციაციებისა და ინსტიტუტების საერთაშორისო ფედერაციის მიერ ჩატარდა და ამ სფეროში სხვადასხვა სიახლეებს ეხებოდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ უახლოეს მომავალში, ვამზადებთ სემინარს კონგრესზე წარმოდგენილი მოხსენებების მიხედვით, რათა ჩვენმა ქართველმა კოლეგებმა უკეთესად გაიცნონ უახლესი ტენდენციები საბიბლიოთეკო სფეროში. კონგრესის თემატიკა სხვადასხვა მიმართულებისგან შედგებოდა, სახელდობრ: ბიბლიოთეკები, როგორც სიახლეთა ადგილი, როგორც მხარდამჭერი, როგორც შთამაგონებელი და შესაძლებლობების შემქმნელი. პანდემიის ფონზე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა თემას „ბიბლიოთეკა, როგორც ინფორმაციის წყარო ჯანმრთელობის საყოველთაო უფლების დაცვისთვის“. სხვადასხვა ქვეყნის ბიბლიოთეკის წარმომადგენლებმა





მოსხენებები წაიკითხეს თემებზე: სამედიცინო წიგნიერების შექმნა, სახელმწიფოს როლი მოქალაქეების სამედიცინო განათლებაში; პრევენციის ცოდნა, როგორც ჯანმრთელობის საყოველთაო უფლება; საინფორმაციო საქმის სპეციალისტების ადაპტაცია და ჯანდაცვის სიახლეები; მკითხველთა ინფორმირებისთვის „უსაფრთხო სივრცის“ შექმნა და სხვა.

კონგრესის თემატიკა მოიცავდა ისეთ პროფესიულ საკითხებს: ბიბლიოთეკები, როგორც ინტელექტუალური ცხოვრების ცენტრები; პანდემიის შემდგომი პერიოდის ბიბლიოთეკა; კულტურის განვითარებისთვის ერთობლივი მუშაობა; ბიბლიოთეკის ახალი სერვისი და ახალი მეთოდები; მუსიკა საბიბლიოთეკო სივრცეში; პროფესიული განვითარება ონლაინ სწავლების მეშვეობით; წლის წამყვანი თემაკი იყო – ბიბლიოთეკების ინტერესების დაცვა. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის თემა არის ბიბლიოთეკებისთვის მდგრადი განვითარება. სწორედ ამ საკითხს ეძღვნებოდა ერთ-ერთი მოხსენება – „ბიბლიოთეკების კოლექციები მდგრადი განვითარებისთვის“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, გაეროსა და განათლების საერთაშორისო ინსტიტუტის მხარდაჭერით, უკვე შეიქმნა მდგრადი განვითარების ბიბლიოთეკა.

განსაკუთრებული გამოხმაურება გამოიწვია თემამ „ბიბლიოთეკები წინა ხაზზე: ცოდნის საშუალებით დეზინფორმაციისა და ყალბი ნიუსების დაძლევა“, რომელიც დღეისთვის ყველასთვის ცნობილ პრობლემას ეძღვნებოდა. ასევე, სემინარები ჩატარდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გავრცელების ახალი მეთოდების შესახებ.

კონგრესზე წარმოდგენილი იყო თანამედროვე მეთოდოლოგია ბავშვებისთვის უცხო ენებისა და კულტურების გაცნობისთვის, სახელმძღვანელო ღია საგანმანათლებლო რესურსის შექმნისთვის, ბიბლიოთეკარების მხარდაჭერის პროგრამა კრიზისულ ვითარებებში და სხვა. მართალია, კონგრესი ვირტუალურად საინტერესო სიახლეებს გვთავაზობდა, მაგრამ თვითონ მონაწილეებიც აღნიშნავდნენ, რომ პანდემიის დასრულებასა და მსოფლიოს მეტ გახსნილობას მოუთმენლად ელიან.

2022 წლისთვის, იფლას მთავარი თემა

# This library supports the SDGs



მდგრადი განვითარების ხელშეწყობა იქნება, რაც ამ მიმართულებით 17 მიზნის პოპულარიზაციისთვის სხვადასხვა აქტივობებსა და სემინარებს ითვალისწინებს. ასევე, მომზადდა მსოფლიო ბიბლიოთეკების რუკა, რომლის საშუალებითაც გაეცნობით, თუ რომელ ქვეყანაში რამდენი და რა ტიპის ბიბლიოთეკა მოქმედებს.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლობა ევროპის ბიბლიოთეკების განყოფილების არჩეული წევრია. მოხარულები ვართ, რომ ეს საშუალებას მოგვცემს, ქართველ ბიბლიოთეკარებს მსოფლიო საბიბლიოთეკო სივრცეში მიმდინარე არაერთი მოვლენა გავაცნოთ და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით, საგანმანათლებლო სემინარებიც შევთავაზოთ.





**ფერდინანდ ჩიჯოკე**  
(უგუუანი)

**ნგოზი ოკვორი**  
(ნიგერიის უნივერსიტეტი)

**ემანუელ ჩუკვუდი იჰეკვობა**  
(ნიგერიის უნივერსიტეტი)

# ბიბლიოთეკის სივრცე და ადგილი: ბუნება, სარგებლობა და გავლენა აკადემიურ ბიბლიოთეკაზე

ბიბლიოთეკის მენობა და საბიბლიოთეკო სივრცის მართვა საბიბლიოთეკო საქმის ის სფეროა, რომელიც ნაკლებადაა გაშუქებული პროფესიონალების მიერ საბიბლიოთეკო საქმისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში. მიუხედავად ამგვარი უგულებელყოფისა, ის მაინც რჩება თავშესაფარად როგორც ადამიანური, ისე მატერიალური რესურსებისა და ნებისმიერი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო თუ კვლევითი მიზნების მამოძრავებელ ძალად. ეს ნაშრომი ეხება აკადემიური ბიბლიოთეკის წარმოშობის საკითხებსა და პრინციპებს, განიხილავს აკადემიურ გარემოში ბიბლიოთეკისათვის სივრცისა და ადგილის გამოყოფის აუცილებლობას. ავტორები ასევე ცდილობენ, ისაუბრონ სხვადასხვა ხალხის მიერ სხვადასხვა გარემოში ბიბლიოთეკით სარგებლობის მიზნებზე. მსჯელობენ და გვარწმუნებენ ბიბლიოთეკის, როგორც საინფორმაციო მეცნიერების კვლევის სფეროს უდიდეს მნიშვნელობაში.

## შესავალი

ბიბლიოთეკები უძველეს დროში დაგროვილი ცოდნის შესანახად შეიქმნა. მაშინ ცოდნა თიხის ფირფიტებზე ინერებოდა, პიქტოგრამების სახით, დამწერლობით, რომელსაც მოგვიანებით ლურსმული ეწოდა. პირველი ორგანიზებული ბიბლიოთეკის დაარსება მესოპოტამიაში დაწყებული ადრეული ცივილიზაციის თანმდევაა. პირველივე ორგანიზებული ბიბლიოთეკის დაარსებამ კარი გაუღო მეცნიერებას. შუა საუკუნეებში შეიქმნა სამონასტრო ბიბლიოთეკები, სადაც სწავლა და სამეცნიერო მოღვაწეობა ერთობლივად მიმდინარეობდა. ამ პერიოდში ევროპაში გაჩნდა რამდენიმე წამყვანი უნივერსიტეტიც. ედოკას (Edoka, 2000) მიხედვით უნივერსიტეტები დაარსდა ბოლონიასა და სალერნოში (იტალია), პარიზსა (საფრანგეთი) და ოქსფორდში (ინგლისი). თანდათან ბიბლიოთეკები იქცა ამ უნივერსიტეტების თვალსაჩინოებად, რადგან სწორედ

იქ ინახებოდა დასავლური სამყაროს კლასიკური თუ თანამედროვე ლიტერატურა.

რენესანსმა, რომელმაც ბიძგი მისცა ბეჭდვის გამოგონებას და დაგროვილი ცოდნის წიგნების საშუალებით გავრცელებას, საფუძველი ჩაუყარა სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკის შექმნას. საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაფართოებამ უზრუნველყო უნივერსიტეტების, ინსტიტუტების, ტექნოლოგიური და პოლიტექნიკური კოლეჯების რაოდენობრივი და ინფრასტრუქტურული ზრდა. ეს ბიბლიოთეკებიც იმისთვის შეიქმნა, რომ დახმარებოდა მშობლიურ დაწესებულებას სწავლის, სწავლებისა და კვლევითი მიზნების მიღწევაში. სწორედ ამიტომ, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებსა და პერსონალს (როგორც აკადემიურს, ისე არაკადემიურს) სთავაზობს მრავალფეროვან საინფორმაციო მასალასა და სერვისს აკადემიური პროგრამებისა და კვლევების მხარდასაჭერად. ის ასევე უზრუნველყოფს მშვიდ გარემოს სწავლისა და სამეცნიერო საქმიანობისათვის.





აკადემიური ბიბლიოთეკა არის ნებისმიერი უნივერსიტეტის გული, როგორც სწავლებისა და კვლევის ცენტრი. ფრიმენმა (Freeman, 2005) ხაზგასმით აღნიშნა, რომ აკადემიური ბიბლიოთეკა, როგორც ადგილი, მდებარეობს კამპუსში [სტუდენტურ ქალაქში], რადგან ის სიმბოლურად და რეალურად წარმოადგენს დაწესებულების სასწავლო ცენტრს. ის ამტკიცებს, რომ მისი არქიტექტურული იერი და ადგილსამყოფელი კვლავაც ასახავს იმ ინსტიტუტების უნიკალურ მემკვიდრეობასა და ტრადიციებს, რომელთა ნაწილიც თვითონაა. აკადემიური ბიბლიოთეკის კარგი შენობა უზრუნველყოფს მოქნილ სასწავლო სივრცესა და ტრადიციული სამკითხველო ოთახებს, ხელშემწყობს სწავლებისა და სტიპენდიებისთვის. დღევანდელ ეპოქაში რევოლუციური სახის ცვლილებები განხორციელდა საინფორმაციო სფეროში. ბექდურიდან ელექტრონულ რესურსებზე გადასვლისას ბიბლიოთეკამ, როგორც ადგილმა, ვირტუალურ სივრცეში გადაინაცვლა. 21-ე საუკუნე საინფორმაციო ეპოქაა და ინფორმაციული ნივთიერების უნარ-ჩვევები აუცილებელია ეკონომიკური სარგებლის მისაღებად. ადეოგუნმა (Adeogun, 2008) მოითხოვა ისეთი საუნივერსიტეტო განათლება, სადაც სტუდენტებიც და მასწავლებლებიც შეიძენენ პედაგოგიური თუ სხვა ინფორმაციის ელექტრონულად მოძიებისა და მართვის უნარებს. ელექტრონული სწავლება და საგანმანათლებლო რესურსებზე ხელმისაწვდომობა თავისთავად გულისხმობს დისტანციურ მეცადინეობას, ინტერდისციპლინურ და უწყებათაშორის თანამშრომლობას საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით. გლობალური საინფორმაციო ქსელით უზრუნველყოფილი ახალი სასწავლო სისტემა ვირტუალურია და ორიენტირებულია რთული სამეცნიერო ამოცანების გადაწყვეტასა და სტუდენტთა საგანმანათლებლო პროგრამებზე. ბიბლიოთეკის სერვისების რესტრუქტურირება თანაბრად მოქმედებს ყველა ბიბლიოთეკაზე, როგორც საგანმანათლებლო-საინფორმაციო ცენტრზე.

ზემოხსენებულმა საკითხებმა გარკვეული დისკუსია გამოიწვია კომპიუტერული მეცნიერებით დაინტერესებულ და საბიბლიოთეკო საქმის მცოდნე ჯგუფებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი ბიბლიოთეკას

განიხილავს „მიტოვებულ ბიბლიოთეკად“, მაგ. კარლსონი (Carlson, 2009) და ამტკიცებს, რომ ის აღარაა აქტუალური ამ ვირტუალურ ეპოქაში, სხვები ფიქრობენ, რომ ბიბლიოთეკა ჯერ კიდევ არის სწავლის, სწავლებისა და კვლევის ადგილი. არსებობს რამდენიმე პროვოკაციული კითხვა, რომელსაც ყველა ბიბლიოთეკარმა, ბიბლიოთეკამ და საინფორმაციო სააგენტომ უნდა უპასუხოს. აი, ეს კითხვები: არის თუ არა ფიზიკური ბიბლიოთეკა ჯერ კიდევ საჭირო იმ ეპოქაში, როდესაც ინფორმაცია ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმით? რას ნიშნავს ეს რევოლუციური ცვლილება ბიბლიოთეკის სივრცის შექმნისა და დიზაინისთვის? სტუდენტები და ბიბლიოთეკის სხვა მომხმარებლები კვლავ ინტერესდებიან და სარგებლობენ თუ არა ბიბლიოთეკით? ხოლო თუ ეს ასეა, რას ელიან ისინი თანამედროვე აკადემიური ბიბლიოთეკისაგან?

სმიტი და სხვ. (Smith et al., 2005) ამტკიცებდნენ, რომ ციფრულ ეპოქაში ბიბლიოთეკა კვლავ შეუცვლელია, როგორც ადგილი ან ბაზა სწავლების, სწავლისა და კვლევისთვის. ამან შესაძლებელი გახადა ინფორმაციის საერთო კონცეფციის შემუშავება, რომელიც ბიბლიოთეკის გარემოში დაყინებით მოითხოვს მომხმარებლების ინტერაქტიურობასა და თანამშრომლობას. საინფორმაციო რესურსების პარადიგმის შეცვლა ბექდურიდან ელექტრონულამდე და ფიზიკური მომსახურებიდან ელექტრონულამდე გულისხმობს ბიბლიოთეკის, როგორც სივრცისა და ადგილის ცნებების, პრინციპებისა და მახასიათებლების კრიტიკულ შემოწმებას. ყოველივე ეს თანამედროვე და მომავლის ბიბლიოთეკას განზომილების ერთიან სივრცედ აქცევს. აკადემიურმა ბიბლიოთეკარებმა, არქიტექტორებმა და ბიბლიოთეკის ადმინისტრატორებმა უნდა ითანამშრომლონ, რათა ბიბლიოთეკა იყოს სივრცე და ადგილი, სადაც უზრუნველყოფილია კომფორტული სასწავლო და კვლევითი გარემო.

### სივრცის დიზაინისა და მართვის პრინციპები

აკადემიური ბიბლიოთეკის ადგილის დაგეგმვის თვალსაზრისით, სივრცის დიზაინი



უმნიშვნელოვანესია. ბიბლიოთეკაში სივრცის უზრუნველსაყოფად სამი ძირითადი ელემენტია გასათვალისწინებელი. ეს ელემენტებია: ფუნქცია, გამოყენებადობა (usability) და მიმზიდველობა (attractiveness).

კოენმა და კოენმა (Cohen and Cohen, 1979) აღნიშნეს, რომ საუკეთესო შენობა ამ ელემენტებს სხვადასხვაგვარად უნდა აერთიანებდეს. იმისათვის, რომ ნებისმიერმა სივრცემ კარგად იმუშაოს, იქნება ეს ბიბლიოთეკა ოფისსა თუ სახლში, აუცილებელია გავიგოთ, თუ როგორ გრძნობენ ადამიანები თავს საბიბლიოთეკო სივრცეში და რამდენად ნაყოფიერად მუშაობენ ისინი. ამ ქცევითი (ფსიქოლოგიური) ცოდნით, შესაძლებელია სივრცის შერჩევა ან შექმნა ისე, რომ ის საინტერესო და მიმზიდველი გახდეს ადამიანთა სამეცნიერო თუ ზოგადად, რაიმე სახის შემოქმედებითი საქმიანობისათვის.

იმისათვის, რომ ადამიანებმა იოლად მოიძიონ ბიბლიოთეკაში მათთვის საჭირო მასალა, საჭიროა სათანადო ორგანიზება. კოენმა და კოენმა (1979) აღნიშნეს, რომ ინტერიერის დიზაინის ისეთი ასპექტები, როგორცაა ავეჯისა და აღჭურვილობის განლაგება, ადამიანებისა და მასალების გადაადგილების სქემები, სამუშაო პროცესი, განათება, აკუსტიკა და ფერიც კი, გავლენას ახდენს მომხმარებლებისა და პერსონალის მუშაობაზე ბიბლიოთეკაში. ამ უკანასკნელის შენობის ინტერიერის დიზაინი და მართვა დიდწილად განსაზღვრავს მასალების ხელმისაწვდომობასა და ბიბლიოთეკის მომხმარებელთა კონცენტრაციას. ბიბლიოთეკის წყნარ სივრცეში, საკმარისი განათებით, მკითხველისათვის უფრო ადვილია კონცენტრირება, ვიდრე მუდმივად ხმაურიან და სუსტად განათებულ ადგილას. სამი ელემენტი, რომელიც ასახავს კარგ სივრცეს/ადგილს, არის:

1. სივრცე, საბიბლიოთეკო მასალების მრავალფეროვნებისა და კოლექციების გაფართოებისათვის.
2. სივრცე, რომელიც კომფორტული და მოსახერხებელია, როგორც მომხმარებლის, ისე მომსახურე პერსონალისათვის. მკითხველებმა უნდა შეარჩიონ ბიბლი-

ოთეკა: ა) კეთილგანწყობილი პერსონალით; ბ) კეთილმოწყობილი და მიმზიდველი სივრცით, რათა არ მოუხდეთ, მაგალითად, ჩასვლა მინისქვეშეთში; გ) გარემოთი, სადაც მათ არ მოეპყრობიან ისე, როგორც მეორე კლასის მოსწავლეებს.

3. ბიბლიოთეკა მომხმარებელთათვის მიმზიდველი უნდა იყოს ესთეტიკური თვალსაზრისითაც. ეს ეხება გაფორმებას, როგორც მხატვრულ შემოქმედების ნიმუშებით, ასევე სხვადასხვა დეკორაციით. ბიბლიოთეკა, რომელიც განთავსებულია ულამაზო, მოუწესრიგებელ და ცუდად მოვლილ შენობაში, მენეჯმენტისა და პერსონალის არაორგანიზებულობასა და უპასუხისმგებლობაზე მიუთითებს.

სასწავლო და კვლევითი სივრცის გამოყოფა აკადემიურ ბიბლიოთეკებში ითვალისწინებს შენობაში სხვადასხვა მოთხოვნების დაკმაყოფილებას: მაგალითად ისეთის, როგორცაა იატაკის დატვირთვა, გამძლეობის შემოწმება, წიგნებშორისი ინტერვალის დაცვა, ავეჯისა და სხვა აღჭურვილობისათვის ადგილის გამოყოფა, მძლავრი ტექნიკითა და უწყვეტი ელექტროენერგიით უზრუნველყოფა. ეს მოთხოვნები კი უნდა შეესაბამებოდეს ბიბლიოთეკის შენობის ფუნქციონალურ, ესთეტიკურ და ქცევით პრინციპებს. ბიბლიოთეკის ინტერიერში სივრცის შენარჩუნება და გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია. ბიბლიოთეკარების პასუხისმგებლობაა სწორად განლაგონ კოლექციები შესაბამის რიგებში, შესაბამის თაროებზე, რაც გაუადვილებს მკითხველს წიგნადი ფონდის, საჭირო მასალის ხელმისაწვდომობას. ინტერიერის დიზაინერები და არქიტექტორები ზრუნავენ სივრცეების ეფექტურ გამოყენებაზე. მაშასადამე, თანამედროვე, კარგი ბიბლიოთეკა მოითხოვს პროფესიონალი მომსახურე პერსონალის, ინტერიერის დიზაინერებისა და არქიტექტორების თანამშრომლობას ბიბლიოთეკის შენობების დიზაინისა და სივრცის მენეჯმენტში.

ნებისმიერი სტრუქტურის დაგეგმვის პროცესი დამოკიდებულია სამ ელემენტზე. სწორედ ამ კომპონენტების ერთიანობა განსაზღვრავს ბიბლიოთეკის დანიშნულებასა და



ფუნქციონერების შესაძლებლობას. არქიტექტორებისა და დიზაინერების მიერ დაპროექტებულ და კეთილმოწყობილ ბიბლიოთეკაში გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ის სტანდარტი, რომელზედაც ზემოთ ვისაუბრეთ. მაგალითად, თანამედროვე და მოქმედმა ბიბლიოთეკამ მკითხველს ინდივიდუალურად უნდა შესთავაზოს ადგილი. მომხმარებელთა სკამები არ უნდა იყოს უსისტიემოდ დალაგებული და გაბნეული დარბაზში, ამავდროულად მკითხველებს შორის აუცილებლად დაცული უნდა იყოს დისტანცია. ერთმანეთთან ძალიან ახლოს განლაგებული სკამები მოუხერხებელია გამოსაყენებლად და მკითხველებისათვის ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური საფრთხის შემცველია. ბიბლიოთეკართა უმრავლესობის გამოცდილება ცხადყოფს, რომ ექვსადგილიან მაგიდებთან იშვიათად ზის 3-4 ადამიანზე მეტი. ამიტომაც ბიბლიოთეკის კარგი შენობა, უპირველეს ყოვლისა, მომხმარებლებისა და პერსონალის კომფორტს უნდა უზრუნველყოფდეს. ქცევითი ელემენტების იგნორირება ყოველად დაუშვებელია.

ბიბლიოთეკის, როგორც ადგილის პერსპექტივა დამოკიდებულია აკადემიური ბიბლიოთეკის სივრცის დიზაინის მართვაში ჩართული მხარეების თანამშრომლობაზე. ეს თავისთავად გულისხმობს ძველი შენობის გარემონტებასა და მოწესრიგებას, ცვლილებებს თანამედროვეობის მოთხოვნების შესაბამისად. კარგი მენეჯმენტი გულისხმობს ყველა კომპონენტის გამოყენებას. მაგალითად, უნდა გამოიკითხონ თანამშრომლები, მომხმარებლები და სხვა დაინტერესებული პირები, რათა დადგინდეს რამდენად კარგად მუშაობს დაწესებულება. აკმაყოფილებს თუ არა ბიბლიოთეკა თანამედროვე საპროგრამო სტანდარტებს. ზოგიერთი ბიბლიოთეკა, როგორც ნესი, გამოიყურება „სტერილურად“ ან უბრალოდ „უხერხულად“. მოსაგვარებელია ისეთი ელემენტარული პრობლემები როგორცაა, ზომიერი ტემპერატურის შექმნა დარბაზებში, ნყლის გაჟონვის შედეგად წარმოქმნილი ნესტი, სავენტილაციო სისტემის გაუმართაობა, ელექტროენერჯის არასტაბილური მიწოდება და სხვა.

მნიშვნელოვანი ელემენტია ბიბლიოთეკის ფუნქციური დიზაინი, რომელიც ითვალისწინებს

აკადემიური დაწესებულების წიგნებით გამდიდრება-გაფართოებისათვის საჭირო სივრცეს. განსაკუთრებით საყურადღებოა მასალებისა და ლიტერატურის სწორად განთავსება. კონემა და კონემა (1979) აღნიშნეს, რომ ასპირანტურაში სწავლის პერიოდში ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში სტუმრობისას, დერეფნის ბოლოს, ჩიხში წიგნების თაროები ზუსტად ისე ეკიდა, როგორც კერძო სახლში, განათებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ჭერზე აქა-იქ ჩამოკიდებული ნათურები საკმარისად არ ანათებდა და წიგნების გაცემისას სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა საბიბლიოთეკო მომსახურების სფეროში ჩართულ ადამიანებს. კერძოდ, საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და მომსახურების განყოფილებების თანამშრომლებს.

### კარგი ბიბლიოთეკის შენობის მახასიათებლები

თანამედროვე ბიბლიოთეკამ უნდა იმუშაოს იმ პრინციპების მიხედვით, რომლებსაც განსაზღვრავს იუნლიანგი (Yunliang, 2001), ესაა: ღიაობა, მრავალფეროვნება, მოქნილობა და შემოქმედობითობა (Artistry). ამ ძირითად მახასიათებლებს ეყრდნობა ინფორმაციის ზოგადი პრინციპებიც. სინკლერმა (Sinclair, 2007) ჩამოთვალა წარმატებული საინფორმაციო საზოგადოების ხუთი სახელმძღვანელო პრინციპი. ბიბლიოთეკა უნდა იყოს ღია, უფასო, მოსახერხებელი, შთამაგონებელი (inspiring) და პრაქტიკული.

### ღიაობა

**სწრაფი მომსახურება.** ამისათვის ბიბლიოთეკის შენობის დაპროექტებისას გასათვალისწინებელია სივრცისა და ადგილის ეფექტურობა. თანამედროვე ბიბლიოთეკა დახურულიდან ღია წვდომაზე გადადის. საკითხავი სივრცე უნდა განთავსდეს ისეთ ადგილებში, სადაც მკითხველი ადვილად მოძებნის მოსახერხებელ თაროებზე სწორად განლაგებულ წიგნებს. ამით საბოლოოდ ამოივსება უფსკ-



რული მკითხველსა და წიგნს შორის. გარდა მასალებზე იოლად წვდომისა, ბიბლიოთეკამ უნდა შეუქმნას მკითხველებს მშვიდი სამუშაო გარემო და მისცეს მათ ლიტერატურის დათვალიერების შესაძლებლობა.

### მრავალფუნქიურობა

კარგმა ბიბლიოთეკამ უნდა უზრუნველყოს მასში დაცული დოკუმენტების, წიგნებისა თუ ბექდვითი მასალების ფორმატთა ცვლილებები, კითხვის გზები, მიწოდების მეთოდები და სხვა საბიბლიოთეკო საქმიანობები. მან უნდა უზრუნველყოს მკითხველები სხვადასხვა სახის საინფორმაციო საშუალებებით, როგორცაა: ბექდური წიგნები, აუდიოვიზუალური მასალები, ელექტრონული პროდუქტები და ინტერნეტ სერვისები; უნდა შექმნას საკმარისი სივრცე ამ მასალების განთავსებისათვის. ამავდროულად უზრუნველყოს სწავლების, სწავლისა და კვლევის კარგი გარემო ბიბლიოთეკის სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლებისთვის.

იუანლიანგმა (2001) აღნიშნა, რომ ამ მოვლენებმა განაპირობა ახალი ბიბლიოთეკების მშენებლობა შანხაი-ჩინეთში. ამის მაგალითია 20,900 მ<sup>2</sup> ბიბლიოთეკის შენობა შანხაიში, რომელიც გადავიდა ახალ 83,000 მ<sup>2</sup> შენობაში 1997 წელს. ის ოთხჯერ აღემატება ძველს. ბიბლიოთეკის ახალ შენობას ახლა აქვს აუდიოვიზუალური და ციფრული სამკითხველო დარბაზები თანამედროვე აღჭურვილობით. ბიბლიოთეკა ხშირად მასპინძლობს ღონისძიებებს, როგორცაა ლექციები, სამეცნიერო შეხვედრები, სპეციალური სემინარები და საინფორმაციო მასტერკლასები. როგორც წესი, აკადემიური საქმიანობისთვის აქ განთავსებულია სალექციო დარბაზები, აუდიტორიები, ოთახები.

2009 წლის 5 ივნისს ნსუკკას (ნიგერია) უნივერსიტეტის ანალოგიურად გაიხსნა ახალი წნამდი აზიკივეს ბიბლიოთეკა, ისეთივე მრავალფუნქციური და ტექნიკურად უზრუნველყოფილი. ბიბლიოთეკის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია მობილური სატელეკომუნიკაციო ქსელის (MTN) მიერ დაფინანსებული ვირტუალური ბიბლიოთეკა.

### მოქნილობა

ბიბლიოთეკის შენობა ისე უნდა დაპროექტდეს და აშენდეს, რომ მოერგოს ბიბლიოთეკის სტრუქტურისა და სერვისების ნებისმიერ ცვლილებას. ბიბლიოთეკის პროფესიაში (library profession) თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვამ საბიბლიოთეკო მომსახურებისა და სტრუქტურის რეორგანიზაცია გამოიწვია. ბიბლიოთეკის საინფორმაციო სისტემებისა და მკითხველებისთვის სერვისების მუდმივი განვითარების მიზნით, ბიბლიოთეკის თანამედროვე შენობები მოქნილობის პრინციპებს იცავენ. მოქნილობის პრინციპის გამოყენება გულისხმობს მოდულის უნიფიცირებულ ზომას, იატაკის სიმაღლისა და შენობის ერთიანი დატვირთვის (3U) სტანდარტებს.

3U სტანდარტში, ბიბლიოთეკის შენობის ერთიანი მოდულის ზომა ითვალისწინებს სამკითხველო ზონაში ჩვეულებრივი საკითხავი მაგიდისა და წიგნების თაროების ზომებსა და განლაგებას. ის მხარს უჭერს ბიბლიოთეკის არეალის მოქნილად დაყოფის აუცილებლობას და ამავდროს ზოგავს ადგილს. იუანლიანგმა (Yuanliang 2001) განაცხადა, რომ შანხაიში (ჩინეთი) 1980-იანი წლების შუა პერიოდში, აშენებული ბიბლიოთეკის შენობების მოდულის ზომები მერყეობდა 6-დან 7,5 მ-მდე. მაგალითად, შანხაის ბიბლიოთეკისა და ბაო ჯიაოტონგის ბიბლიოთეკის (შანხაის უნივერსიტეტი) ზომა არის 7,5 x 7,5 მ. ერთი სართულის სიმაღლე 3,6-დან 4,5 მ-მდეა, ეს სიმაღლე აკმაყოფილებს ბიბლიოთეკის შენობის საჭიროებებს ბუნებრივი განათებისა და ვენტილაციისთვის. კონდიციონერი ხელოვნურ განათებასთან ერთად, მკითხველს უზრუნველყოფს კარგი განათებითა და ვენტილაციით ბიბლიოთეკის საქმიანობის ყველა არეალში. შენობის ერთიანი დატვირთვა აკმაყოფილებს ბიბლიოთეკების მომავალი განვითარების მოთხოვნას, ღიაობასა და „კომბინირებული შენახვისა და კითხვის ზონის“ შექმნას, თაროებზე თავისუფალი დაშვებისათვის.

### შემოქმედებითობა (Artistry)

ესთეტიკა მნიშვნელოვანი ფაქტორია ბიბლიოთეკის მშენებლობაში. ყურადღება უნდა

გამახვილდეს ბიბლიოთეკის შენობის გარეგნულ სილამაზეზე, როგორც ცოდნისა და კულტურის გამოვლენაზე. ეს გამოიხატება ისეთი ასპექტების კომბინაციით, როგორცაა ექსტერიერი, ინტერიერის დაგეგმვა, მხატვრული დიზაინი და ბუნებრივი გარემო. ეს ხდის ბიბლიოთეკას მომხმარებლებისთვის მიმზიდველსა (attractive) და საინტერესოს (inviting). პროფესიონალთა დაკვირვებით, ნსუკის (ნიგერია) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ახალი შენობა სრულებით ავლენს ამ მხატვრულ მახასიათებლებს. ის იმდენად მიმზიდველია, რომ სტუდენტები ფოტოებს იღებენ, როგორც შენობის შიდა სივრცეში, ისე გარეთ. მომავალში ისინი სიამოვნებით მოიგონებენ ამ დროს და იამაყებენ ტროპიკული აფრიკის უდიდეს ბიბლიოთეკაში გატარებული დღეებით.

ჩამოთვლილი მახასიათებლები განსაზღვრავენ და აყალიბებენ 21-ე საუკუნის ბიბლიოთეკას, როგორც სივრცესა და ადგილს, რომელმაც უნდა გაუძლოს თანამედროვე სამკითხველოში მიმდინარე საინფორმაციო სერვისების ცვლილებებს. მაშასადამე, ბიბლიოთეკის სრულფასოვნად ფუნქციონირებისათვის, მკითხველისათვის იდეალური გარემოს შექმნისა და სივრცის მაქსიმალურად გამოყენების თვალსაზრისით, შენობების ესთეტიკურ მხარეზე ზრუნვა უმნიშვნელოვანესია.

### აკადემიური ბიბლიოთეკა, როგორც სასწავლო გარემო

უნივერსიტეტის აკადემიური ბიბლიოთეკა შექმნილია აკადემიური საზოგადოების სწავლების, სწავლისა და კვლევის საჭიროებათა უზრუნველსაყოფად. საგანმანათლებლო რესურსები, ბეჭდურ, აუდიოვიზუალურ და ელექტრონულ ფორმატში, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მონესრიგებულ სასწავლო გარემოსთან ერთად, მას სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრად აქცევს. სტუდენტთა და მკვლევართა მიერ ბიბლიოთეკით სარგებლობის გამოცდილება მომხმარებლებს საშუალებას მისცემს თანამედროვე აკადემიური ბიბლიოთეკის, როგორც ადგილის, შეფასებაში.

ის საჭიროა, რათა ხელი შეუწყოს მშობლიურ აკადემიურ დაწესებულებას განათლებისა და კვლევის ურთულეს პროცესში. Juzeviciene და Tautkbiene (2003) აღნიშნეს, რომ სწავლების თანამედროვე მეთოდები გამოიყენება არა მხოლოდ საკლასო ოთახებში, არამედ ყველგან, სადაც მოსწავლეებს აქვთ წვდომა წყაროებზე, მედიაზე და იყენებენ მათ თავიანთი პრობლემების გადასაჭრელად ან ახალი პროექტების შესაქმნელად. ამ თვალსაზრისით, სწავლა შეიძლება წარიმართოს ფორმალური დაწესებულების გარეთ, მაგალითად, სამუშაო ადგილას, ოჯახში, მუზეუმში, ბიბლიოთეკებში, კლუბებსა და მედიასაშუალებებში. ადეოგუნი (Adeogun 2008) განიხილავს რა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის განვითარების სერვისებს მუდმივად ცვალებად სასწავლო გარემოში, აღნიშნავს, რომ აკადემიური ბიბლიოთეკარებისთვის უნივერსიტეტში სასწავლო პროგრამასთან მიმართებით, ჩნდება ახალი სერვისები, რომლებიც ითვლებიან კონსულტანტებად ინფორმაციისა და რესურსების მართვის სფეროში, არიან საინფორმაციო ტექნოლოგიების აპლიკაციების კოორდინატორები, აწვდიან ინფორმაციას კვლევის მეთოდებსა და სხვა სფეროებზე. ზემოთქმული ითვალისწინებს ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლებაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლების, ასევე სტუდენტების გამოცდილების გაზიარებას სხვა მომხმარებლებისათვის საინფორმაციო სასწავლო პროგრამების მიწოდების თვალსაზრისით. მკვლევარი გვარწმუნებს, რომ სწავლა რეალურად უნდა წარიმართოს ბიბლიოთეკაში. საინფორმაციო რესურსების სიმრავლე ბიბლიოთეკას პოტენციურ სასწავლო გარემოდ აქცევს უნივერსიტეტში. კარგმა აკადემიურმა ბიბლიოთეკამ უნდა უზრუნველყოს მრავალფუნქციური გარემო თავისივე სივრცეში. ეს საშუალებას მისცემს მკითხველს განსაზღვროს გარემო, რომელიც დაეხმარება მას მიზნების მიღწევაში. ბიბლიოთეკებში საინფორმაციო კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა (ICT) შექმნა ვირტუალური სასწავლო გარემოც.

ადამიანები იყენებენ ბიბლიოთეკას თავიანთი ინდივიდუალური საგანმანათლებლო მიზ-



ნების მისაღწევად. ვალტონმა (Walton, 2006) ჩამოთვალა ბიბლიოთეკით სარგებლობის ზოგიერთი მიზეზი:

- ა. რესურსებზე წვდომა;
- ბ. სასწავლო სივრცის გამოყენება; და
- გ. გარემოთი სარგებლობა

კანელმა (Cannell, 2007) თავის მხრივ, აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა საუკეთესო ადგილია წიგნების/ელექტრონული რესურსების მოსაძიებლად; სამუშაო პროცესში ელექტრონული სწავლების მეთოდების გამოსაყენებლად; კვლევებისა და შეხვედრების ჩასატარებლად. ბიბლიოთეკა არის მოსახერხებელი სივრცე სტუდენტებისთვის გამოცდების მოსამზადებლად, საკურსო და კვლევითი ნაშრომების დასაწერად. მეცადინეობის დროს მოსწავლეებს შეუძლიათ წიგნებისა და ელექტრონული ინფორმაციის ერთდროულად გამოყენება. გათვალისწინებულია სხვადასხვა დანიშნულების ხუთი სასწავლო სივრცე, როგორცაა ხმაგაუმტარი კარები; სასწავლო ოთახი, სადაც შეიძლება იხმაუროთ; ოთახები სერიოზული სამუშაოსა და ჯგუფური დავალებების შესასრულებლად. ბიბლიოთეკაში სასწავლო გარემო სახლის პირობებზე უფრო მიმზიდველი უნდა იყოს, იმისათვის, რომ უკეთ ვისწავლოთ, ყურადღების გაუფანტავად ვიმეცადინოთ, საჭიროა მშვიდი და სასიამოვნო, კეთილმოწყობილი და ტექნოლოგიურად უზრუნველყოფილი საბიბლიოთეკო სივრცე.

ბიბლიოთეკა, როგორც სწავლისა და სწავლების ადგილი უზრუნველყოფს ფონდების დათვალიერებას, სპეციალური კოლექციების გამოყენებას, სთავაზობს მკითხველს ბიბლიოთეკის პერსონალის დახმარებას, კომფორტულ სივრცესა და მასალებს აკადემიური სამუშაოს შესასრულებლად, სადაც უნდა გავეცნოთ ციფრულ ბიბლიოთეკებს, ვანარმობთ კვლევები, აღმოვაჩინოთ სიახლეები და შევხვდეთ სხვა მკვლევრებსა და სტუდენტებს დისციპლინური დისკუსიის გასამართად და შემოქმედობითობის გამოსავლენად. სენსმა (Sens, 2009) ხაზგასმით აღნიშნა, რომ აკადემიური ბიბლიოთეკა გადაიქცა სტუდენტურ ფორუმად, სადაც შესაძლებელია თანამშრომლობა; მეგობრებთან ერთად დროის სასიამოვნოდ გატარება; ჯანსაღ დებატებში ჩართვა; იდეების ურთიერთგაზიარება; სასწავლო გამოცდილების მიღება სხვადასხვა გზით. და, ეს ყოველივე შესაძლებელია ბიბლიოთეკაში, რომელიც მხარს უჭერს ამგვარ საქმიანობას და გამოირჩევა შენობის კარგი დიზაინით.

ნოდ გატარება; ჯანსაღ დებატებში ჩართვა; იდეების ურთიერთგაზიარება; სასწავლო გამოცდილების მიღება სხვადასხვა გზით. და, ეს ყოველივე შესაძლებელია ბიბლიოთეკაში, რომელიც მხარს უჭერს ამგვარ საქმიანობას და გამოირჩევა შენობის კარგი დიზაინით.

### **ბიბლიოთეკის, როგორც სივრცისა და ადგილის გავლენა აკადემიურ ბიბლიოთეკებზე**

ბიბლიოთეკის, როგორც სასწავლო სივრცის აღქმა, დაეხმარება ბიბლიოთეკის ადმინისტრატორებს, გააცნონ ბიბლიოთეკარებს ბიბლიოთეკის შენობის დაგეგმვისა და დიზაინის ტექნიკური საკითხები. ეს ეხება დაფინანსებას, ბიუროკრატიულ სტრუქტურებსა და ქვეყნის კანონმდებლობასაც კი. ბიბლიოთეკარებმა უნდა შეიძინონ მართვის უნარები და პოლიტიკური ნებისყოფა უნივერსიტეტის პოლიტიკური ლოკალიზაციის წინააღმდეგ, რათა შეინარჩუნონ ბიბლიოთეკა, როგორც სივრცე და ადგილი, თავიანთ უნივერსიტეტში.

აკადემიური ბიბლიოთეკა უნდა დაუბრუნდეს შუა საუკუნეების ევოლუციის მთავარ გეგმას, როგორც სწავლებისა და განსწავლულობის ცენტრს. ICT-ით გამოწვეული ცვლილება პედაგოგიაში აიძულებს ბიბლიოთეკას გამოიყენოს მრავალფუნქციურობის, მოქნილობის, ღიაობისა და შემოქმედებითობის (artistry) პრინციპები, რათა თანამედროვე ბიბლიოთეკის განთავსება შეესაბამებოდეს პარადიგმათა ცვლილებებს. ერშოვა და ხოხოლოვი (Ershova and Hohlov, 2000) საუბრობენ ბიბლიოთეკის მუდმივად ცვალებად გარემოზე, რაც საზოგადოების განვითარებითა და საინფორმაციო-კომპიუტერული ტექნოლოგიების ცოდნითაა შესაძლებელი. საინფორმაციო ტექნოლოგიების, ასევე სხვადასხვა სერვისების ხელმისაწვდომობა და ეფექტური გამოყენება მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის აუცილებელი ინსტრუმენტებია. ამასთან დაკავშირებით შემუშავებულია სხვადასხვა მოდელები. ერთ-ერთი ასეთი მოდელია „შერეული (ჰიბრიდული) ბიბლიოთეკა“.

ფაბუნმიმ (Fabunmi, 2009) გვიჩვენა ნიგერიის უნივერსიტეტის აკადემიური ბიბლიოთეკის

არასახარბიელო მდგომარეობა. არასწორი დაფინანსების გამო აქ სავალალო მდგომარეობა შეიქნა. ახალგამოცემული წიგნების, ჟურნალების, სხვა საკითხავი რესურსისა და პერსონალის ნაკლებობის გამო, შეილახა სასწავლო ობიექტები და დაზიანდა აღჭურვილობა. პრობლემები შეექმნა ბიბლიოთეკის შენობასაც. ამ რთული საკითხის მოგვარება შესაძლებელია ვირტუალური ბიბლიოთეკის პროექტის შექმნით, თუმცა რამდენად კარგიც არ უნდა იყოს წინადადება, ფაქტია, მის განხორციელებას კიდევ უფრო მეტი თანხა სჭირდება. თომასს (Thomas, 2009) მტკიცედ სჯერა, რომ ტექნოლოგიურად უზრუნველყოფილი ბიბლიოთეკები აქტუალურია თანამედროვე ეპოქაში. მან განაცხადა, რომ ბიბლიოთეკარები, არქიტექტორები და მომხმარებლები თანამშრომლობენ ელექტრონული და ფუნქციონალური დანაწილების პრინციპით, რომლებიც მოიცავს მოქნილობას და კომფორტს. უნდა შეიქმნას ისეთი სასურველი გარემო, რომელიც მხარს უჭერს აკადემიურ კვლევებსა და სასწავლო აქტივობებს.

მოდელი წარმოადგენს ერთიან სივრცეს (continuum) ტრადიციულ და ციფრულ ბიბლიოთეკას შორის, სადაც ელექტრონული და ბეჭდური რესურსები და სერვისები თანაარსებობენ, მაგრამ მეტი ყურადღება მახვილდება ელექტრონულ რესურსებსა და სერვისებზე. შერეული ბიბლიოთეკის უპირატესობა აღიარებულია მეცნიერთა მიერ ციფრულ ან ვირტუალურ ბიბლიოთეკასთან შედარებით მისი მოქნილობისა და მომხმარებელზე მორგებულობის გამო, როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ რესურსებზე. მიუხედავად ამისა, წიგნადი ფონდი ე. წ. ქაღალდის რესურსები (Paper resources) ჯერ კიდევ დიდი უმრავლესობითაა წარმოდგენილი ბიბლიოთეკაში მათი გამოყენების სიმარტივის გამო. ბიბლიოთეკა სოციალური დაწესებულებაა და სტუდენტები, მასწავლებლები და მკვლევრები ჩართულნი არიან ინფორმაციის მოძიების რთულ სოციალურ აქტივობაში, სადაც ადამიანის გამოცდილება და ქცევა გადამწყვეტ როლს თამაშობს. ამიტომ, შერეული ბიბლიოთეკის მკაცრი რეკომენდაციით ბიბლიოთეკა უნდა დარჩეს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ადგილად უნივერსიტეტში.

## დასკვნა და რეკომენდაცია

აკადემიური ბიბლიოთეკა, შუა საუკუნეებიდან დღემდე, რჩება ცენტრალურ სტრუქტურულ ნაგებობად. მისი მთავარი ფუნქციაა აკადემიური დაწესებულების საგანმანათლებლო და კვლევითი მიზნების დაკმაყოფილება. თუმცა ციფრული ევოლუცია და რევიზია საინფორმაციო სამყაროში გავლენას ახდენს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებზე. თანამედროვეობის ახალ მოთხოვნებზე მორგებულმა ბიბლიოთეკარებმა, არქიტექტორებმა და მომხმარებლებმა უნდა ითანამშრომლონ ისეთი ელექტრონული და ფუნქციონალური დიზაინის შესაქმნელად, რომელიც მხარს უჭერს სივრცის მართვას და ახალ შესაძლებლობებს. აკადემიური ბიბლიოთეკების თანამშრომლები მუდმივად უნდა იმალეზდნენ კვალიფიკაციას და ცოდნას, რაც აუცილებელია ბიბლიოთეკების აღორძინებისა და განახლებისათვის.

ახალი საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის სერვისების გათვალისწინებით, ყველა უმაღლესი სასწავლებლისათვის რეკომენდებულია ბიბლიოთეკის თანამედროვე შენობა, რომელიც ფუნქციონირებს ღიად, მოქნილად, მრავალფეროვნად და შემოქმედებითად (artistry). იმისათვის, რომ ბიბლიოთეკა, როგორც სივრცე და ადგილი, გადარჩეს ამ ათასწლეულში, შემოთავაზებულია შერეული ბიბლიოთეკის შექმნა ბეჭდვითი, აუდიოვიზუალური, ციფრული რესურსებითა და სერვისებით. ბიბლიოთეკის მშენებლობა და სივრცის მართვა აქტიურად უნდა ისწავლებოდეს საბიბლიოთეკო სკოლებში, რათა მომზადდნენ ბიბლიოთეკის მომავალი ადმინისტრატორები. აკადემიურ საზოგადოებასა და პერსონალს უნდა ჰქონდეს ცოდნა ბიბლიოთეკის შენობის ოპერატიულ მახასიათებლებზე.

**2011 წლის 29 აპრილი**

ინგლისურიდან თარგმნა:

**გიორგი კილაძემ**

ქართული ტექსტის რედაქტორი:

**ირმა სისაური**



**დავით გურგენიძე**

ეტიუდისტი, მსოფლიო ჩემპიონი საჭადრაკო  
ეტიუდების შედგენაში

მას შემდეგ, რაც ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა მსოფლიო საჭადრაკო მწვერვალები დაიპყრეს, ბევრმა მათი წარმატების საიდუმლოს ახსნა სცადა. გაიხსენეს ისიც, რომ ჩვენი წინაპრები ქალიშვილებს გათხოვებისას უკვდავ „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად ჭადრაკსაც ატანდნენ. მეოცე საუკუნეში იყო მცდელობა ამ ტრადიციის აღდგენის მიზნით სპეციალური „სამზითვო“ ჭადრაკი დაემზადებინათ. ვიმედოვნებ, რომ ამ სურვილს ჩვენში მომავალში ისევ დაუბრუნდებიან. ამჯერად, კი გავიხსენოთ ის ქალბატონები, ვისი მზითვი ჭადრაკითაც იყო დამშვენებული.

ჭადრაკი დამონებულია 1667 წლის მზითვის წიგნში, რომელიც ვახტანგ-V-ის (შაჰნავაზის) ასულს ეკუთვნის. ეს მზითვის წიგნი, დღემდე შემორჩენილ სხვა დანარჩენებთან შედარებით, ყველაზე მდიდრულია და მრავალფეროვანი.

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია მზითვის წიგნი, რომელიც ანუკა ბატონიშვილს ეკუთვნის. ექვთიმე თაყაიშვილის აზრით ეს დოკუმენტი 1712 წელს განეკუთვნება. იგი „ივერიაში“-ც გამოქვეყნდა 1899 წელს.

„საქართველოს გამგებელმან, ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ და თანამეცხედრემან ჩვენმან, ჩერქეზი მეფისა ასულმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან რუსუდან

# ჭადრაკი მზითვის წიგნში

ნებით განგებით და წადილითა ჩვენითა... აბა-შიძეს ბატონს ვახუშტის მივათხოვეთ მეუღლეთ და თანემეცხედრედ ასული ჩვენი... ბატონიშვილი ანუკა“.

მზითვის საერო წიგნების ჩამონათვალშია „ვეფხისტყაოსანი“, „ლეილ მიჯნური“, „საამიანი“ და სხვები. სათამაშებში ჩამოთვლილია: „ჭადრაკი ერთი, ნარდი ხათაბანდისა ერთი, განჯაფა ერთი, სავზი სურსი ერთი, კურდღელი და ავაზა ერთი, თაგვ-თვიშიგი ერთი და კიდევ სხვა წურილი სათამაშოები.“

მეცნიერები თვლიან, რომ უფრო ადრეულია ქილიფთარ ჯიმშიტა შიოშაშვილის მიერ თავის ქალისათვის გატანებული მზითვის სია. საბუთში როსტომ მეფეა მოხსენიებული. ამიტომ ეს ქორწინება 1632-1658 წლების შუალედში უნდა შემდგარიყო. ფრაგმენტი ნივთთა საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალიდან – „ნარდი ხათაბანდისა ერთი, ხასა განჯათა ერთი, ჭადრაკი ერთი, ოქროთ მოჭედილი საწერელი ერთი“.

1808 წელსაა შედგენილი მანუჩარ თუმანიშვილის ასულ ბარბარეს მზითვის წიგნი, რომელიც ექვსი ფურცლისგან შედგება. მასში ნარდი და ჭადრაკია მინერული..

ასევე ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული „მზითვის წიგნი მაკრინესი“ შედგენილი 1814 წლის 16 დეკემბერს. დოკუმენტის პირველ გვერდზე ფანქრით გაკეთებულია მინაწერი: „ზურაბ წერეთლის სახლთუხუცესის ასული, დავით მინბაშის თარხნიშვილის მეუღლე“ ამ მზითვის ჩამონათვალშია: „...ნარდი, ჭადრაკი ძვლით“.

ამავე პერიოდს (1826 წ. 1 აგვისტო) განეკუთვნება მზითვის წიგნი, რომელიც უცნობ




პიროვნებას მიუცია თავისი ქალიშვილი რუსუდანისთვის. იქ ნახსენებია – „ნარდის კაცები შირმაიისა, ჭადრაკის კაცები შირმაიისა.“

ცალკე საუბრის თემაა მზითვის წიგნი, რომელიც 10 ფურცლისგან შედგება და 1765-66 წლებს განეკუთვნება. ითვლებოდა, რომ ის ნინო გიორგის ასულ ბატონიშვილს ეკუთვნოდა. 1916 წელს სარა ბარნაველმა დაადგინა, რომ მზითვი ერეკლე მეორის დის ელისაბედის კუთვნილებაა. ელისაბედი ზემოთ აღნიშნულ წლებში კაცია დადიანს მიათხოვეს. ამ მზითვის წიგნში ნახსენები ჭადრაკი სხვებთან შედარებით ყველაზე მდიდრულია: „ჭადრაკი თევზის კბილისაა, ამის რუკა ფრანგულად ნაქმარი კუს ძვლისა, ნარდი ხათაბანდისაა, ამის კაცები ეშმისა“.

1774 წელს გამოცემულ წიგნში „საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები)“ განმარტებულია ჩვენთვის უცნობი სიტყვები: ხასა ნიშნავს განსაკუთრებით საუკეთესოს, ხოლო ხათაბანდის ყუთი – ინკუსტრაციით შემკული ყუთი, ყათაბანდის ყუთი – ხის ყუთი, სადაფის ან ლითონის ნაჭრებით ინკუსტრირებული. აქვე დავამატებთ, რომ ელისაბედის მზითევში ნახსენები რუკა ჭადრაკის დაფას ნიშნავს.


ექვთიმე თაყაიშვილის წიგნში „საქართველოს სიძველენი“ მოყვანილია 1796 წლის 15 აგვისტოს დაწერილი „მზითვის წიგნი იოანე დოლენჯაშვილის ქალის ანნასი“. წიგნი დაწერილია ლურჯ თაბახიან ქალაქდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ჩამონათვალში ნახსენებია – „ჭადრაკი ორი პილოს ძვალისა, ერთი სრული, მეორეს ორიოდ აკლდა“. ივანე ჯავახიშვილი კაპიტალურ ნაშრომში „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ (წიგნი 1 გვ.110.) მზითვის ეს წიგნიც გაითვალისწინა მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის შესწავლისას: „ამგვარადვე აღმოსავლეთ საქართველოს განადგურება – გაღარიბებას კარგად გვისურათებს იოანე დოლენჯაშვილის ქალის ანნას 1796 წ. მზითვის წიგნიც, წინანდებური სამკაულ – ტანისამოსის რამდენიმე ცხრა – ცხრაო-



მზითვის წიგნი

ბით გადათვლის მაგიერ აქ ყველაფერი, თავსაკრავის გარდა, თითო – თითო, ან მაქსიმუმი ორ – ორ, სამ – სამი ცალია დასახელებული. მის მშობლებს ისიც ვერ მოუხერხებიათ, რომ თავიანთი ასულისთვის ჭადრაკი სრულად გაეტანებინათ და ზითვის წიგნიც კი ნათქვამია: – „ჭ ა დ რ ა კ ი ო რ ი პ ი ლ ო ს ძ ვ ა ლ ი ს ა, ერთი სრული, მეორეს ორიოდ აკლდა“-ო“.

რამდენად დამკვიდრდება მომავალში მზითევში ჭადრაკის ფენომენი, ძნელი სათქმელია, თუმცა დარწმუნებით შეიძლება ითქვას, ზემოთ მოყვანილი მზითვის წიგნების სია, რომელშიც ჭადრაკიც ფიგურირებს, სრული არ არის.



**მარიამ გვინია**

საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნის მუზეუმში ინახება XVIII საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებული წიგნი სათაურით „საუბრები სამყაროთა სიმრავლეზე“ („Разговоры о множестве миров“). ეს არის ცნობილი ფრანგი მეცნიერისა და მწერლის, ბერნარ ლე ბოვიე დე ფონტენელის 1686 წელს გამოსული ნაშრომის „Entretiens sur la pluralité des mondes“ რუსული თარგმანი, რომელიც დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულების მქონეა. მთარგმნელად გვევლინება ანტიოქ კანტემირი. მან წიგნი 1730 წელს თარგმნა, თუმცა მზის შუქი მისმა ნამუშევარმა მხოლოდ ათი წლის შემდეგ, 1740 წელს იხილა და შემდეგში წინააღმდეგობებით აღსავსე გზა განვლო.

ბერნარ ლე ბოვიე დე ფონტენელი (1657-1757) საფრანგეთის ქალაქ რუანში, არისტოკრატიულ ოჯახში დაიბადა. იეზუიტთა ორდენის პროტექტორატის ქვეშ მყოფმა ახალგაზრდამ ჯერ იურიდიული პროფესია აირჩია, თუმცა მალევე დაკარგა ინტერესი ამ საქმისადმი და ლიტერატურულ მოღვაწეობას შეუდგა. დედის მხრიდან ფონტენელი ცნობილ ფრანგ დრამატურგ კორნელს ენათესავებოდა – სწორედ მისი წარმატებული კარიერა იყო მაგალითი დამწყები მწერლისათვის. ფონტენელი წერდა პიესებსა და სონეტებს, თუმცა მათ ვერ მოუტანეს სასურველი აღიარება. მიუხედავად ამისა, მისი ლიტერატურული ძიების პროცესი მაინც ხანმოკლე აღმოჩნდა და 1680-იან

## საუბრები სამყაროთა სიმრავლეზე

წლებში მან უკვე მიაგნო შესაფერის ფორმას – სამეცნიერო-პოპულარულ თხრობის მანერას. სწორედ აქ წარმოჩინდა ყველაზე უკეთ ავტორის მსოფლმხედველობა და ფილოსოფია. 1686 წელს გამოვიდა ფონტენელის ზემოხსენებული ნაშრომი, რომელმაც მწერალი საქვეყნოდ ცნობილი გახადა. 1691 წელს მან საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრობა მიიღო. აკადემიკოსის საპატიო წოდებას ფონტენელი 66 წლის მანძილზე ატარებდა, 1699-1741 წლებში კი აკადემიის მუდმივი მდივან-რეფერენტი გახლდათ.



ბერნარ ლე ბოვიე დე ფონტენელი

რენე დეკარტის თაყვანისმცემელ ფონტენელს მიაჩნდა, რომ ყველანაირი ჭეშმარიტება შემოწმებასა და დამტკიცებას საჭიროებს. იგი ყველაფერს სწორედ ამ „რადიკალური ეჭვის“ მეთოდს უსადაგებდა, ჰქონდა კრიტიკული

დამოკიდებულება რელიგიისადმი, უარყოფდა ზებუნებრივის არსებობას, წარმართობის გაკიცხვით შენიღბულ თავის ნაშრომებში აკრიტიკებდა კათოლიციზმს და პაპის ინსტიტუტს. ცნობილი ფილოსოფოსი და მოაზროვნე ვოლტერი ფონტენელს ლუი XIV ეპოქის ყველაზე ნათელ გონებას უწოდებდა.

მეცნიერმა თითქმის 100 წელი იცხოვრა და განმანათლებლობის ეპოქას მოესწრო, რომლის უშუალო ხელშემწყობიც თავად იყო. გარდა ამისა, იგი ამ ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ წარმომადგენელთან, შარლ ლუი დე მონტესკიესთან მეგობრობდა. ფონტენელის იდეები მისი დროისათვის პროგრესული და ინოვაციური იყო. იგი, ფაქტობრივად, გახლდათ პირველი მოაზროვნე, რომელმაც თავის ნაშრომში წამოჭრა თეორია სიცოცხლის მზის სისტემის მიღმა არსებობის შესახებ. მანამდე გარკვეული მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით ჯონათან კეპლერსაც გამოუთქვამს, მაგრამ ფონტენელმა შეძლო ყოველივე ამის სტრუქტურულად და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გასაგები, მარტივი ენით ჩამოყალიბება. სწორედ ამიტომ, „Entretiens sur la pluralité des mondes“ მეცნიერების პოპულარიზაციის პირველ მცდელობად ითვლება.

არანაკლებ საინტერესოა ფონტენელის ნაშრომის ჩვენთვის საყურადღებო რუსული თარგმანისა, თავად მთარგმნელის ბედიც. ანტიოქ კანტემირი (1708-1744) დაიბადა კონსტანტინოპოლში, მოლდოვის მთავრის, დმიტრი კანტემირისა და ვლახეთის თავადის, კასანდრა კანტაკუზენის ოჯახში. რუსეთ-ოსმალეთის 1710-1713 წლების ომის მსვლელობისას, პეტრე I-მა მოაწყო ე.წ. პრუტის ლაშქრობა მოლდოვის სამთავროში. ამ ლაშქრობის დროს მანამდე ოსმალეთის სულთნის სამსახურში მყოფი დმიტრი კანტემირი რუსეთის იმპერიის მხარეს გადავიდა. პეტრე I ჯარითურთ ამ შეტაკებაში დამარცხდა, თურქებმა კი „მოლაღატე“ კანტემირის გადმოცემა მოითხოვეს, რის გამოც იგი იძულებული გახდა, მიეტოვებინა მამულები და ოჯახთან ერთად რუსეთის იმპერიაში გაქცეულიყო. იქ კანტემირების საგვარეულოს თავადის წოდება ებოძა. მათ მალევე გაიმადრეს პოზიციები სამეფო კარზე. არსებობს ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ანტიოქ კანტემირის და, მარია, პეტრე დიდის საყვა-



ანტიოქ კანტემირი

რელი იყო და მეფე მასზე დაქორწინებასაც კი გეგმავდა.

ანტიოქ კანტემირმა – მომავალმა პოეტმა, სატირიკოსმა და მთარგმნელმა – განათლება ჯერ მოსკოვში, შემდეგ კი პეტერბურგში მიიღო. მისი მენტორები იმ დროს ახლადგახსნილი მეცნიერებათა აკადემიის საუკეთესო პროფესორები იყვნენ. ოცი წლის კანტემირმა დანერა თავისი პირველი სატირული ნაწარმოები, რომელიც პოლიტიკურ კონტექსტს შეიცავდა და უმალ მიიქცია საზოგადოების ყურადღება. ამავე პერიოდში იგი უკვე გაიტაცა ფონტენელის ასტრონომიულმა ნამუშევარმა. კანტემირი შეუდგა თარგმანს, რომელიც 1730



ВЕЧЕРЬ ВТОРЫИ

ВЪ КОТОРОМЪ ДОКАЗЫВАЕТСЯ, ЧТО ЛУНА ЕСТЬ ЗЕМЛЯ ОБИТАННА.

ილუსტრაცია რუსული თარგმანიდან

წელს დაასრულა და მისი გამოცემა გადაწყვიტა, მაგრამ ბევრ წინააღმდეგობას გადააწყდა – გამომცემელმა, რომელსაც ხელნაწერი გავგზავნა, წიგნის გამოცემის ხარჯების დასაფარად, მეცნიერებათა აკადემიას მიმართა. მეცნიერებათა აკადემიის კანცელარიის მმართველმა მოითხოვა მთავრობისა და სინოდის წერილობითი თანხმობა, რომლის მოპოვებაც, ნაწარმოების თემატიკიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო. მიმონერა და კამათი თარგმანის გამოცემა-არგამოცემის საკითხთან დაკავშირებით 1738 წლამდე გაგრძელდა. თავად ანტიოქ კანტემირი ამ დროისათვის უკვე ლონდონში გადასახლდა და ინგლისში რუსეთის იმპერიის წარმომადგენლის თანამდებობა დაიკავა.

წიგნის გამოცემაზე მეცნიერებათა აკადემია მხოლოდ 1740 წელს, ანუ თარგმანის დასრულებიდან ათი წლის შემდეგ, დათანხმდა. ამ დროისათვის ანტიოქ კანტემირი უკვე მძიმედ დაავადდა და 1744 წელს საფრანგეთში გარდაიცვალა. ამით ფონტენელის ნაშრომის რუსული თარგმანის ისტორია არ სრულდება – ის ვნებათაღელვავ, რომელიც წიგნმა გამოცემის-

თანავე გამოიწვია, წლების მერეც არ დამცხრალა. ეკლესია ყველანაირად ცდილობდა, შეეზღუდა ეგზემპლარების გავრცელება. 1756 წელს გამოვიდა სინოდის განჩინება, რომელშიც ნაბრძანები იყო უკვე გაყიდული ცალეების მკითხველისათვის ჩამორთმევა და სინოდისთვის გადაცემა („რათა ამიერიდან, უსასტიკესი სასჯელის შიშით, არვინ გაბედოს წმიდა და შეუზღალავი ჩვენი სარწმუნოების საწინააღმდეგოდ რაიმეს დაწერა თუ დაბეჭდვა, მათ შორის სამყაროთა სიმრავლის შესახებ, ვბრძანებთ, ფონტენელის მკითხველთა ხელთ არსებული აღნიშნული წიგნი, თარგმნილი თავად კანტემირის მიერ, ამოღებულ იქნეს და დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სინოდს“). მიზანი გახლდათ მსგავსი ლიტერატურის და ზოგადად სამყაროთა სიმრავლის შესახებ გაჟღერებული „ულმერთო თეორიების“ შემცველი ნაწარმოებების შექმნის პრევენცია. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ, ამ აკრძალვების მიუხედავად, 1761 წელს ფონტენელის ანტიოქ კანტემირისეული თარგმანი ხელახლა გამოიცა. ზუსტად დაუდგენელია, თუ რამდენი ეგზემპლარი განადგურდა ამ დევნის პერიოდში. ფაქტია, რომ დღესდღეობით „Разговоры о множестве миров“ იშვიათ და ძვირფას გამოცემას წარმოადგენს.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ეგზემპლარი მუქ ყავისფერ ტყავის ყდაშია ჩასმული. წიგნის არშიებს ირგვლივ ოქროსფერი ორნამენტი მიუყვება. თავფურცელი სათაურით, ავტორისა და მთარგმნელის ვინაობით, დაკარგულია. შემდეგი გვერდი იმპერატრიცა ანას მფარველობის ქვეშ მყოფი მეცნიერებათა აკადემიისადმი მიძღვნას ეთმობა. ანა რომანოვა რუსეთის იმპერიას 1730-1740 წლებში მართავდა და იყო პეტრე დიდის ძმისშვილი. შემდეგ გვერდზე მთარგმნელის წინასიტყვაობაა მოცემული – კანტემირი წერს, რომ ფონტენელის ეს უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები არაერთ ენაზეა თარგმნილი. მასში ფიზიკისა და ასტრონომიის რთული საკითხები საოცრად მსუბუქი და მარტივი, ადგილებში კი ხალისიანი ენითაა გადმოცემული. ასევე, მთარგმნელი აღნიშნავს, რომ ნაშრომს ურთავს განმარტებებს, რომელშიც ახსნილია რუსი მკითხველისთვის მანამდე უცნობი სიტყვები (მაგალითად,



ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ეგზემპლარი

„სისტემა“, „ინტრიგა“ თუ სხვა), ისტორიული ცნობები და ა.შ.

მთარგმნელის წინასიტყვაობას მოსდევს უშუალოდ წიგნის ავტორის წინასიტყვაობა. იგი განმარტავს, თუ რატომ დაინტერესდა აღნიშნული საკითხებით. მისი აზრით, ადამიანს ზოგადი წარმოდგენა მაინც უნდა ჰქონდეს სამყაროს მოწყობის შესახებ. ფონტენელი წერს, რომ მის წიგნში ჭეშმარიტება და სიცრუე ერთმანეთს ერწყმის. „საუბრები სამყაროთა სიმრავლეზე“ ექვსი თავისგან შედგება – მათ ავტორი საღამოებს უწოდებს. თხრობის ფორმად დიალოგი შეიქმნა, რადგან იგი ტექსტს გასაგებს ხდის ნებისმიერი მკითხველისთვის. დიალოგს ავტორი თავის მეუღლესთან აწარმოებს, რომლის სახეც განზოგადებულია და მის ადგილას ერთი მარკიზა გვევლინება.


I თავში მტკიცდება, რომ დედამიწა საკუთარი ღერძის ირგვლივ, სხვა პლანეტებთან ერთად კი მზის ირგვლის ტრიალებს. დედამიწის ირგვლივ მბრუნავ ერთადერთ სხეულს მთვარე წარმოადგენს. ზოგადად, ფონტენელის ნაშრომი კოპერნიკის ჰელიოცენტრულობის თეორიას ეფუძნება – რენესანსის ეპოქის ამ ასტრონომს და მათემატიკოსს ავტორი არაერთხელ ახსენებს. მთხრობელი თავის თანამოსაუბრე მარკიზას უხსნის, რომ დედამიწის, მზისა და მთვარის გარდა არსებობს ხუთი პლანეტა (ავტორი მათ ვარსკვლავებს უწოდებს): მერკური, ვენუსი (პლანეტა ვენერა რუსულ თარგმანში „ვენუსის“ ფორმით გვხვდება), მარსი, იუპიტერი და სატურნი. თითოეული მათგანი დედამიწისგან სხვადასხვა დაშორებაზეა და განსხვავებული სიჩქარით მოძრაობს. ყველაზე შორს სატურნია და სწორედ მას უწევს მზის გარშემო ყველაზე დიდი წრის დარტყმა (ურანის, ნეპტუნისა და პლუტონის აღმოჩენამდე სატურნი მზისგან ყველაზე შორს მყოფ პლანეტად ითვლებოდა). მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის მხოლოდ ხუთი პლანეტა იყო ცნობილი, ფონტენელი არ განაგებდა იმ აზრს, რომ სხვებიც არსებობენ და კაცობრიობამ მათ შესახებ ჯერ-ჯერობით არაფერი იცის.

II და III თავებში გამოთქმულია ვარაუდი მთვარეზე და სხვა პლანეტებზე არსებული სიცოცხლის შესახებ. ფონტენელი ავითარებს

იმ აზრს, რომ შეუძლებელია მხოლოდ ადამიანები ვიყოთ ერთადერთი ცოცხალი არსებები მთელ სამყაროში. ამავეს ამტკიცებენ მეცნიერები, რომლებიც „საყურებელი მოწყობილობებით“ აკვირდებიან პლანეტებს (ფონტენელი გულისხმობს ტელესკოპს, რომელიც 1609 წელს გალილეო გალილემ გამოიგონა). მიუხედავად იმ ინტერესისა, რომელსაც მწერალი კოსმოსისადმი ავლენს, იგი აღნიშნავს, რომ მხოლოდ საკუთარი მიწის (პლანეტის) შესწავლის შემდეგ შეძლებს ადამიანი სხვა მიწების შეცნობას.

IV თავი (მეოთხე საღამო) სხვა პლანეტების თავისებურებების აღწერას ეთმობა. აქ რამდენიმე საინტერესო დეტალის გამოყოფა შეიძლება: 1) მზე თვისობრივად განსხვავდება სხვა პლანეტებისაგან, იგი ცეცხლოვანი მასისაგან შემდგარი ბურთია და მასზე არ უნდა ვეძიოთ რაიმე სახის სიცოცხლე; 2) მთვარე უკან აბრუნებს იმ შუქს, რომელსაც დედამიწისგან იღებს, დედამიწა კი – მზისგან. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთვარის მიერ შუქის არეკვლის თეორია იმ პერიოდში უკვე არსებობდა; 3) არსებობს ინფორმაცია აღმოჩენილი პლანეტების სატელიტების შესახებ – ასე, მაგალითად, ფონტენელი წერს, რომ იუპიტერს ოთხი სატელიტი პლანეტა გააჩნია; 4) ფრანგული ორიგინალის შექმნის დროისათვის უკვე ცნობილი იყო, რომ სატურნს რგოლები არტყია – 1659 წელს ნიდერლანდელმა ფიზიკოსმა და ასტრონომმა, კრისტიან ჰიუგენსმა, აღმოაჩინა ბრტყელი რგოლები პლანეტის ირგვლივ, 1675 წელს კი უკვე იტალიელმა ასტრონომმა ჯოვანი კასინიმ დაადგინა, რომ რგოლების რაოდენობა სულ ორია და მათ ერთმანეთისგან გარკვეული მანძილი აშორებთ (მოგვიანებით ამ მანძილს „კასინის ნაპრალი“ ეწოდა); 5) აქვე საუბარია სატურნის ხუთ თანამგზავრზე. და მართლაც, სატურნის დღეისათვის აღმოჩენილი 82 თანამგზავრიდან XVII საუკუნეში მხოლოდ ხუთი იყო ცნობილი: ერთი ჰიუგენსმა აღმოაჩინა, დანარჩენი ოთხი კი – კასინიმ. ფონტენელი ნაშრომში ახსენებს თავის თანამედროვე ამ ორ ასტრონომს.

V თავში საუბარია ვარსკვლავთა წარმოშობაზე და თვისებებზე, VI თავი კი შემაჯამებულია. მთხრობელი მარკიზას განუმარტავს,



მზის სისტემის ილუსტრაცია ფრანგული  
ორიბინალიდას

რომ ვარსკვლავები ცის კაბადონზე უძრავად  
ციმციმებენ, თუმცა ზოგი მათგანი იკარგება  
და მერე კვლავ ჩნდება. ავტორი ვარსკვლა-

ვებს მცირე ნახევარმზებებს უწოდებს – შესაძ-  
ლოა, XVII საუკუნის მეცნიერებაში უკვე არსე-  
ბობდა თეორია იმის შესახებ, რომ მზე ჩვენი  
გალაქტიკის ერთადერთი ვარსკვლავია.

როგორც უკვე ითქვა, ბერნარ ლე ბოვიე დე  
ფონტენელის ნაშრომის 1740 წელს გამოსუ-  
ლი რუსული თარგმანი დიდ ლიტერატურულ  
მოვლენას წარმოადგენდა. მასში გაჟღერებუ-  
ლი თეორიები ეწინააღმდეგებოდა მაშინდელ  
რუსეთის იმპერიაში არსებულ წარმოდგენებს  
კოსმოსის და ზოგადად სამყაროს წყობის შე-  
სახებ. გამოქვეყნებისთანავე კრიტიკის კორი-  
ანტელი დაატყდა, პირველ რიგში, მთარგმნელ  
ანტიოქ კანტემირს, რომელსაც მართლმადი-  
დებლური ეკლესიის მოძღვრების შერყვნაში  
დასდეს ბრალი. მიუხედავად აკრძალვებისა და  
წიგნის წინააღმდეგ აგორებული კამპანიისა,  
ინტერესი ფონტენელის ნაშრომის მიმართ  
მომდევნო საუკუნეშიც არ განელებულა. სა-  
ერთო ჯამში, „Разговоры о множестве миров  
господина Фонтенелла Парижской Академии  
наук секретаря“ სულ სამჯერ გამოიცა, მაგრამ  
პირველი, ანტიოქ კანტემირისეული თარგმანი  
მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი და ძვირფასი  
გამოცემა გახლავთ.



#### წყაროები:

1. Майоров Ю.И. – Фонтенель и его «Разговоры о множестве миров», Ярославский педагогический вестник, №3 (15), 1998;
2. <https://mathshistory.st-andrews.ac.uk/Biographies/Fontenelle/>;
3. <https://www.britannica.com/biography/Bernard-Le-Bovier-sieur-de-Fontenelle>;
4. <https://www.rusbibliophile.ru/Book/Fontenel-B-Razgovory-o->;
5. <https://academcity.org/content/mnozhestvo-mirov-fontenelya>.



## ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი და მისი ბიბლიოთეკა

### მაკა გვახვილიძე

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის  
ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი



ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი (ბნსუ) მდებარეობს ბათუმში, შავი ზღვის სანაპიროზე და არის საზღვაო პროფილის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. საქართველო საზღვაო განათლებაში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ქვეყანაა. პირველი საზღვაო სასწავლებელი ბათუმში ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე გაიხსნა.

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი თავის ისტორიას ითვლის 1998 წლიდან, როცა დაარსდა „ბათუმის საზღვაო კოლეჯი – მეზღვაურთა სკოლა“. 2007 წელს მეზღვაურთა სკოლის ბაზაზე შეიქმნა უნივერსიტეტი, რომელიც 12 წელზე მეტია, წარმატებით ვითარდება.

ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი ფლობს ISO ხარისხის საერთაშორისო სტანდარტთან

შესაბამისობის სერტიფიკატს, გააჩნია საერთაშორისო აღიარების დამადასტურებელი სერტიფიკატები, საერთაშორისო საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს (EMSA) აღიარება, საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარების დოკუმენტი. ბნსუ არის აკრედიტებული და ავტორიზებული დარგობრივი საგანმანათლებლო ცენტრი. მას უჭირავს განსაკუთრებული ადგილი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში თანამედროვე აღჭურვილობითა და საკუთარი სასწავლო-საწვრთნელი გემით. ბნსუ თანამშრომლობს 11 საკრუინგო და 8 ლოგისტიკურ კომპანიასთან. უნივერსიტეტს ჰყავს სახელმეკრულებო სამეცნიერო და სასწავლო პარტნიორები მსოფლიოს 20 ქვეყანაში.



ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალი

ბნსუ-ში მოქმედებს ორი ფაკულტეტი – საზღვაო-საინჟინრო და ლოგისტიკის ფაკულტეტები, სადაც ხორციელდება სამი პროფესიული, ოთხი საბაკალავრო და ერთი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულია საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრი, რომელიც ახორციელებს ბნსუ-ს საზღვაო უმაღლესი და პროფესიული საფეხურების სტუდენტებისა და მოქმედი მეზღვაურების მომზადებას, გადამზადებასა და სერტიფიცირებას ეროვნული და საერთაშორისო საზღვაო კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე სპეციალიზირებული ლაბორატორიებით, კაბინეტებით, საზღვაო სიმულატორებითა და ტრენაჟორებით. ცენტრის დაპროექტება სიმულატორებით განახორციელა საყოველთაოდ ცნობილმა სიმულატორების მწარმოებელმა კომპანიამ “Transas Marine”, რომელიც ამჟამად წარმოდგენილია მსოფლიოში წამყვანი საზღვაო ტექნოლოგიების სფეროში კომპანია Wartsila-ს სახით.

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ერთ-ერთ ძირითად საწვრთნელ ბაზას წარმოადგენს სასწავლო-საწვრთნელი გემი „ელიტა“. ის განკუთვნილია საწვრთნელი კურსების, სტუდენტთა პრაქტიკული მეცადინეობისა და სასწავლო პრაქტიკისათვის და აღჭურვილია თანამედროვე საწვრთნელი ხელსაწყოებითა და მექანიზმებით. პრაქტიკულ კურსებს გემზე ხელმძღვანელობენ გემის კაპიტანი და უფროსი მექანიკოსი.

### სამეცნიერო საქმიანობა

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას ეწევა. ბნსუ-ში ყოველწლიურად ტარდება მეზღვაურის საერთაშორისო დღისადმი მიღწილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას ლებულობს ბნსუ-ს ყველა ადილობრივი და უცხოელი პარტნიორი უნივერსიტეტი. ყოველწლიურად ბნსუ თანაორგანიზატორის სტატუსით მონაწილეობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 7-მდე კონფერენციაში.

ყოველი წლის 17 მაისს ბნსუ მასპინძლობს სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციას. 2020 და 2021 წლებში, ონლაინ-ფორმატში ჩატარებულ სტუდენტურ კონფერენციაში 11 ქვეყნის 120-მდე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა.

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტის ერთობლივ გამოცემას წარმოადგენს ჟურნალი „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“, რომელშიც ქვეყნდება ქართული და უცხოელი ავტორების სამეცნიერო სტატიები ინოვაციური ეკონომიკისა და მართვის აქტუალურ საკითხებზე.

ჟურნალი „ინოვაციური ეკონომიკა და მართვის“ პირველი ნომერი გამოიცა 2016 წლის მაისში. ჟურნალს ჰყავს სარედაქციო კოლეგია, რომელიც დაკომპლექტებულია ეკონომიკისა და მართვის დარგში მოღვაწე ქართველი და უცხოელი მეცნიერებისა და პრაქტიკოსი სპეციალისტებით, რომლებიც ფლობენ უმაღლეს პრაქტიკულ და თეორიულ კვალიფიკაციას, არიან აღიარებული კომპეტენციის მქონე სპეციალისტები: მეცნიერებათა დოქტორები, აკადემიური დოქტორები, სხვადასხვა ეროვნული და დარგობრივი აკადემიების წევრები, პროფესორები.



## ბიბლიოთეკა

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წარმოადგენს უნივერსიტეტის სასწავლო-საინფორმაციო მომსახურების ცენტრს და უზრუნველყოფს მომხმარებელთა საინფორმაციო საჭიროებების და ინტერესების გათვალისწინებით საბიბლიოთეკო და საინფორმაციო საქმიანობის ორგანიზებასა და საბიბლიოთეკო ფონდებით სარგებლობას.

ბნსუ-ს ბიბლიოთეკის ფონდი აერთიანებს სახელმძღვანელოების, სასწავლო-მეთოდური მასალების, რიდერების და სხვა ბეჭდურ და ელ-ვერსიებს. ასევე, ელექტრონული ფონდი მოიცავს ელ-მატარებლებზე არსებულ აუდიო-და ვიდეომასალებს. ბიბლიოთეკა დაკომპლექტებულია საზღვაო დარგისა და სატრანსპორტო ლოჯისტიკის ლიტერატურით, ასევე წარმოდგენილია თანამედროვე და კლასიკური მხატვრული ლიტერატურის გამოცემებით.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს 16900-ზე მეტ ერთეულს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. ყოველწლიურად ბიბლიოთეკა ახორციელებს ახალი ლიტერატურით წიგნადი ფონდის გამდიდრებას. ბიბლიოთეკას გააჩნია ელექტრონული კატალოგი: Open Biblio. ბნსუ-ს ბიბლიოთეკის მომხმარებელს ასევე აქვს შესაძლებლობა, ისარგებლოს უნივერსიტეტის შიდა ელექტრონული საბიბლიოთეკო მომსახურებით და მოიძიოს და დაჯავშნოს საჭირო ლიტერატურა ([www.bntu.ini.ge](http://www.bntu.ini.ge)).

ბნსუ სარგებლობს „ელსევირის“ სამეცნი-

ერო ბაზებით. ბნსუ-ს სტუდენტებსა და პერსონალს შეუძლია აგრეთვე ისარგებლოს საერთაშორისო ბიბლიოთეკით "Wetherbys Library", რომელიც მოიცავს საზღვაო დარგში IMO-ს უახლეს გამოცემებს. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გააჩნია კომფორტული, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი.

პანდემიის პერიოდი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის ახალი გამოწვევების მიზეზი აღმოჩნდა. მთლიანი სასწავლო პროცესი დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა, მათ შორის, ბიბლიოთეკის მუშაობაც. პანდემიის დაწყების მომენტისათვის, ბნსუ-ს სასწავლო ლიტერატურა და სალექციო კურსები უკვე ატვირთული იყო შიდა საუნივერსიტეტო ბაზაში. სტუდენტებმა სატელეფონო და ონლაინ-კონსულტაციების დახმარებით შეძლეს სასწავლო სემესტრის განმავლობაში საჭირო ლიტერატურის მოძიება და გამოყენება.

ბნსუ-ს ბიბლიოთეკა ყოველთვის ჩართულია საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ ორგანიზებულ სასწავლო თუ საინფორმაციო შეხვედრებში და აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან.

2021 წლის მაისიდან მიმდინარეობს უნივერსიტეტის მასშტაბური რეკონსტრუქცია, რომლის შედეგადაც, ბიბლიოთეკისათვის გამოიყოფა ახალი სივრცე. 2023 წლისათვის რეკონსტრუქცია დასრულდება და ბიბლიოთეკა და მისი აღჭურვილობა გაიმართება უახლესი ევროპული სტანდარტის შესაბამისად.



ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი




ალექსანდრე ლორია

## ინფორმაციულ- ბიბლიოგრაფიული თვალსაზრისი

გასულ წელს ერთმანეთის მიყოლებით გამოცა პროფ. როლანდ თოფჩიშვილის გამოკვლევების ორი წიგნი: „Культурно-исторические вопросы миграции горского населения Восточной Грузии“ და „დვალეთი და დვალეები“.


ჩვენს ცხოვრებაში გახშირებული სეპარატისტული სულისკვეთების შემოჭრის გამო მნიშვნელოვანია შესაბამისი თემატიკის მეცნიერულად დამუშავება და მისი რუსულ ენაზე გამოქვეყნება. უბედურება ისაა, რომ სეპარატისტების წისქვილზე წყლის დასხმა ქართველ „მოღვაწეთა“ შორისაც შეინიშნება, რასაც სამართლიანი, საფუძვლიანი ბრძოლა უნდა დაუპირისპირდეს. რ. თოფჩიშვილის მოღვაწეობა ამ მიმართულებით განსაკუთრებულად გამოირჩევა, რასაც ეს წიგნებიც ადასტურებს.

**Культурно-исторические вопросы миграции горского населения Восточной Грузии (на примере Пшави и Хевсурети) / Роланд А.Топчишвили ; Редактор Натия Джалабадзе. -Тб., 2021.**



ცნობილია, რომ აქ აღნიშნული პირველი გამოკვლევა 1984 წელს ქართულად იყო გამოქვეყნებული და მალევე ითარგმნა რუსულად. წიგნში მოცემულია უკვე ცნობილი წყაროების ანალიზი ეთნიკური და ლინგვისტური მასალისა მთიულთა მიგრაციის შესახებ მე-18-20 საუკუნეებში. ავტორის ყურადღება ძირითადად მიპყრობილია იმ ხანგრძლივი პროცესის მიმართ, რომელიც, საერთოდ, მიგრაციას ახასიათებს. განხილულია მიგრაციის მიზეზები, ფორმები და მარშრუტები, აგრეთვე ის თავისებურებები, რაც თან ახლავს სოციალურ-კულტურულ ადაპტაციას.

წიგნში საკმაოდ ვრცელი შესავლის შემდეგ მასალა განლაგებულია შესაბამისი თავებისა და პარაგრაფების მიხედვით, რომლებშიც განხილულია მიგრაციული პროცესები ძირითადად ფშავლების, ხევსურების, ერწო-თიანეთელებისა. საუბარია ტოპონიმებსა და კულტურულ ძეგლებზე. ავტორი იძლევა განსახლების ფორმის ანალიზს. ის მათ ორ ტიპად განიხილავს, აგრეთვე ეხება განსახლებულთა სამეურნეო-საოჯახო სფეროს, რელიგიურ-სოციალურ ადაპტაციას, იძლევა დიალექტიკური ცვლილებების დახასიათებას, რასაც მოსდევს „ძირითადი დასკვნები“ და გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია. წიგნი შეიცავს 178 გვერდს. გამოცემულია შპს „მნიგნობარის“ მიერ.



**„დვალეთი და დვალეები“: საქართველოს და-კარგული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე და ქართველთა გამქრალი ეთნოგრაფიული ჯგუფი. მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა.-თბ., 2021.-317 გვ.**

როგორც ნიგნის ანოტაცია გვაცნობს, „ნაშრომში გაანალიზებულია დვალეთისა და დვალეების შესახებ არსებული სხვადასხვა მონაცემები და მიღებულია დასკვნა, რომ ცენტრალურ კავკასიაში მდებარე დვალეთი საქართველოს სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის დღიდან მისი განუყოფელი ნაწილი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა და დვალეები ეთნიკური ქართველები, ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი იყო“. ავტორი თანმიმდევრული და ლოგიკური მსჯელობით, გეოგრაფიული წყაროების ანალიზით, ეთნოგრაფიული და კულტურული ძეგლების შესახებ ცნობების მოხმობით, არსებული ფაქტების მეცნიერული განსჯითა და დასკვნების გამოტანით ნათლად ასაბუთებს ამ მოსაზრების სისწორეს. ეს კი სავსებით აბათილებს ყოველგვარ სანინააღმდეგო მოსაზრებას, რის დამკვიდრებასაც სეპარატისტულად განწყობილი პოლიტიკური სულისკვეთებით გაჟღენთილი ადამიანები ცდილობენ. ამ მხრივ, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, აშკარაა მოცემული მონოგრაფიის მნიშვნელობა როგორც მეცნიერული, ისე ჭეშმარიტების განსაზღვრის თვალსაზრისითაც.

ნიგნს წინ უძღვის ივანე ჯავახიშვილის მოკლე გამონათქვამები მოცემულ პრობლემებთან დაკავშირებით, რაც კიდევ უფრო ამყარებს ავტორის მიერ მიღწეული მეცნიერული კვლევის შედეგებს.

ნაშრომი დაყოფილია თემატურ ნაწილებად.

მოკლე შესავლის შემდეგ წარმოდგენილია თავები: 1.წერილობითი წყაროები დვალეთისა და დვალეების შესახებ. საკითხის შესწავლის ისტორიოგრაფია; 2.დვალეთის ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხები; 3.ქრისტიანობა დვალეთში; 4. ლუნდის სახარების XIV-XV საუკუნეების მიჯნის მინაწერი – დვალთა ქართველობის დამადასტურებელი წყარო; 5.დვალეთის მატერიალური კულტურის ძეგლები; 6.ანთროპონიმები დვალეების ეთნიკური კუთვნილების შესახებ; 7.ტოპონიმები დვალთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ; 8.ეთნოგრაფიული მონაცემები დვალეების შესახებ; 9.ფოლკლორი დვალთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ; 10. დვალთა მეტყველების შესახებ. დასასრულს მოცემულია დასკვნა.

მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს ის, რომ ნაშრომის ბოლოს მოცემულია საკმაოდ ვრცელი რეზიუმე რუსულ ენაზე, რაც საგრძობლად აფართოებს ნიგნის მკითხველთა არეალს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნიგნის ბოლოში დანართის სახით წარმოდგენილი მასალა, რომელიც ერთგვარად პოლემიკური სახის შენიშვნებს შეიცავს, თუმცა მისი არა კლასიკური გაგებით. ეს არის მოზრდილი პუბლიცისტიური სტატია, რომელიც ეხება რ. თოფჩიშვილის ოპონენტების გამონათქვამებს, გაუმართლებელი, სამეცნიერო საზოგადოებისათვის ყოველად შეუფერებელი გამოთქმების ნაკადით სავსეს.

ნაშრომში მოცემულია უაღრესად ზუსტად აღწერილი დიდი ბიბლიოგრაფიული მასალა სქოლიებისა თუ შენიშვნების სახით, რაც ერთიორად ზრდის ნიგნის მნიშვნელობას. შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს ნიგნის შიდა ბიბლიოგრაფიის ნიმუში.

ორიოდე სიტყვით მინდა აღვნიშნო, რომ ამგვარი ლიტერატურა ბიბლიოთეკისათვის ფრიად საჭირო და სასარგებლოა. ჩვენს ჟურნალში არაერთხელ გამოთქმულა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ბიბლიოთეკებმა უნდა გააძლიერონ აქტივობა მხარეთმცოდნეობით მასობრივ მუშაობასთან დაკავშირებით. მინდა მოვუწოდო ჩვენს ბიბლიოთეკებს, გააფართოონ შესატყვისი ლიტერატურით მკითხველთა მომსახურება, როგორც ინფორმაციულ-ბიბლიოგრაფიული, ისე მხარეთმცოდნეობითი ლიტერატურის გავრცელებისა და პროპაგანდის მიზნით. დღეს ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმეა.



**მონაზონი იოსანე (მამუკა) ცუხიშვილი**

*საქართველოს საპატრიარქოს სოფლების ისტორიის მემწვანელი სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი; სამეცნიერო ჟურნალის „მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის“ მთავარი რედაქტორი, პროფესორი.*

ყოველი ადამიანი მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია წიგნთან და წიგნიერებასთან. ამ მხრივ ჩემი ცხოვრება განსაკუთრებული და გამორჩეული სიურპრიზებითაა სავსე. ჩვენ არ გვქონდა დიდი საოჯახო ბიბლიოთეკა, მაგრამ რა ჟურნალ-გაზეთები და წიგნებიც სახლში გვქონდა – ყველა საინტერესო და ფასეული. მუდამ მიაოცებდა ადამიანების დამოკიდებულება წიგნების შეძენის თვალსაზრისით. ყიდულობდნენ და წიგნის ფურცლები წლიდან წლამდე ერთმანეთზე კვლავ გადაბმული (გაუჭრელი, ფაბრიკის წუნით) იყო, ამბობდნენ, რომ კითხულობდნენ, მაგრამ როგორ, ამას ვერ ვხვდებოდი!

ჩემი და საზოგადო წიგნის პირველი შეხვედრა მოხდა მაშინ, როდესაც ვსწავლობდი საჩხერის რაიონის სოფელ ჩიხის საშუალო სკოლის მეოთხე კლასში. ერთ დღეს ჩვენი მეზობელი მეექვსეკლასელი შავლეგ ხახიშვილი გამოვიდა სოფლის ბიბლიოთეკიდან და ხელში ეჭირა 2 წიგნი. შინ მისულმა ამის შესახებ ვუთხარი დედაჩემს, რომელმაც განმიმარტა, რომ ბიბლიოთეკა არის საზოგადო წიგნთსაცავი, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა წიგნები, რომელსაც ემსახურებიან ბიბლიოთეკარები და საიდანაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია გაიტანოს წიგნი, წაიკითხოს და დანიშნულ დროზე დააბრუნოს უკანო.

ამ ამბავმა ძალიან გამახარა და მეც გავხდი იმ სასოფლო ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი, რომელსაც ოთხი ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამაგდარი ბიბლიოთეკარი და ჩვენი ოჯახის ნათესავი, ან განსვენებული

# ბიბლიოთეკა – ჩემი სამყაროს ნაწილი

ქალბატონი ციციწო იაკობაშვილი-მაჭარაშვილი – თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული, ძალიან მონესრიგებული, გონიერი, ღირსეული და მზრუნველი ადამიანი. იმ ხანად (ასეა დღესაც) ჩიხის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში შედიოდა სოფლები: დუნთა, სხვიტორი, ჩიხა, ქვედა და ზედა ორღული. როგორც მოუსვენარი და აქტიური ბავშვი, ასევე ვსარგებლობდი ჩიხის მეორე (რომელიც საბჭოს შენობაში იყო განთავსებული) და ქვედა ორღულის სასოფლო ბიბლიოთეკების წიგნებით. ბიბლიოთეკარები, ქალბატონები მაგული გელბახიანი, ნარგიზ ხაჯალია და ელიზა (თინა) ჭილაძე მკითხველებისადმი არ იშურებდნენ ერთგულებას და უდიდეს სიყვარულს.

პარალელურად, სისტემატურად ვსარგებლობდი ჩიხის საშუალოს სკოლის ბიბლიოთეკის წიგნებით და დღემდე მახსოვს ბიბლიოთეკის გამგე, ქალბატონი ქეთინო ნოზაძე, რომელიც ფიქრობდა ბავშვების არა მარტო სულიერ განვითარებაზე, არამედ ჰქონდა საოცარი უნარი ღონისძიებათა მოწყობისა და საბიბლიოთეკო სივრცის გამშვენიერებისა.

სხვათა შორის, იმ წლებში ჩამომიყალიბდა სურვილი, ერთდროულად ვყოფილიყავი სკოლის ბიბლიოთეკარი და დარაჯი. დღისით ვიმუშავებდი ბავშვებთან და წიგნებთან, ხოლო საღამოს დაჯვდებოდი სკოლის დარაჯის პატარა, ღუმელიან ოთახში, რომელიც აგებული იყო მთავარ ჭიშკართან და ნავიკითხავი ჩემთვის სასურველ წიგნებს, თან ვუდარაჯებდი მოსწავლე-ახალგაზრდობის ინტელექტუალური განვითარების კერას.

უკვე მე-8 კლასში (1989 წ.) ვიყავი, როდესაც გავიგე საჩხერის ცენტრალური სარაიონო ბიბლიოთეკის არსებობის შესახებ. ეს უკვე ნიშნავდა იმას, რომ გავიზარდე და უნდა გადამედგა დამოუკიდებელი ნაბიჯები. საჩხერემდე გავყევი სოფლის ავტობუსს, ჩამოვედი რაიკომის გადასახვევთან და კითხვა-კითხვით მივაგენი კოხტა, ორსართულიან შენობას. პირდაპირ მეორე სართულზე ავედი და დავაკაკუნე კარზე, რომელსაც ჰქონდა წარწერა „დირექტორი“. ჩემი მაშინდელი გადასახედიდან სასწაული მოხდა – კარი თავად დირექტორმა, ქალბატონმა თინათინ ხვედელიძემ გამიღო და

ოთახში შემოიპატიჟა. სკოლის გარეთ ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა მაღალჩინოსანთან. გამოგიტყდებით და, იშვიათად მინახავს ასეთი მაღალი ზნეობის, კულტურისა და განათლების მქონე ადამიანი. ჩემ წინ იჯდა საჩხერის რაიონის მთავარი წიგნთსაცავის მმართველი, რომელიც მალევე ჩემი ბავშვობისა და სიყმაწვილის ლამაზ მოგონებათა ერთ-ერთი მაშენებელთაგანია. საუბრის დასრულების შემდეგ ქალბატონმა თინათინმა წარმადგინა ბიბლიოთეკის საოცარ და ძვირფას კოლექტივთან და იმ დღიდან დაიწყო ჩემი მეგობრობა ჩემზე უფროს, მაგრამ სულიერად თანატოლ ადამიანებთან. გარდა წიგნის სიუხვისა და მრავალფეროვნებისა, ბიბლიოთეკის შენობაში მიზიდავდა ბიბლიოთეკართა გამუდმებული ყურადღება, თანადგომა და კიდევ ის, რომ სკოლიდან პირდაპირ ბიბლიოთეკაში მისულს, ხშირად მშიერსაც, მაპურებდნენ ხოლმე.

საჩხერის აკაკი წერეთლის სახელობის სარაიონო ბიბლიოთეკა იყო საეტაპო პერიოდი ჩემს ცხოვრებაში. პირველად იქ გადავშალე ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, იქ ვნახე ქართლის ცხოვრებისა და საქართველოს ისტორიის ტომები, იქვე ვეზიარე კინემატიგრაფიის შესახებ პირველ შემეცნებით ლიტერატურას, გავიგე კატალოგებთან მუშაობის პრინციპი, უცხო სიტყვათა და ბოტანიკის ლექსიკონების გამოყენების თავისებურება და ჩავწვდი იმ სიღრმეებს, რომლებიც მერე გამომადგა ცხოვრების ყველა ეტაპზე. იმ შენობაში, იმ ძვირფას საზოგადოებაში ავიდგი ფეხი, როგორც ბიბლიოფილმა, ისე ბიბლიოლოგმა, ურომლისოდაც აქამდე მოსვლა ძალიან გამიჭირდებოდა.

1994 წლიდან ერთდროულად ვსწავლობდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ფაკულტეტსა და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის (დღევანდელი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) ფილოლოგიის ფაკულტეტზე არმენოლოგიის მიმართულებით. ცხადია, წიგნადი ფონდით სახელმწიფო უნივერსიტეტი ლიდერობდა, თუმცა ჩემი არჩევანი შევაჩერე პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაზე, რომელიც განთავსებული იყო მეოთხე სართულზე და, რომელსაც ხელმძღვანელობდა საოცრად დიდებული ქალბატონი ლანდა გაბისონია. აქაც იგივე განმეორდა, რაც

საჩხერის ბიბლიოთეკაში. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში კაფე ფუნქციონირებდა და თანაც სტიპენდიანტიც ვიყავი, მე მაინც მომწონდა ბიბლიოთეკაში გაშლილი სახელდახელო სუფრა და თანამშრომელთა ერთგული მასპინძლობა.

1996 წლის სექტემბრიდან, როდესაც სწავლა განვაახლეთ მეორე კურსზე, საცხოვრებლად გადავედი საქართველოს განათლების სამინისტროს თბილისის სტუდენტალაქის სამმართველოს ვაკის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში, სადაც მრავალი ღირსეული მეგობარი შევიძინე. მათ შორის იყო ინგლისური ენის დამწყები მასწავლებელი მანანა ჯანჯიბუხაშვილი, რომელმაც გზა გამიკვალა ეროვნული ბიბლიოთეკისკენ. დღესავით მახსოვს 25 წლის წინანდელი ემოციები და განცდები. მახსოვს ხალხმრავალი კიბეები, დარბაზები, საკატალოგო ოთახები. მახსოვს ის სივრცეები, სადაც ისხდნენ თანამშრომლები და ვერ აუდიოდნენ მკითხველთა მომსახურებას. მახსოვს ჯერ დიდი დარბაზი, სადაც გრძელ მაგიდებთან ვისხედით, ხოლო 5 წლის შემდეგ აღმოვჩნდი სამეცნიერო დარბაზში, პირველ სართულზე, სადაც გამორჩეულად დამამახსოვრდნენ თამარ ლარიბოვა და სხვა ძვირფასი თანამშრომლები, რომლებთან დღესაც საუცხოო და მეგობრული ურთიერთობა მაქვს. ვგრძნობდი მათ უთბილეს დამოკიდებულებას ჩემდამი, რადგან ჩემი ახლომხედველობიდან გამომდინარე, თავდაპირველად მიჭირდა ჯერ კატალოგებთან მუშაობა, შემდეგ კი ძლივს ავუწყვე ფეხი საბიბლიოთეკო სისტემაში დაწერგილ ინოვაციებს.

საოცარი განცდა მეუფლებოდა ეროვნულ ბიბლიოთეკაში მისულს. აქ ვხვდებოდი არისტოკრატიული ბუნებით დაჯილდოებულ ადამიანებს. საოცარი იყო მათი ჯდომის, დგომის, სიარულის, მისალმების კულტურა. რამდენიმე ისეთიც მინახავს, რომელზედაც მიფიქრია, ალბათ ბიბლიოთეკა რომ არა, ქუჩაში გაიყინებოდა-თქო... თუმცა, ფაქტი ერთია, ეროვნულმა ბიბლიოთეკამ და მისმა დიდმა კოლექტივმა საქართველოს სამეცნიერო თუ კითხვით დაინტერესებულ საზოგადოებას იმაზე დიდი ცოდნა მისცა, ვიდრე რომელიმე სასწავლებელმა ან სამეცნიერო დაწესებულებამ.

მაქვს იმედი, კოსმიური და საინფორმაციო განვითარების ეპოქაში, წიგნი შეუცვლელი საგანძური იქნება იმ საზოგადოებისთვის, რომელსაც ფასეულობები და ღირებულებები ჯერ კიდევ არ დაუკარგავს.



**ირმა კეკელიძე**

*ჟურნალისტი, დოკუმენტალისტი*

## კონსტანტინე მიქაბერიძე – ეჩიმი, საზოგადო მოღვაწე, ფილანთროპი

ქალბატონს, უმრავლესობა „კონიას ცოლს“ ეძახდა, ხოლო საზოგადოებრივ გარემოცვაში – „ანნა ვალენტინოვნათი“ უხმობდნენ.

კონსტანტინე მიქაბერიძე დაიბადა ქალაქ ქუთაისში 1866 წელს. მისი მშობლები მონინა-ვე ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ. კონსტანტინე მიქაბერიძემ 1886 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და სწავლა განაგრძო პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში, რომელიც 1893 წელს დაამთავრა. აკადემიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ იგი დაინიშნა ვლადიკავკაზის 152-ე პოლკის უმცროს ექიმად, ქალაქ თბილისში. ერთი წლის შემდეგ კი გადაყვანილ იქნა ქ. ფოთში სამხედრო ლაზარეთის გამგედ, რომელსაც განაგებდა 1917 წლამდე. პარალელურად კ. მიქაბერიძე მუშაობდა ქ. ფოთის ვაჟთა გიმნაზიაში ექიმად, ხოლო ქალთა გიმნაზიაში ასწავლიდა ჰიგიენას. ამავე დროს იყო ფოთის ნავთსადგურის ექიმი, სადაც დაჰყო 1923 წლამდე.

მრავალფეროვანი და შრომატევადი იყო კონსტანტინე მიქაბერიძის საქმიანობა. ფოთში მოღვაწეობის პირველი წლებიდან (1894წ.) მან თავი გამოიჩინა როგორც სამედიცინო დარგის კარგმა ორგანიზატორმა და ბრწყინვალე პროფესიონალმა, ამასთან ის გამოირჩეოდა ავადმყოფი ჯარისკაცებისადმი ადამიანური მიდგომით და მათი სიყვარულით. 1899 წელს ფოთის ფეხოსან პოლკში, დაბალი სამხედრო შემადგენლობისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენის გამო, კ. მიქაბერიძეს გამოეცხადა მადლობა. მადლობა გამოეცხადა მას აგრეთვე 1903 წელს

შინაგანი განწყობით მე არა ვარ ოცდამეერთე საუკუნის ადამიანი, ასე მგონია, მე-19 საუკუნის დასასრულს და მე-20 საუკუნის დასაწყისში უნდა მეცხოვრა. მესამე წიგნის მასალების შესწავლისას, უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა არქივში საგულდაგულოდ შეფუთული საქალაქელების გახსნა, ფურცელ-ფურცელ გაცოცხლება და იმ პერიოდში მოგზაურობა. საოცარია, როცა დროში იწყებ მოგზაურობას და ხდები მისი ნაწილი, ეს ყველაფერი რეალურად გეჩვენება და შენც მათთან ერთად გრძნობ იმ სირთულეებს, გრძნობ სიცოცხლისთვის გაუსაძლის გარემოს, დადიხარ დატბორილ ქუჩებში და ხედავ, როგორ ხდება შესაძლებელი შეუძლებელი. სასიამოვნოა, რომ მკითხველს ექმნება პირველადმოჩენის განცდა.

სწორედ არქივის მასალების შესწავლამ შეავსო მნიშვნელოვნად ჩემი წერილის გმირის ისტორია, გმირისა, რომლის ცხოვრება ლეგენდად დარჩა ფოთელთა მეხსიერებაში.

ალბათ ბევრს ახსოვს, კინოფილში „პირველი მერცხალი“, დამწყები ფეხბურთელები დახმარების მოლოდინში როგორ იმედით ახსენებენ კონია მიქაბერიძეს. უმეტესობას ეს სცენარისტის მიერ მოგონილი პერსონაჟის სახელი ეგონა. რეალურად კი ფოთში იმ დროს მართლაც ცხოვრობდა და თანაქალაქელებს პროფესიონალიზმის, სამშობლოს სიყვარულისა და ადამიანთა უანგარო თანადგომის მაგალითს აძლევდა კონსტანტინე (კონია) იოსების ძე მიქაბერიძე.

ძირძველი ფოთელები სამხედრო ექიმს, კონსტანტინე მიქაბერიძეს, „კონიას“ სახელით იცნობდნენ. მის მეუღლეს, დიდად განათლებულსა და ფოთელებისათვის სათაყვანო დიდებულ



წია მიქაბერიძის საქმიანობა. ფოთში მოღვაწეობის პირველი წლებიდან (1894წ.) მან თავი გამოიჩინა როგორც სამედიცინო დარგის კარგმა ორგანიზატორმა და ბრწყინვალე პროფესიონალმა, ამასთან ის გამოირჩეოდა ავადმყოფი ჯარისკაცებისადმი ადამიანური მიდგომით და მათი სიყვარულით. 1899 წელს ფოთის ფეხოსან პოლკში, დაბალი სამხედრო შემადგენლობისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენის გამო, კ. მიქაბერიძეს გამოეცხადა მადლობა. მადლობა გამოეცხადა მას აგრეთვე 1903 წელს

ფოთის 251-ე პოლკში დაკისრებული მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის /საქმე №4/. იგი ასევე დაჯილდოებული იყო ბევრი სხვა ორდენითა და მედლით /საქმე №5/.

კონსტანტინე მიქაბერიძე ცხოვრობდა ქ. ფოთის იმ ნაწილში, სადაც ცხოვრობდნენ მაშინდელი სატრანსპორტო სამსახურის მუშები. იგი მალევე დაუახლოვდა მუშებს და გახდა მათი მუდმივი ექიმი. პოლიტიკური და ეკონომიკური გამოსვლების დროს ის მუშებს ხშირად უთანაგრძნობდა, რის გამოც ქალაქის ჟანდარმერიის მიერ არაერთხელ მიუღია გაფრთხილება. ის დაახლოვებული იყო შამშე ლეჟავასთან, რომელიც ითვლებოდა ფოთის ბოლშევიკების ლიდერად. კ. მიქაბერიძესთან, როგორც მკურნალთან, პირველი დახმარების აღმოსაჩენად არაერთხელ მოუყვანიათ ჟანდარმერიასთან შეტაკების დროს დაჭრილი ადამიანები.

მოსახლეობის ჯანმრთელობის გარდა, კ. მიქაბერიძე უპირველეს და გადაუდებელ ამოცანად თვლიდა მათი სოციალური, ეკონომიკური, კულტურული დონის ამაღლებისათვის ზრუნვას. ის ყველგან იყო, ყველა ღონისძიებაში იღებდა მონაწილეობას და არ თაკილობდა არც ერთ საქმეს, თუ ის მოსახლეობის კეთილდღეობისათვის იყო სასარგებლო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკო ნიკოლაძისა და კონია მიქაბერიძის ურთიერთობა. ნიკო ნიკოლაძეს სრული ნდობა ჰქონდა ამ ახალგაზრდა ექიმისადმი. მან ზუსტად განსაზღვრა მისი, როგორც ენერგიული და საქმიანი და, რაც მთავარია, პატიოსანი კაცის დიდი შესაძლებლობები. თავის მხრივ, კ. მიქაბერიძე დიდად აფასებდა ნიკო ნიკოლაძესთან მეგობრობას, თანაუგრძნობდა და ეხმარებოდა მის მიერ წამოწყებულ ბევრ საქმეში, მაგალითად, გროზნოდან ფოთამდე ნავთსადენის გაყვანის საქმეში. ასევე, მათი ერთობლივი ინიციატივით ფოთში დაარსდა ვაჟთა გიმნაზია /იხ. ნიკო ნიკოლაძის წერილები კ. მიქაბერიძისადმი /საქმე №4/.

კონია მიქაბერიძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის პერიოდში, ყველაზე მნიშვნელოვნად მაინც მისი ძირითადი საქმიანობა, ფოთის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და მის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა იყო. იმ პერიოდში სხვადასხვა დაავადებათა შორის მეტად გავრცელებული იყო მალარია და ამ დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში ფოთის მედპერსონალ-

თან ერთად, ექიმი ყოველდღიურად ატარებდა პროფილაქტიკურ ღონისძიებებს და კარგ შედეგს აღწევდა. ამავე დროს, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, აწყობდა უფასო სამედიცინო კონსულტაციებს, პერიოდულად გამოდიოდა ფართო აუდიტორიის წინაშე მოხსენებებითა და საუბრებით, ხშირად აყენებდა საკითხებს თვითმმართველობის წინაშე ამა თუ იმ ღონისძიების უცილობლივ ჩატარების მოთხოვნით და ა. შ.

კონსტანტინე მიქაბერიძე დიდ ყურადღებას



კონსტანტინე (კონია) მიქაბერიძე

აქცევდა ფოთში მოსახლეობის უფასო სამედიცინო დახმარების მოწყობას. მაშინ ფოთში არ არსებობდა არც ერთი უფასო სამედიცინო დაწესებულება, სადაც ღირსეულად მოსახლეობას შეეძლო სამედიცინო დახმარების მიღება. როცა უსახსრობის გამო ფოთში 1908 წელს დაიხურა ერთადერთი ამბულატორია, მაშინ კ. მიქაბერიძემ, ქალაქის თვითმმართველობის დახმარებითა და ხელშეწყობით, იჯარით აიღო არსებული 10-ადგილიანი საავადმყოფო და გახსნა საკუთარი სამკურნალო ამბულატორია, სადაც წლების განმავლობაში მედიცინის მუშაკები უფასოდ ემსახურებოდნენ ქალაქის ღირსეულ მოსახლეობას. ეს სამსახური ახალგაზრდა, დამწყები სამხედრო ექიმისთვის მეტად პრესტიჟული და საპასუხისმგებლო იყო.

1908 წელს ფოთში აკაკის გადაუხადეს იუბილე, რომლის ერთერთი ორგანიზატორი იყო კ. მიქაბერიძე /კომისიის თავმჯდომარე – იონა მეუნარგია /. მისი ინიციატივით, აკაკის ვაგზალზე დახვდა ცხენოსანთა რაზმი 40 კაცის შემადგენლობით. ცხენოსნებმა, რომლებიც გამოწყობილი იყვნენ ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში,



კონსტანტინე მიქაბერიძე ფოთის ქალთა  
ბიზნაზიის მასშავლაბლებთან ერთად

აკაკი მიაცილეს ნიკო ნიკოლაძის კომპამდე. ეს იუბილე, როგორც ცნობილია, გადაიქცა სახალხო ზეიმად და იმავე დროს, მთავრობის სანიტა-ალმდეგო დემონსტრაციად. ამ დემონსტრაციის სულისჩამდგმელი იყო კ. მიქაბერიძე.

კ. მიქაბერიძე – სამხედრო ექიმი, მუდამ და-ულალავი, მხნე, მომლიმარი, სევდისა და ჭმუნვის გამქრობი, ჩვეული იუმორითა და სარკაზ-მითაც, დიდი ნუგეში და იმედი იყო ფოთელი მოსახლეობისათვის. იგი იყო ფოთში მრავალი კულტურული საქმის წამომწყები, რასაც კი ღარიბი და უსწავლელი ხალხისათვის დახმარების მოტანა შეეძლო. არ დარჩენილა ფოთში საკითხი, რომლის გადაწყვეტაში კონია მიქაბერიძეს მონაწილეობა არ მიეღო. იგი იყო საშუალო სკოლების, ქალაქის ბიბლიოთეკის, ფოთის კათედრალური ტაძრის, გზების, ნავსადგურის მშენებლობის კომიტეტების წევრი და ცალკეული ობიექტების ხაზინადარი. არჩეული იყო ფოთის ხმოსანთა საბჭოს წევრად. 1921 წლიდან კ. მიქაბერიძე განაგებდა ფოთის ჯანდაცვის სანიტარულ-ეპიდემიურ განყოფილებას.

მისი დიდი ავტორიტეტი და სპეტაკი ადამიანის რეპუტაცია ყოველთვის აყენებდა მას გამორჩეულ მამულიშვილთა გვერდით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კ. მიქაბერიძემ ჩვეული ენერჯითა და შემართებით განაგრძო მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვა და საზოგადოებრივი საქმიანობა. 1923 წლიდან იგი დაინიშნა სამკურნალო ქსელის ფოთის პოლიკლინიკის გამგედ, შემდეგ კი – ქ. ფოთის ცენტრალური ამბულატორიის გამგე-ორდინატორად. ფოთში მისი ინიციატივით არის

დაარსებული წითელი ჯვრის განყოფილება, რომლის თავჯდომარედ თვითონ იყო არჩეული. ის თავმჯდომარეობდა აგრეთვე მედსან-შრომის ექიმთა სექციას და ფოთის ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებას. იყო ფოთის საექიმო –საკონტროლო კომისიის წევრი.


1923 წელს ფოთის პარტიულმა ორგანიზაციამ და აღმასკომმა საექიმო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის აღსანიშნავად კ. მიქაბერიძეს გადაუხადეს იუბილე. მას მიანიჭეს სახალხო ექიმის წოდება. ფოთის აღმასკომმა იგი დააჯილდოვა ეტლით.

1931 წელს კონსტანტინე მიქაბერიძე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, პირადი თხოვნის საფუძველზე განთავისუფლდა სამსახურიდან. 1932 წელს მას მიენიჭა შრომის გმირის, ხოლო 1941 წლის 24 თებერვალს – საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის წოდება / საქმე №11/.

კონსტანტინე მიქაბერიძე იყო მაღალი კულტურის მქონე და დიდად განათლებული ადამიანი. იგი იყო ჩინებული მოსაუბრე. ამავე დროს სადა, გულკეთილი და თავაზიანი. ის სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე დიდი სიმპათიითა და ავტორიტეტით სარგებლობდა ქ. ფოთის მოსახლეობაში. ცნობილი იყო, როგორც კარგი სპეციალისტი და შესანიშნავი ადამიანი. მის ჰუმანურობას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ფოთის ქალთა გიმნაზიაში იგი ჰიგიენას უფასოდ ასწავლიდა, აღებულ ჯამაგირს ტოვებდა უღარიბესი მოსწავლეების სასარგებლოდ. მას წესად ჰქონდა, რომ ხელმოკლე პაციენტს გასამრჯელოს არ გამოართმევდა, ხოლო რეცეპტზე საგანგებო ნიშანს გაუკეთებდა, რომლის მიხედვითაც ავადმყოფს აფთიაქში წამალს უფასოდ აძლევდნენ, თანხა კი მას ეწერებოდა. ყოველი თვის ბოლოს თვითონ ასწორებდა აფთიაქთან ანგარიშს. კონსტანტინე მიქაბერიძე ნახევარი საუკუნე ემსახურა ქ. ფოთის მოსახლეობას. ის მუდამ იყო მშრომელი ხალხის მოამაგე და მსახური.

კონსტანტინე მიქაბერიძე გარდაიცვალა 1944 წლის 22 იანვარს 78 წლის ასაკში. დასაფლავებულია ქ. ფოთში კუნძულის უბნის სასაფლაოზე. აღმაშენებლის გამზირზე მდებარე თავისი კუთვნილი სახლი, რომელშიც ახლა კ. მიქაბერიძის სახელობის სტომატოლოგიური პოლიკლინიკაა განთავსებული, მან ანდერძით დაუტოვა ფოთის სამედიცინო ორგანიზაციას.





ლევან თაქთაქიშვილი

# წიგნი ჩემი მონარქია

## ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორები

### აკაკი ძიდიგური ნოდარ წულეისკირი

მამ ასე! მახვილგონიერი ლევან თაქთაქიშვილი გამიცნო ქალბატონმა ფერიდე კვაჭანტირაძემ, იშვიათ გამოცემათა განყოფილების გამგემ და ამ დღიდან დაიწყო ჩემი პატრონაჟი. ჯერ იყო და სამსახურიდან ფეხით წამოვედი. გზად ფერიდემ დაწვრილებით მომაცოლა ვაჟბატონს ჩემი ბიოგრაფია და შეიტყო, რომ მამიდაჩემი, მონიკო თაქთაქიშვილი, მისი კლასელი და მეგობარი იყო. დაურეკა და მასაც გამოჰკითხა ჩემზე, ასევე დაწვრილებით. ერთ მშვენიერ დღეს, ალბათ შაბათი იყო, რადგან შაბათობით დავდიოდი საჯაროში, სხვა დღეებში კი სტამბაში ვმუშაობდი, ფერიდემ შემომთავაზა საჯაროში მუშაობის დაწყება. თავაზიანი უარი ვუთხარი. კარგიო...

რამდენიმე დღეში დედა მეუბნება: – საჯაროდან დამირეკა ქალბატონმა, მონიკო მამიდას კლასელი ყოფილა, მითხრა, თქვენი შვილი ეროვნულ ბიბლიოთეკაში უნდა მუშაობდეს, ამისათვის არის მონოდებული. ისე, კარგი კია, სტამბის საქმე რომ ეცოდინება, მაგრამ მის თვალეებში სევდას ვხედავ, სტამბა მისი ადგილი არაა. მართალია, ჩვენთან ხელფასი ცოტაა, მაგრამ სულ ასე არ იქნებაო... დედამაც მთხოვა, ამაზე დავფიქრებულებიყავი. მისი თქმით, სახელმწიფო სამსახურში რამდენიმე წელი უნდა მემსახურა, რომ გამეგო, თუ რა არის ჭეშმარიტი სამსახური.

შაბათს მივედი საჯაროში. ფერიდემ ფურცელი და კალამი მომანოდა განცხადების და-

საწერად. მითხრა, რომ ერთ თვეში მისი თანამშრომელი დეკრეტულ შვებულებაში გადიოდა. მანამდე საინფორმაციო ცენტრში გამაფორმებდნენ, თუ ამ ცენტრის ხელმძღვანელი დათანხმდებოდა, მერე კი თავისთან გადამიყვანდა. დავეჭვდი, რომ ეს საქმე გამოვიდოდა, მაგრამ მაინც ჩავყევი იმ ცენტრში. გოგი აფრიდონიძემ, ცენტრის ხელმძღვანელმა, პირდაპირ უთხრა ფერიდეს – ესაა ის ბიჭი, მიღება რომ გინდა? უარს როგორ გეტყვი, ხომ იცი ჩვენი ამდენი ხნის ურთიერთობაო. თურმე წინასწარ შეთანხმებულან. გამაფორმეს საინფორმაციო ცენტრში დეკრეტულ შვებულებაში მყოფი თანამშრომლის ნაცვლად, შემდეგ კი გადამიყვანეს ფერიდესთან, დეკრეტულ შვებულებაში გასულ მანანა სამაშვილის ადგილზე ისეთივე სტატუსით. ასე ვიყავი 2 წელი „დეკრეტულეზ“



ფერიდე კვაჭანტირაძე



კაკი ძიციბური

ზე“. ერთი სიტყვით, ბიბლიოთეკის ქალები და, ალბათ უფრო მათი ქმრები, ხელს მიწყობდნენ, ვყოფილიყავი ბიბლიოთეკის თანამშრომელი. შტატი კი არ იყო. მამაჩემი, ბიძაჩემთან ქეიფის დროს, ჩემს გასაგონად ასეთ სადღეგრძელოს ამბობდა: – ყველა იმ კაცს გაუმარჯოს, დეკრეტულის მაგივრად ვისაც არ უმუშავიაო. ის უკმაყოფილო იყო სტამბიდან ჩემი წამოსვლითა და საჯაროში მუშაობის დაწყებით.

ფერიდე მანებივრებდა: დილას დავდიოდი სახელმწიფო არქივში, მერე მოვდიოდი ბიბლიოთეკაში. მაშინ სტამბიდანაც არ გამომიშვეს და ღამის ცვლაში გადამიყვანეს. იმ პერიოდში ბატონი აკაკი ძიციბური შეუძლოდ გახდა: კიბო დაუდგინდა, საჯაროში მაინც დადიოდა. ერთხელ კიბეებზე ამოვრბოდი. დამინახა და დამიძახა. ოთახში შემიყვანა, ნელა დაეშვა სკამზე და მითხრა, რომ ფერიდე ელაპარაკა ჩემზე, ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის წიგნების პოვნაზე შემაქო. მეც შევბედე: – ბატონო აკაკი, თქვენ ხართ ერთადერთი კაცი, რომელიც ცოცხალია ილიას სასამართლოზე დამსწრეთაგან-მეთქი. ეხლაც მახსოვს მისი სახე. სათვალე შეისწორა და მითხრა, რომ ამაზე არასოდეს დაფიქრებულა. შეკითხვა


მივაყოლე: – მართალია, რომ ბერბიჭაშვილმა ფილიპე ახსენა ამ სასამართლოზე-მეთქი? – დამეთანხმა. მერე გაჩუმდა. მე არ გავჩერდი და კიდევ ვკითხე, ფილიპე მონანილებოდა თუ არა ამ მკვლელობაში? – შენ ჩემს დასაკითხად გამოგაგზავნესო? – გამეხუმრა ბატონი აკაკი. მე შევთავაზე, რომ ჩავვეწერა მისი მოგონება ამ სასამართლო პროცესის შესახებ. უარი მითხრა. ბოლოს დაატანა: – მინდა, რომ ყველა ჩემი მოგონება ჩემთან იყოს. რომ მოვკვდები და სამძიმარზე მოვლენ, უნდა იცოდეს ყველამ, ქალთა სქესმა განსაკუთრებით, რომ მე შევინახე ყველა საიდუმლოო. ბატონმა აკაკიმ ერთი რამე მაინც აღნიშნა. მისი თქმით, ილიას მკვლელები ჯერ არც ყავდათ დაკითხული, მეეტლის ცრუ ჩვენება დაშნაკებს აბრალებდა მკვლელობას, მეფისნაცვალმა კი დეპეშა გაუგზავნა რუსეთის იმპერატორს, სახელმწიფო საბჭოს წევრი ილია ჭავჭავაძე მოკლეს, სავარაუდოდ, სოციალ-დემოკრატებმაო. საიდან იცოდა მეფისნაცვალმა ეს ამბავიო? – დასვა კითხვა ბატონმა აკაკიმ.

მინდოდა კიდევ გამეგრძელებინა ამ თემაზე საუბარი, მაგრამ ოთახში მდივანი შემოვიდა და ყავა თუ ჩაი მიუტანა ბატონ აკაკის. – ამ ვაჟბატონსაც მიაართვით – დაავალა. ძნელია არა, მოხუცი დირექტორის ყურებაო?! – მკითხა უცებ. დავიბენი. – რას ბრძანებთ-მეთქი? – შენ ქართლელი კი ხარ, მაგრამ მგონი დასავლეთისაც გაქვს სისხლშიო. – იმერელი ბებია-მეთქი. – ხო, გეტყობაო... ჩაის დაღვევის შემდეგ დავემშვიდობე და გამოვედი. ყველაფერი ფერიდეს მოვუყევი – არ გაკვირვებია მისი ღუმელი ამ თემაზე. ამიტომაც არის დღემდე დირექტორიო – მითხრა. მე ვერაფერი გავიგე.

ამის შემდეგ, ერთხელ კიდევ ვნახე ბატონი აკაკი. კიბეზე ჩამოყავდათ, მე წიგნებით ავდიოდი. გამაჩერა: – რა არის ესენიო? – წიგნები მეთქი. – მე კი ხაჭაპური მეგონაო... რამდენიმე დღეში გავიგე, რომ ვეღარ დადიოდა. მისი გარდაცვალება მთელ ბიბლიოთეკას ეწყინა. ახალი დირექტორის დანიშვნას ელოდა ყველა. არადა გარდამავალი პერიოდიც საინტერესო იყო: მოვალეობის შემსრულებელი; შემცირების სიების შედგენა. დაკომპლექტების განყოფილების გამგე არ დაეთანხმა ხელშეკრულებით მყოფი თანამშრომლების გაშვებას: –

თაქთაქიშვილს უშვებთო?! ყველას მხარი და-  
უჭერია ფატი ჯაფარიძისათვის. ფერიდე გახა-  
რებული იყო. მაშინ ყველას ვუყვარდი.

ეროვნული ბიბლიოთეკის ისტორიაში დი-  
რექტორები პირდაპირ შედიან. არ არსებობს  
დირექტორი, რომელიც ისტორიაში არ დარჩე-  
ნილა. არ აქვს მნიშვნელობა მისი ხელმძღვანე-  
ლობის პერიოდს. ბატონი ნოდარ წულეისკი-  
რის დირექტორობა რამდენიმე თვეში ამოიწუ-  
რა – პუტჩის შემდეგ ქუდი დაიხურა და ნავიდა  
თავად, არავის გაუთავისუფლებია. დაბრუნდა  
აკაკი ძიძიგური, რომელმაც მანამდე, გამსა-  
ხურდიას მოსვლისას დაიხურა ქუდი და ნავი-  
და, არავის გაუთავისუფლებია. ნოდარ წულე-  
ისკირი დარჩა ისტორიაში, როგორც პირველი  
არაკომუნისტი დირექტორი 1931 წლიდან.  
უპატიოსნესი და მოკრძალებული. დირექტო-  
რი, რომელიც წიგნთსაცავის მდგომარეობით  
დაინტერესდა. აი, პუტჩის ფონზე დაბრუნე-  
ბულმა აკაკი ძიძიგურმა თავისი ბუნებრივი  
თვისებებით ის მოახერხა, რომ ის პუტჩთან არ  
აღმოჩნდა ასოცირებული. პირიქით, როდესაც  
სახელმწიფო საბჭომ ბიბლიოთეკის ადმინის-  
ტრაციული კორპუსის ჩამორთმევა გადაწყვი-  
ტა, ბატონმა აკაკიმ აიღო ყურმილი და დარე-  
კა, თან აღელვებულ თავის მოადგილეს, მერაბ  
ვეკუას აწყნარებდა (მისგან ვიცი ეს ამბავი).  
რამდენიმე წუთში ტელეფონით ელაპარაკა ბა-  
ტონ ლაშა თაბუკაშვილს და კატეგორიულად  
უთხრა, რომ ვერავინ შემოვიდოდა ბიბლიო-  
თეკის შენობაში. შემდეგ მოსთხოვა მას, რომ  
ამ საკითხზე დალაპარაკებოდა ჯაბა იოსელი-  
ანს მისი და თვით ლაშა თაბუკაშვილის ოჯა-  
ხების სახელით. აკაკი ძიძიგურმა ასეთივე



ნოდარ წულეისკირი

წარმატებით მოიშორა კულტურის სამინისტ-  
როს მსხვილი მოხელე, რომელიც ბიბლიოთე-  
კის თანამშრომელთა შემცირებას ითხოვდა  
ასაკის მიხედვით. – შემცირებას რომ ასაკის  
მიხედვით მთხოვთ, ფეხბურთის გუნდი კი არ  
არის, ეს ბიბლიოთეკააო – უთქვამს. ჩემი მო-  
ნაცემებით, ბოლოს მასაც უპირებდნენ პენ-  
სიაზე გაშვებას, კომისიაც შეუქმნეს, მაგრამ  
რადგან სიმსივნე დაუდგინდა, დააცადეს დარ-  
ჩენილი დღეები... ახდა ბატონი აკაკის სიტყვე-  
ბი: – მე „პაჟიზნენნი“ დირექტორი ვარო.





## ალექსანდრე კარტოზია

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ახალი დირექტორის მოსვლა ეროვნულ ბიბლიოთეკაში უტოლდება ქვეყნის ახალი მეთაურის დანიშვნას. ჯერ ელოდებიან, ათასი ჭორი, ასობით ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია... ერთ დღეს, დილას, რომ მივედი სამსახურში, ამბავი დამხვდა – დირექტორად ალექსანდრე კარტოზია დაინიშნაო. განყოფილების გამგეები ახალი დირექტორის კაბინეტში. სხდომის შემდეგ ბიბლიოთეკის დათვალიერება. იქ დავინახე ახალი დირექტორი და გამახსენდა – წინა დღეს ამ კაცმა ბიბლიოთეკაში შემოსვლისას მკითხა, ქსეროქსის აპარატი სადააო და მივუთითე. დღეს კი აღმოჩნდა, რომ ის ჩვენი დირექტორი ყოფილა. რამდენიმე დღეში მდივანმა დარეკა ჩვენს განყოფილებაში და უთხრა ფერიდეს, რომ დირექტორი მკითხულობდა. ავედი. – თქვენზე მესაუბრნენ... კარგი სახელით სარგებლობთო... – თქვენობით მელაპარაკება... წიგნები მანახა: – რას ფიქრობთ ამ წიგნებზეო? წიგნები გერმანული იყო. დავათვალიერე. – გერმანული იცითო? არა-მეთქი... – უი, მაშინ... და მივხვდი, მაშინ რაღას მეტყვიოთ ამ წიგნებზეო, – უნდოდა ეთქვა და აღარ ეთქვა. მე კი დავინწყე ამ წიგნების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიცემა. მფლობელიც დავუხსახელე. წინა მფლობელებიც. ვის უნდოდა გაეყიდა, რატომ ვერ ყიდდა და რამდენად სურდა გაყიდვა. აუვარდა სიცილი. ისიც ვუთხარი, არ ღირს ამის ყიდვა, გამყიდველთან ვერ მოვრიგდებდით – მეთქი. კაბინეტიდან რომ გამოვდიოდი, ვგრძნობდი მის სითბოსა და მხარდაჭერას. ამის შემდგომ არაერთი საღამო გაგვიტარებია იქ.

არ დამავინყდება ის ორი საღამო, როცა აუქციონს ამზადებდა ბიბლიოთეკა: „დამშვიდობება საბჭოთა ლიტერატურასთან“ – ასეთი სახელი ჰქონდა ამ აუქციონს, სადაც გამოტანილი იყო 1984 წელს საქართველოს სარაიონო ბიბლიოთეკებიდან გარიცხული საბჭოთა პოლიტიკური ლიტერატურის ჭარბი ცალეები. ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებიდან ამ აუქციონზე წიგნები არ გატანილა, თუ არ

ჩავთვლით ამ დეპოზიტარიუმში ათეული წლების წინ გადაცემულ ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის ჭარბ ეგზემპლარებს. მე დავალებული მქონდა, გამოცემებში მომეძებნა კურიოზული შინაარსის ტექსტები. დირექტორს ვკითხე, თუ ვინ წაიყვანდა აუქციონს. რუსუდან ბოლქვაძე და კოტე მახარაძე – მითხრა. ბოლო საღამოს ველოდი წამყვანთა მოსვლას. შემოდის ქალბატონი რუსუდანი. გამაცნო ბატონმა ალიკომ და თან უთხრა: – ეს იქნება შენი პარტნიორი აუქციონზე, კარგი ბიჭიაო! თვალთ დამიბნელდა... თურმე მიმალავდა, კოტე მახარაძე ისე უთქვამს, არც ჰქონია აზრად მისი მონაწილეობა. მეორე დღეს თვითონ შუაში ჩავვიჯდა და სამივემ ერთად ჩავატარეთ ბიბლიოთეკის მხარდამჭერი აქცია. ის წიგნები, პრაქტიკულად მაკულატურა, ძირითადად მისივე ოჯახის წევრებმა, ნათესავებმა, მეგობრებმა და პარლამენტარებმა შეიძინეს.

ერთი კურიოზიც მახსოვს: კანდიდ ჩარკვიანის ნარკვევზე ირონიული წარდგენა გავაკეთე და კოტე ყუბანეიშვილმა და ირაკლი ჩარკვიანმა შეუპოვარი ბრძოლა გამართეს მის შესაძენად. ბოლოს ის წიგნი მეფემ შეიძინა სარეკორდო ფასად – 300 ლარად. ბატონმა ალიკომ კანდიდის სახელის პირველივე ხსენებაზე ხელი მომიჭირა და ჩამჩურჩულა, რომ სხვა წიგნზე გადავსულიყავი, ვერ მივხვდი. იყო ასეთი წიგნიც – „შვებულებაში გამსვლელთა სახსოვრად“, სადაც ეწერა, რომ შვებულებაში გასულსაც უნდა ახსოვდეს, რომ უფროთხილდებოდეს სხვის შრომას, ამიტომ ტუალეტი არ უნდა დაეზინდებინა. აუქციონზე შემოსული თანხა მესამე კორპუსის დარბაზის სახურავის შეკეთებას მოხმარდა. ეს დარბაზი ბატონი ალიკო კარტოზიას დირექტორობისას გახდა საგამოფენო. მანამდეც იმართებოდა გამოფენები, თუმცა უსისტემოდ, უფრო დაბალი დონის. მაშინ ჩატარდა პეტრე ოცხელის შემოქმედების ფანტასტიური გამოფენა, მარინა ივანიშვილის ნამუშევრების გამოფენა, კირიონ II-ის გამოცემებისა და მოღვაწეობის ამსახველი, 1937 წლის რეპრესირებულთა შესახებ... ესაა, რაც გამახსენდა.

ახლა კურიოზი: ერთ დილას ბატონ ალი-

კოსთან მოადგილე შედის და ეუბნება, რომ ძველად საცავის თანამშრომლებს რძეს აძლევდნენ უფასოდ, რადგან მძიმე პირობებში მუშაობენო. დირექტორი დათანხმდა ამ ტრადიციის განახლებას. ერთ თვეში დირექტორმა დამიბარა და მთხოვა, ჩავსულიყავი საცავში და ერთი საკითხი გამერკვია. თვითონ ახლახანს ყოფილა საცავში და იქიდან გაკვირვებული დაბრუნდა. საქმე ისაა, რომ ერთი თვის წინ მოუწერია ხელი რძის შესაძენი თანხის გადარიცხვაზე, მაგრამ არ რიცხავდნენ. შემდეგ იგი მივლინებაში წავიდა. სამსახურში დაბრუნებული, თავიდან ბუღალტერს ვერ დაუკავშირდა და თვითონ ჩავიდა საცავში ამბის გასაგებად. იქ ერთი თანამშრომლისთვის უკითხავს რძის შესახებ: ქალბატონო, თქვენ რძე თუ გაქვთო? მას კი უპასუხია, რომ მას რძე ჰქონდა. ამასობაში ბუღალტერმაც დარეკა და დირექტორს შეატყობინა, რომ გადარიცხვა ვერ მოხერხდა, რაკი ფული ხაზინაში აღარ იყო.

ახლა მე უნდა გამეგო, თუ რა რძეს იღებდნენ საცავის თანამშრომლები. ჩავედი პირდაპირ გამგესთან და ვკითხე, რძეს იღებდნენ თუ არა. – არაო, მიპასუხა. მაშინ მას მოვუყევი დირექტორისა და თანამშრომლის შეხვედრის შესახებ და ვთხოვე, აეხსნა, რა რძეზე იყო ლაპარაკი. საცავში აუვარდათ სიცილი. თურმე ეს თანამშრომელი დეკრეტულიდან ყოფილა ახალგაზრდა, შუადღით მიდიოდა სახლში და ანოვებდა შვილს ძუძუს. მას უფიქრია, რომ ამაზე ეკითხებოდა დირექტორი.

ავედი დირექტორთან, ვუთხარი, რომ გავარკვიე, – არ იღებენ რძეს მეთქი. – აბა რომ მითხრა, მაქვსო? – იმას აქვს, თავისი მეთქი. ამომხედა და ვიგრძენი, თავში სისხლი მოანვა... – რას ნიშნავს, თავისიო... – თავისი ძუძუს რძე აქვს და ბავშვს აჭმევს მეთქი... ბატონ ალიკოს სიცილი აუვარდა. მეც გამეცინა. 5 წუთი გაუჩერებლად იცინოდა.

ბატონი ალიკო კარტოზიას დირექტორობის პერიოდი ხანმოკლე, მაგრამ ძალიან შთამბეჭდავი იყო. ახალგაზრდა დირექტორი პირველივე დღეებში დაინტერესდა რესტავრაციის საქმის განვითარებით. შედეგი: მისი მცდელობით, ათი წლის შემდეგ პირველად ამუშავდა საამ-



ალექსანდრე კარტოზია

კინძაო. ბიბლიოთეკამ შეისყიდა ქალაქი და ნებო. დირექტორმა თავად ჩამოიტანა უცხოეთიდან სარესტავრაციო მასალის ნიმუშები. მკინძველებს ეძლეოდათ დანამატი – პრემიალური თანხა ნორმის ზემოთ გაკეთებულ საქმეში. მაშინ ბიბლიოთეკის მთავარი პრობლემა კადრები იყო... 68,5 წელი საშუალო წლოვანება. ეს, იცით, რას ნიშნავს? ბიბლიოთეკაში ხელმძღვანელი კადრების საშუალო წლოვანება კი უფრო მეტი: 72, 7 წელი იყო. მომსახურებას ხელმძღვანელობდა 8 წლის კაცი, ღვანლმოსილი, მაგრამ უკვე ეტყობოდა ასაკობრივი პრობლემები. ერთხელ საბურთალოზე, პეკინზე ვნახე შუა ქუჩაში, გამყოფ ზოლებს შორის ჩამდგარი და ხელჯოხი ზევით ჰქონდა ანეული. განწირულ მდგომარეობაში იყო. გადმოვიყვანე ტროტუარზე. აი, ეს კაცი, რომელსაც დიდი დამსახურება ჰქონდა ბიბლიოთეკის წინაშე, რომელმაც მეორე მსოფლიო ომიდან დაბრუნებულმა დაიწყო საჯაროში მუშაობა, მივიდა ამ მდგომარეობამდე. არავის მოსვლია აზრად, დაესვენებინა საპატიო პენსიის დანიშვნით. ხელფასი 38 ლარი ჰქონდა, პენსია 10 ლარი იყო. ახალგაზრდა დირექტორს სურდა,



შექმნა საპენსიო ფონდი დონორი დამფუძნებლებისაგან, ამ ფონდის წევრები გახდებოდნენ ბიბლიოთეკის თანამშრომლები, რომლებიც ხელფასიდან ჩარიცხავდნენ მიზერულ თანხას, სამაგიეროდ პენსიაზე გასულ თანამშრომელს სიცოცხლის ბოლომდე ექნებოდა ის ხელფასი, რომელსაც ის პენსიაზე გასვლისას იღებდა. ერთი შეხედვით, ეს იდეა უტოპიური ჩანდა, მაგრამ რეალური ხდებოდა პენსიონერთა განთავისუფლების შემდეგ დარჩენილთათვის ხელფასის გაზრდის შედეგად. დირექტორმა ჩაატარა კრება, აუხსნა ყველას, რომ ხელფასს, რომელსაც ახლა იღებდნენ საპენსიო ასაკის თანამშრომლები, აიღებდნენ პენსიაზე გასვლის შემდეგაც. შედეგი: დირექტორის ის მოადგილე, შემართული ჯოხით რომ იდგა პეკინის ქუჩაზე და გადასვლა უჭირდა, ძლივს წამოდგა და დარბაზიც გაისუსა. ყველა ელოდა, რომ მადლობას გადაუხდიდა დირექტორს და სამაგალითოდ გავიდოდა პენსიაზე. არა, ბატონებო, მადლობა გადაუხადა დირექტორს საპენსიო ასაკის თანამშრომლებზე ზრუნვისთვის და მიმართა ხალხს: აჰა, ახლა მაინც გადით პენსიაზე, ბიბლიოთეკამ რამდენი ხანი უნდა შეეცინათო. მაშინ მივხვდი: ადამიანი არ იჯერებს, რომ ის მოხუცდა, ის ყოველთვის ახალგაზრდაა, გული არ ბერდება.

ბატონი ალიკო კარტოზიას განათლების მინისტრად გადაყვანამ საპენსიო ფონდის ამუშავება დააჩქარა. ახალმა დირექტორმა ერთი ბრძანებით 144 საპენსიო ასაკის თანამშრომლის განცხადება დააკმაყოფილა. ფონდი რამდენიმე წელი უვსებდა წასულ თანამშრომელს პენსიას ბოლო ხელფასამდე. მაგრამ შემდეგ მოხდა ახალი კუროზი: საპენსიო ფონდი დატოვა თანამშრომელმა, რომლის პენსიონერთა თესავსაც, ადრე მის მომყვანს ბიბლიოთეკაში, აღნიშნული ფონდი უვსებდა პენსიას. ეს შემთხვევა სამაგალითო გახდა. ხალხმა დაიწყო ფონდის დატოვება. ქველმოქმედება მიუღებელი ხდება თურმე, თუ ის ვალდებულეზად იქცევა. პენსიონერებიც უკმაყოფილონი იყვნენ, გაგვყარესო. შედეგი ასეთი აღმოჩნდა: არავინ დარჩა კმაყოფილი. რამდენიმე პენსიონერი ფონდს უჩიოდა.... საქართველო ხომ ღვთისმშობლის წილხვედრია. პენსიონერები ბატონი ალიკო კარტოზიას „წილხვედრნი“ აღმოჩნდნენ.

## ლევან ბერძენიშვილი

მამ ასე! ბატონი ალიკო კარტოზია მივლინებაში გამგზავრებამდე არაერთი გეგმის განხორციელებით იყო დაკავებული. გაემგზავრა მივლინებაში და რა იცოდა, რომ ჩამოსვლის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარე, ზურაბ ჟვანია, მას განათლების მინისტრობის კანდიდატად გაუწევდა რეკომენდაციას. ამ დროს განათლების სამინისტრო მძიმე მდგომარეობაში იყო – თვეობით გაუცემელი ხელფასები რეგიონებში, განსაკუთრებით სამეგრელოში, სამინისტროს დამწვარი შენობა... ბიბლიოთეკაში საპენსიოდ გამზადებულმა დირექციამ დიდებული გაცილება მოუწყო დირექტორს, რომელმაც საპენსიო ფონდი შექმნა და მან დაასწრო მოვლენებს თავისი წასვლით. ყველაფერი თეთრი ფურცლით იწყებოდა. პრეზიდენტი დირექტორად ბატონ თამაზ კვაჭანტირაძეს წარმოიდგენდა, პარლამენტის თავმჯდომარე კი – ლევან ბერძენიშვილს. ყველაფერი ალიევ-შევარდნაძის წითელ ხიდზე შეხვედრამ გადაწყვიტა. ალიევს დაუგვიანებია. შევარდნაძე გაბრაზებული ელოდებოდა. იქ უკითხავს პარლამენტის თავმჯდომარისათვის: რა ვქნათ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის შერჩევაზეო. ჟვანიაც ამას ელოდა და შევარდნაძისათვის თავისი კანდიდატურა შეუთავაზებია. შევარდნაძე დათანხმებია. ასე მოველინა ბიბლიოთეკას ახალი დირექტორი – ლევან ბერძენიშვილი. მე მას არ ვიცნობდი. ბუკინისტურ მაღაზიებში მქექავ მახვილგონიერ თავთაქიშვილს არ ჰქონდა წარმოდგენა თანამედროვე საზოგადოებაზე.

დირექციის ერთმა წევრმა ნიშნის მოგებით მითხრა: – წავიდა ბატონი ალიკო კარტოზია. აი, ბერძენიშვილი კი შენს იდეებს ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის შევსებასა და წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკის კვლევაზე ვეტოს დაადებს, ჩემო საყვარელო ლევანიკო, სოროსის იდეებში ეს არ ჯდებაო. წავედი შევბუღებაში. გამოვედი დროზე ადრე, რადგან ახალი დირექტორი მოვიდა. ფერიდემაც გამოსვლა მირჩია... ბატონმა ალიკომ გავაცნო დირექტორი, წარუდგინა განყოფილების გამგეები, ჩემზე უთხრა: – საიმედო ბიჭიაო. შეხვედრას ესწრებოდა ბატონი გუ-

რამ შარაძე. რამდენიმე დღის შემდეგ, დილას, მირეკავს ფერიდე, სასწრაფოდ მოდი, არ დაგავიანდეს, დირექტორთან ხარ დაბარებული. მივედი, ფერიდე გამომყვა. მდივანმა მას უთხრა, რომ მხოლოდ მე ვიყავი დაბარებული. ეწყინა ფერიდეს და მეც უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი. გამოვბრუნდით. სალამოს კიბეებზე შემხვდა ბატონი ლევანი და ნაწყენი ტონით მკითხა: – ხომ ხართ თქვენ ლევან თაქთაქიშვილი? – დიახ! – დილას დაბარებული რომ იყავით? ავუსხენი, რომ ჩვენთან უბრალო თანამშრომელი დირექტორთან გამგესთან ერთად შედის-მეთქი... გაცინა და მითხრა: მე მოქალაქე თაქთაქიშვილთან მსურს შეხვედრაო. ამიყვანა ოთახში და მეუბნება: – კარგად დაგახასიათეს: ალიკომ, ქალბატონმა კლარამ, ქალბატონმა ლეილამ, მეგობრებმა... ერთი უნდა გკითხო: – ქართველოლოგიის დარბაზში რაღაც წარწერა გაგიპროტესტებია და თამარ მაჭავარიანის ფოტოზეც კრიტიკული აზრი გქონია, ასეა? – დიახ-მეთქი! ის წარწერა წყევლაა, ვინც ამოხვეს ფურცელს, ხელი გაუხმეს! მიუხედავად იმისა, რომ ის ძველი ხელნაწერიდანაა, მგონი არ არის მისაღები დარბაზში გამოსაფენად მეთქი. რაც შეეხება თამარ მაჭავარიანის სურათს, რეტუშირებულია და სამგლოვიარო ელფერი დაჰკრავს-მეთქი. ჩარჩოც ოქროსფერით საშინლად არის დაფარული, ძვირფასი ჩარჩო მივუტანე და უარი მითხრეს – შენ არ გიყვარს თამარ მაჭავარიანიო. მე კი დიდ პატივს ვცემ, ლეგენდარული ქალია, მაგრამ არ მიყვარს, რადგან, რომ გარდაიცვალა, 5 წლის ვიყავი და ვერ მეყვარებოდა-მეთქი. გაცინა. ლათინურად მითხრა: – *Fortiter in re, suaviter in modo* „მტკიცედ საქმეში, ფრთხილად ურთიერთობებში!“. მაშინ ქართულადაც მითხრა. შემდგომში სხვა უცნობ ლათინურ გამოთქმებს ჩაილაპარაკებდა ხოლმე. ლათინური ხატოვანი სიტყვა-თქმანი შევიძინე და ვარკვევდი მისი ნათქვამის მნიშვნელობას, როცა გამოვდიოდი დირექტორის კაბინეტიდან.

დირექტორმა მკითხა თუ, ჩემი აზრით, რა იყო უპირველესი გასაკეთებელი საქმე. ოჰ, ვფიქრობ, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის აღდგენა, მაგრამ... სიჩუმე ჩამოვარდა. ბატონმა ლევანმა გააგრძელა საუბარი. მისი თქმით, სოროსის ფონდში მთავრდებოდა განაცხადების მიღება,

სამ დღეში თუ პროექტს შევადგენდით, შეიძლება გვეცადა ბედი. – ოხ, ჩემო თავო, მართალი ყოფილა, სოროსის აზრებზე უნდა ვიაროთ! დამთავრდა ჩემი ოცნებები! – გავიფიქრე და ვკითხე: შეიძლება, რომ სხვა დავწეროთ მოთხოვნაში და სხვა გავაკეთოთ? გაკვირვე-



ლევან ბერძენიშვილი

ბით შემომხედა – რატომ? – ის, რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ, სოროსს არ დააინტერესებს! – ვეუბნები. იცინის. შენ გგონია, რომ სოროსი კითხულობს პროექტებს? სიჩუმე. – რა გინდა გააკეთო? – მკაცრად მკითხა. – წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის აღდგენა! სახე გაუბრწყინდა. – ლევან! ეს არის პირველი ქართული სამოქალაქო საზოგადოება. დაწერე, რომ გინდა პირველი სამოქალაქო საზოგადოების ბიბლიოთეკის აღდგენა, მისი ელექტრონული კატალოგის შექმნა. მართალია, არსებობს მისი კატალოგი ბექდურად: მთვარელიშვილის და კარიჭაშვილის, მაგრამ არასრულია, ეს წიგნები სადაა? საცავში? – დიახ! – მერე რაღა აღდგენა უნდა? – საინვენტარო ნომრებია შეცვლილი-მეთქი. ახალი ნომრის მინიჭების შემდეგ გაიბნა მრავალმილიონიან ფონდში 1937 წელს! – აჰა! ოღონდ იცოდე, გრანტის ფორმა ასეთია: წინ



პრობლემის აღწერაა. თუ შენ დანერ პრობლემის აღწერას რამდენიმე ფურცელზე, არავინ წაიკითხავს ბოლომდე. უკვე ნახევარ გვერდზე უნდა ჩანდეს. შემდეგაა პროექტის არსი, შედეგები. პროექტის გეგმაში თითქმის ყველა უშვებს ჰომეროსის შეცდომას. შენ არ უნდა დაუშვა. – რაში მდგომარეობს ეს შეცდომა? – ვკითხე. – ილიადასა და ოდისეაში მოქმედება მიდის სწორხაზოვნად, როცა ომში მიდიან, პარალელურად არაფერი მოვლენა არ ხდება. შენს პროექტში ერთი პროცესის კვალდაკვალ მეორეც უნდა მიმდინარეობდეს. თუ ეს შესაძლებელია, მოიძიებ წიგნებს, სანამ დაამთავრებ მოძიებას, უკვე დანყებული უნდა გქონდეს მისი დამუშავება. დრო რამდენიც გასურს, ისე მოითხოვე, ოღონდ ეს დრო რაციონალური უნდა იყოს. გავარდი სოროსის ფონდში, შესასვლელში არის გამოცხადებული პროგრამები, ყველა აიღე, მოიტანე და დაამუშავე. ეროვნული მემკვიდრეობის პროექტია შენი. გავარდი ეხლავე. ხვალ მნახე. მდივანს უთხარი, პირდაპირ შემოგიშვას!

გამოვედი. კარიჭაშვილის კატალოგი იცის, კაი, მთვარელიშვილის? საიდან? ეს ხომ წვრილმანია. ეს შემდგომ გაიხსნება... ჰომეროსის შეცდომა არ დაუშვაო, ეს რა დღეში ჩავვარდი?! მამ ასე: წავედი სოროსის ფონდში, ავიღე აპლიკაციები, დავეწერე პროექტი, ვანახე ფერიდეს. იშვიათ გამოცემათა განყოფილების ყველა თანამშრომელი ხარობდა ჩემი ოცნების ასრულების შესაძლებლობა რომ გარჩნდა. ია ჩხეიძე, დალი მაჩაიძე, ქეთი ბორჩხაძე, რა თქმა უნდა, ფერიდე, ღიმილით მიყურებდნენ. შევედი დირექტორთან, ნახა და მკითხა ხელფასზე. არ მინდა მეთქი. – კარგი ჟესტიო, მითხრა, მაგრამ მაინც მიჩრია, რომ გაუთვალისწინებელ ხარჯში 400 ლარამდე ჩამენერა. გამამხნევა – წესით უნდა გაიმარჯვოს ამ პროექტმაო და წარმატება მისურვა. იგი ბორდის წევრი იყო, მაგრამ განხილვას ვერ დაესწრებოდა, რადგან მივლინებაში მიდიოდა.

შევიტანე პროექტი. დრო უცბად გავიდა. ჩამოვიდა მივლინებიდან ბატონი ლევანი და დამირეკა, ამოდიო. შევედი და დამწუხრებული სახით შემატყობინა, რომ პროექტი ჩავარდა. შეუძლებელია, ამაზე საუკეთესო რამე ყოფილიყო. რა მოხდა, არ ვიცი. მოკლედ, ჩვენი შესაძლებლობებით გავაკეთოთო. აღმოჩნდა,

რომ ჩემს პროექტს ბორდამდე არც მიუღწევია, ქვედა კომისიას ჩაუგდია. ბორდმა მოითხოვა ყველა პროექტი და ორ კვირაში მირეკავენ, თქვენმა პროექტმა გაიმარჯვაო. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პროექტით ვიყიდეთ პირველი კომპიუტერები დამუშავების განყოფილებისა და ამ პროექტის მიხედვით შექმნილი დარბაზისათვის. ამავე დარბაზისთვის შევიძინეთ ავეჯიც, დავაბეჭდვინე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევრთა ფოტოები (დიდმა მესურათხატემ, ედუარდ გიგილაშვილმა, ძველი წესით უძვირფასეს ფოტოქალაქში დაბეჭდა ფოტოები, რომლებიც აგერ 20 წელი არ გახუნებულა). ვიყიდეთ სარესტავრაციო მასალაც.

დადგა ამ პროექტის პრეზენტაციის დღეც. 2002 წელი. 14 აპრილი. ეს დღე არასოდეს დამავიწყდება: მესამე კორპუსის საგამოფენო დარბაზი, კიბეები, ფოიე, ბიბლიოთეკის შესასვლელთან არსებული სივრცე ხალხით იყო სავსე. ყველა თაობის, ყველა გაგების ადამიანები, სტუმრები ქუთაისიდან, ბათუმიდან, თელავიდან, სიღნაღიდან, ახალციხიდან, გორიდან, მცხეთიდან. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო დარბაზში დავით შულღიაშვილისა და მისი მეგობრების გუნდის მრავალჟამიერი, წერა-კითხვის საზოგადოების ბოლო თავმჯდომარის, იასონ ლორთქიფანიძის შთამომავლები ცრემლიანი თვალებით, ნიკო ლეკიშვილი თაბაშირიანი მოტეხილი ხელით, საპატრიარქო, ტელევიზიები... ამდენი ხალხი არასოდეს ყოფილა ჩვენს ბიბლიოთეკაში. საცავში კი განიკნიკებული აღდგენილი ფონდი ელაგა. გურამ შარაძე და ლევან ბერძენიშვილი ერთად მდგარი ამ დარბაზში: – ამ კაცმა გააკეთა ეს საქმეო, უთხრა ბატონმა ლევანმა. ჩამიხუტა ბატონმა გურამმა. ყველა საპატიო წევრი ამოიცნო ბატონმა გურამმა, გარდა ერთისა, ნიკო მთვარელიშვილისა. ვერც ამოიცნობდა, რადგან მისი ფოტო ძლივს ვიპოვე, ნიკო ჯავახიშვილის მამამ, ბატონმა გოგიმ, გადამაღებინა თავისი კოლექციიდან. – ვინ არისო? მკითხა ბატონმა გურამმა. მოვუყევი ფოტოს ისტორია. – პირველად ვნახეო. მიიპატიჟა ბატონმა ლევანმა ფურუტზე. თურმე ლორი ძნელად იკბირებოდა. ერთი ჩაკბენა და ბუტერბროდის მთელი ზედა ნაწილი მოდიოდა პირისკენ. აილო ბატონმა გურამმა და ჩაკბინა, არ ცილ-





დება ჩაკბეჩილი. თავაზიანად დადო თეფშზე. მერე სიცილით მითხრა: – ბერძენიშვილმა ჩამინყო მგონიო. არადა ლორი მე ვიყიდე.

მას შემდეგ უფრო გამშვენებდა ნერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დარბაზი. მის დიზაინში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ცხონებულმა თენგიზ მირზაშვილმა. ამ პროექტმა აღადგინა ქართული ეროვნული ბიბლიოგრაფიის საარქივო ფონდის განყოფილება, რომელიც 1957 წელს გაუქმდა, როგორც დამოუკიდებელი ერთეული. მაშინ ის ქართველოლოგიის განყოფილებას მიუერთეს. აღდგენილი განყოფილების ხელმძღვანელად მაია მიქაბერიძე დაინიშნა. მან შეასწავლა ბიბლიოთეკის ფონდების კატალოგიზაციის და დამუშავების საქმის შემსრულებელ თანამშრომლებს მონაცემთა ბაზის წარმოება. უცხოეთში ვიყავი მივლინებით, ელკატალოგში პირველნაბეჭდი გამოცემების აღწერილობის პირველი ჩანაწერები რომ გამომიგზავნა მაიამ.

აღნიშნულ დარბაზსა და ფონდს ჩემი ინიციატივით გადაეცა დისერტაციების ფონდი, რომელიც მესამე კორპუსის პატარა და ბნელ ოთახში იყო განთავსებული (ამ ოთახში დღეს მესამე კორპუსის გარდერობია. ვისაც სურს, ნახოს და გადაამონმოს, რა სინათლე შედის ამ ოთახში. მხოლოდ ხელოვნური განათება მთელი დღის განმავლობაში. ამ ოთახში ეკიდა ილიას, აკაკის, რუსთაველისა და ვაჟას რეტუშირებული უზარმაზარი ფოტოები. დისერტაციების საარქივო ფონდისათვის გადაცემის შემდეგ ეს დარბაზი გაუქმდა. ფოტოები გაიწმინდა და ქართული წიგნთსაცავის შესასვლელში ჩამოვაკიდებინე. დღესაც იქ კიდეა. პენსიაზე ვაშვებულ, ღვანლმოსილ თანამშრომელს, ზაირა ბერიკაშვილს შემოუვლია ბიბლიოთეკაში და მოუკითხავს: – ილიას ფოტო სადააო? უთხრეს: – ლევანმა ჩამოხსნაო. მას ბერძენიშვილი ჰგონებია და თავის მეზობელს, ცნობილ ჟურნალისტს, ქეთი ჯაყელს უთხრა, ეროვნულ ბიბლიოთეკაში ლევან ბერძენიშვილს ილიას სურათი ჩამოუხსნიაო. მოვიდა ჟურნალისტი დირექტორთან. დირექტორი გაკვირვებული დარჩა. ინტერვიუ დაიბეჭდა, მგონი, „კვირის პალიტრაში“. ამას მოყვა „ლიტერატურულ საქართველოში“ სტატია – ბიბლიოთეკაში ილიას სურათი ჩამოხსნესო. ამ კუროზამდე იყო ლევან ბერძენიშვილთან თამაზ წიგნივადის დაპირისპირება.

ეს დაპირისპირება დაიწყო თამაზ წიგნივადის რეპლიკით ნაირა გელაშვილის შესახებ. ლევან ბერძენიშვილმა საჯაროდ გააკიცხა თამაზ წიგნივადე. მან კი, როცა გაიგო, რომ ბერძენიშვილი ეროვნულ ბიბლიოთეკაში დირექტორად დანიშნეს, მოუწოდა ბიბლიოთეკარებს: – ბიბლიოთეკარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით ბერძენიშვილის წინააღმდეგო. ამ ფონზე ილიას ფოტოს ჩამოხსნის ინფორმაცია ცეცხლზე ნავთი იყო. ჟურნალისტის ერთმა მცდარმა ინფორმაციამ გააკვირვა ბატონი ლევანი და დამირეკა: – ამოდო. ილიას სურათი ამ ოთახში ეკიდა ჩემამდეო? – თავის კაბინეტზე მეკითხება. – არა მეთქი. – ვინმემ მოხსნა სადმე ჩემი მოსვლის შემდეგ ილიას ფოტო? გამახსენდა ფოტოების გადატანის ამბავი. მე გადავიტანე მეთქი. არაფერი უთქვამს. დავრეკავ რედაქციაში მეთქი. არავითარ შემთხვევაში, ჩათვლიან, რომ ჩემი დავალებით რეკავო, – კატეგორიულად მითხრა. ორ კვირაში „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებიდან მოითხოვა თამაზ წიგნივადემ ეროვნული ბიბლიოთეკისათვის ილია ჭავჭავაძის სახელის მინიჭება. მე დღემდე მტკივა, ვიღაცას რომ ჰგონია, თითქოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ილიას ფოტო როდესღაც ჩამოიხსნა. პირიქით, ილია ჭავჭავაძის კაბინეტი, მისი ფოტო საპრეზენტაციო დარბაზში, მეტიც, პირველი კორპუსის ისტორიული შენობის ილიასთან ასოცირება, რადგან ეს მისი შექმნილი ბანკის შენობაა, იმის მაგალითია, რომ ილია ჩვენი ბიბლიოთეკის თითოეული თანამშრომლისთვის ღმერთია. ბატონმა ლევანმა ერთ-ერთი პირველი ბრძანებით ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის კაბინეტი იშვიათ გამოცემათა განყოფილებას გადასცა. მაგრამ კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო...

ილია ჭავჭავაძის სურათის ამბავი ასე არ დასრულებულა, გაგრძელება ჰქონდა. ერთ-ერთი თათბირის დროს ბატონ ლევანს დაურეკა პარლამენტის თავმჯდომარემ და უთხრა, რომ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე პრეზიდენტისგან დაჟინებით ითხოვს ეროვნული ბიბლიოთეკისათვის ილია ჭავჭავაძის სახელის მიკუთვნებას. კარგი იქნება, თუ თვით ბიბლიოთეკიდან იქნება ამის სურვილიო. ეს ამბავი გვითხრა ბატონმა ლევანმა და იმავე დღეს თანამშრომელთა საერთო კრება მოინვია სააქტო დარბაზში. თანამშრომლები



შეიკრიბნენ, მაგრამ მათ არ იცოდნენ შეკრების მიზეზი. ზოგი შემცირების შიშით ელოდა კრების გახსნას, ზოგი ფიქრობდა, რომ სამსახურში არდაგვიანების მოთხოვნის მიზნით შეაწუხეს... კრება გახსნა დირექტორმა და ამცნო შეკრებილებს: – იცით ყველამ, რა ფონზე ვმუშაობთ, იცით, რომ „ლიტერატურული საქართველოს“ ყოველი ნომერი ჩემი გვარით იწყება და თავდება. ახლა, ბოლოსწინა ნომერში, ეროვნული ბიბლიოთეკისათვის ილიას სახელის მინიჭების მოთხოვნით მიმართავს პრეზიდენტს მწერალთა „პატრონი“. მოხარული ვიქნები, თუ ყველაზე დიდი ქართველის სახელი დაერქმევა საქართველოს უპირველეს წიგნთსაცავსო.

ახლა რეაქცია დარბაზში: ხალხმა გაიხარა უპირველესად იმიტომ, რომ შემცირება არაა მოსალოდნელი, დაგვიანებაც არავის აინტერესებსო, თან ილიას სახელის მინიჭებაზე ყველას შეეძლო აზრი გამოეთქვა. წამოდგა სანოტო გამოცემების დამუშავების სექტორის ხელმძღვანელი ირინა ფილიონკინა და ეუბნება დირექტორს: – ბატონო ლევანი, მე წინააღმდეგობა მაქვს ილიას სახელი ეწოდება ბიბლიოთეკას! (სტილი დაცულია) ვას ვინუჟდაიუტ დელატ პლახოე დელო. ნაციონალნიე ბიბლიოტეკი ვსეხ სტრან არავის სახელის არაა... ტაკ დოლჟენ ბიტ ი ვ გრუზიო! ვოტ ტაკ! ფერიდერის ფერიდე იყო, აქ არ წამომდგარიყო: – ბიბლიოთეკას სამარცხვინო სახელი ერქვა 1931-33 წლებში და 25 თებერვლის სახელობის იყო, მერე მარქსის სახელობისო. მაგის გამო გამოგეთქვათ პროტესტიო, მაგრამ ბატონო ლევან, ბიბლიოთეკას დიმიტრი ყიფიანის სახელი უნდა ერქვას, მან შექმნა ეს ბანკი, პირველი საჯარო ბიბლიოთეკაც, ილიას სახელი საქართ-

ველოში ბევრ მემორიალურ თუ სახელმწიფო ორგანიზაციას ჰქვია, ილიას არაფერი დააკლდება, აი, დიმიტრის სახელი მინიჭება კი უფრო სამართლიანიაო.

შევეხდე ბატონ ლევანს, უყურებდა დარბაზს, შუბლზე ოფლი მოიწმინდა. ამ დროს დარბაზის ბოლოდან თანამშრომელმა (გვარად წერეთელმა) აწია ხელი. დირექტორმა მისცა სიტყვა. – ბატონო ლევან, ეროვნულ ბიბლიოთეკას გიორგი წერეთლის სახელი უნდა ერქვას. თქვენ კარგად იცით მისი ღვაწლი, აღმოსავლეთმცოდნეაო. აქ ერთმა თანამშრომელმა ზაქარია ფალავანდიშვილის სახელი წამოაყენა, დიმიტრი ყიფიანი კი არ იყო პირველი ბიბლიოთეკარი, ზაქარია იყოო.

ბატონმა ლევანმა უსმინა კრებას და მიმართა თანამშრომლებს: – მე ავიხსენით მდგომარეობა. ახლა ერთიც უნდა გითხრათ – ყველა თქვენი წინადადება საინტერესოა, მაგრამ ვიცი, გიორგი წერეთლის სახელი რომ დაერქვას, იმას იტყვიან, ილიას საპირწონედ იმ კაცის სახელი უწოდა ლევან ბერძენიშვილმა, ქართული ცუდად რომ იცოდა, ფალავანდიშვილის შესახებ კი – 1832 წლის შეთქმულების გამცემის ძმისშვილის სახელი დაარქვაო. ყველას აზრი ძვირფას ადამიანთა სახელის უკვდავებას ეხება, მაგრამ არ მეგონა, ილიას სახელის ალტერნატივად ამდენი ვარიანტი თუ იქნებოდაო. ამ დროს მე მოვითხოვე სიტყვა და ვიკითხე: – ვინც წინააღმდეგია, ვისთვისაც მიუღებელია ილიას სახელის მინიჭება ბიბლიოთეკისთვის, ხელი აწიოს-მეთქი. არავის აუწევია ხელი. – ე. ი. ყველა თანახმა ხართო? – იკითხა ბატონმა ლევანმა. ყველა თანახმა იყო. რამდენიმე დღეში გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ ეს ბრძანება დაიბეჭდა:

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N205

2000 წლის 25 მაისი, ქ. თბილისი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისათვის ილია ჭავჭავაძის სახელის მინიჭების შესახებ.

საქართველოს მწერლობის, ეროვნული ბიბლიოთეკის კოლექტივისა და პარლამენტის ხელმძღვანელობის თხოვნის გათვალისწინებით საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას მიენიჭოს ილია ჭავჭავაძის სახელი.

ედუარდ შევარდნაძე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. 2021, N3, 4.



# ჟანა ქვათაძის ბახსენება

დარეჯან ხვედელიძე

## პორტრეტი ბიბლიოთეკის ინტერიერში

ჟანა ქვათაძე არ განეკუთვნება იმ გარდაცვლილებს, რომლებზეც ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერი, რომელთა მოსაგონარიც ბელეტრისტიკის ფანტაზიით გამომცხვარი თვალთმაქცი სიცრუე უფროა, ვიდრე გულისტკივილის ბუნებრივი გამოძახილი. მისმა წასვლამ კი მთელ ბიბლიოთეკას გაუნელებელი გულისტკივილი და შეუვსებელი დანაკლისი დაუტოვა.

დავესესხები ქ-ნ ციური კოჭლაშვილს მის არაჩვეულებრივად ზუსტ შედარებაში, როდესაც მან სცენის მტვრით მონუსხულ მსახიობს შეადარა წიგნის მტვრით მოჯადოებული ბიბლიოთეკარი, რომელიც აუხსნელი მიზიდულობის ძალით სამუდამოდ ეჯაჭვება ბიბლიოთეკას. ზუსტად ასეთი იყო ჟანა. ბიბლიოთეკა იყო მისი სახლი. სულ ახალგაზრდა მოვიდა იგი აქ და მის კედლებში გაატარა მომავალი ცხოვრების 47 წელი – ყმანვილქალობიდან ვიდრე სიკვდილამდე, უმცროსი ბიბლიოთეკარობიდან ქართველოლოგიის განყოფილების უფროსობამდე. ჟანა არ ყოფილა ქართველოლოგიის განყოფილების გამგე მხოლოდ თანამდებობრივად, არამედ იგი იყო ამ დარგის მოამაგე, რომელსაც მუდამ მის პულსზე ედო ხელი და, შესაბამისად, როგორც ხელმძღვანელი ცდილობდა მასზე მინდობილი განყოფილების წვლილი ამ დარგის განვითარებასა და პოპულარიზაციაში ყოფილიყო საჩინო და გამორჩეული. ჟანას სურდა ქართველოლოგიის განყოფილება, მისი მესვეურობით, სამაგალითო ყოფილიყო. სულ მომართული იყო, სულ საქმის კურსში, განიცდიდა და შიშობდა არაფერი გამოპარვოდა, რომ მინდობილი საქმე ყველა თანამშრომელს დროულად და ამ განყოფილების ჯეროვანი ხარისხით ეკეთებინა და დაეჭირა მაღალი თამასა. ყველა რესურსი, იქნებოდა ეს ადამიანური თუ მატერიალური, ყველაფერი ქართველოლოგიის განყოფილებისათვის უნდოდა.

მკაცრი უფროსი იყო, რომ ვთქვა, ხმამაღალი ნათქვამი გამოვა. როგორც ხელმძღვა-



ნელი პირი, თანამშრომლებში (ჟანასთან მიმართებაში ტერმინი „ხელქვეითი“ შეუსაბამოდ ჟღერდა) აღვიძებდა არა შიშს, არამედ სინდისს და ყოველთვის მათ კეთილსინდისიერებასა და ანგარიშვალდებულებაზე დებდა ფსონს და ეს მიდგომა ყოველთვის ამართლებდა.

ზედმეტია სათქმელის გავრცობა იმაზე, თუ როგორი გულისხმიერი იყო იგი: იშვიათად ემპათიური ადამიანი, რომელსაც შეეძლო თანაგანეცადა თითოეული კოლეგის პირადი სადარდებელი. სხვებზე ზრუნვა ნამდვილად იყო ჟანას ძლიერი მხარე. უყვარდა კოლეგების დაპატიჟება საყვარელ რაჭაში, სადაც მასპინძლის როლში სიამაყით აცნობდა სტუმრებს სათაყვანებელ მხარეს და, რაც მთავარია, ეს პირადი ურთიერთობები არაფორმალურ გარემოში მეტად კრავდა და აჯანსაღებდა სამსახურეობრივ დამოკიდებულებებს სამუშაო გარემოში.

სრულიად განსაკუთრებული იყო მისი დამოკიდებულება უცხოელი ქართველოლოგებისადმი, მათდამი მისი პატივისცემა და მადლიერება, რადგან ჟანას ღირსების საქმედ მიაჩნდა საუკეთესო მომსახურება გაენია უცხოელი მკვლევარებისათვის, რომელთაც ასე უყვარდათ მისი სამშობლო და ენოდნენ მის პოპულარიზაციას მთელ მსოფლიოში. ჟანას ინიციატივით დაიწყო უცხოელ ქართველოლოგთა ბაზის შექმნა. მართალია მისი შევსება ჯერ არ დასრულებულა და ქსელში არ განთავსებულა, მაგრამ მთავარია, რომ ეს ერთი კარგი თაოსნობა, ჟანას წამოწყებულ და გაკეთებულ უამრავ საქმეთა შორის, რომელთა სრული ჩამოთვლა შორს წავიყვანდა, დაძრულია ადგილიდან.



## ნანა ხვედელიანი

### მაინც ვერ გაგაწარსულე...

რთულია ჟანა ქვათაძეზე წარსულ დროში წერა, მით უმეტეს – ჩემთვის. აღმოჩნდა, რომ ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შორის ყველაზე ხანგრძლივი ურთიერთობა და მეგობრობა, შესაბამისად – მოგონებებიც, მე მაკავშირებს მასთან. 1974 წლის 14 დეკემბერს დავინყე მუშაობა მაშინდელ კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ყველასთვის საოცნებო ქართველოლოგიის განყოფილებაში, სადაც თერთმეტი საოცარი თანამშრომელი დამხვდა. ამ დღეს გავიცანი ჟანა ქვათაძეც. ჩვენ ვიმუშავეთ საბიბლიოთეკო საქმის კორიფესთან – თამარ მაჭავარიანთან და ბევრი რამ ვისწავლეთ მისგან. იმ თანამშრომელთა შორის, ვინც განყოფილებაში დამხვდა, ჟანა გამორჩეული იყო. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ რამდენიმე თვის დანყებულნი ჰქონდა მუშაობა, უკვე მომავალ გამგედ მოიაზრებოდა. საოცრად თანამედროვე და ლამაზად ჩაცმის მოყვარული, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობითაც გამოირჩეოდა და საუკეთესო თანამშრომლად ითვლებოდა.

ბევრი გამოფენა გაგვიკეთებია ერთად მე და ჟანას ბიბლიოთეკასა თუ შენობის გარეთ. ნებისმიერი დავალების აკადემიურად შესასრულებლად ბუნებით ერთგული და საქმისადმი თავდადებული ჟანა, არაფერს თაკილობდა. როდესაც რუსთაველის თეატრის ვესტიბიულში მოწყობილ გამოფენაზე, უსაფრთხოების გარანტია ვერავინ მისცა ბიბლიოთეკას, წიგნები რომ უკლებლივ და უვნებლად დაბრუნებულიყო, ჟანა ქვათაძემ და ფერიდე კვაჭანტირაძემ რამდენიმე ღამე საგამოფენო სტენდებთან, სკამებზე გაათიეს.

ქართველოლოგია კომპლექსური განყოფილება გახლდათ და საბიბლიოთეკო სამუშაოების თითქმის ყველა პროცესს მოიცავდა. ჟანა ყველა მიმართულებას იცნობდა. განყოფილების უფროსად დანიშვნის შემდეგაც არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ საორგანიზაციო საკითხებით და ჩვეულებრივ იყო ჩართული ნებისმიერ საქმეში: მკითხველთა მომსახურება იქნებოდა, ჟურნალ-გაზეთების კარტოთეკის აღწერა თუ ანოტირებული ბიბლიოგრაფიის შედგენა-რედაქტირება. ჟანა ქვათაძის ხელმძღვანელობით

ან უშუალო მონაწილეობით გამოვიდა ბევრი მნიშვნელოვანი ბიბლიოგრაფიული გამოცემა: ანოტირებული ბიბლიოგრაფიული საძიებელი „საქართველო“, კატალოგი „ქართული საარჩევნო პოლიტიკური პლაკატი“, სარეკომენდაციო საძიებელი „პუშკინი და საქართველო“, „მოსე ჯანაშვილი“: ბიბლიოგრაფია და სხვ.

მე ვისხენებ იმ ჟანას, რომელიც ყველას გვენატრება და რომელიც ადამიანებისადმი თანადგომის უჩვეულო უნარით გამოირჩეოდა. როცა ბიბლიოთეკაში რეფორმები დაიწყო, ქართველოლოგიის განყოფილების გამგე, კლარა რამიშვილი ჟანა ქვათაძემ შეცვალა. წინა თაობისთვის სამსახურიდან გაშვება მტკივნეული აღმოჩნდა. ჟანამ ყველაფერი იღონა, რომ უფროსი თაობის შრომა დაფასებულიყო, მათი გამოცდილება არ დაკარგულიყო და ქალბატონი კლარა ხელშეკრულებით დააბრუნებინა ბიბლიოთეკის მაშინდელ ხელმძღვანელობას. მისგან ეს საქციელი არავისთვის ყოფილა მოულოდნელი.

უყვარდა სხვებისთვის დღესასწაულების მოწყობა. ბედნიერებისაგან დაღლილი იყო, როცა ბიბლიოთეკის ოცდაათ თანამშრომელს უმასპინძლა რაჭაში, თავის საყვარელ სოფელ ჩორჯოში. თავისებური რიტუალი იყო მისი ყოველი გამასპინძლება ფინჯანი ყავით. სლaidებით ტრიალებს თვალწინ ჩვენი ორმოცდაშვიდწლიანი ურთიერთობის კადრები.

„ – ნეტავი, იქ თეატრი არის?“ – უკითხავს თურმე აკაკი ვასაძეს.

„ – ნეტავი, იქ ბიბლიოთეკა არის?“ – ვკითხულობ მე და ძალიან მინდა, რომ იყოს და ჟანა ისევ საყვარელ განყოფილებაში მუშაობდეს.

სამწუხაროდ, წლებთან ერთად თითოეულის ცხოვრებაში ტკივილიც ბევრდება და ჩვენც გაგვევრია „თაფლში მწარე ნალღევი“. ბევრმა საყვარელმა ადამიანმა დაგვტოვა, მაგრამ ყველას წასვლის მიზეზი ვიცოდით. მარტო ჟანას წასვლას ვერ დავარქვით სახელი. თითქოს გვამზადებდა ამისთვის, მაგრამ ვერავინ დაგვაჯერა. დაუფინყარია მისი ბოლო მოსვლა სამსახურში და ტელეფონზე მასთან უკანასკნელი საუბარი.

ძნელად დავნერე ეს მცირე მოგონება წარსულ დროში...

ჩემო ჟანა, სულ გისხენიებ ლოცვებში, გინთებ სანთელს, ეკლესიაში შენს სახელზე გადავცემ მოსახსენიებელს... მაინც ვერ გაგაწარსულე...

## თინათინ ყანდარელის გახსენება

### საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ღვაწლმოსილი ბიბლიოგრაფი



ვინც კი ყოფილა საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ აუცილებლად დაამახსოვრდებოდათ ინტელიგენტი, თავმდაბალი, ღვთისსათნო, თავისი საქმის უბადლო მცოდნე, ღვაწლმოსილი ქალბატონი თინათინ ყანდარელი – თინა დეიდა.

თინათინ კონსტანტინეს ასული ყანდარელი დაიბადა 1933 წლის 12 იანვარს, თბილისში. მისი მშობლები – ელენე სოკოლოვა და კონსტანტინე ყანდარელი რეპრესირებულ იყვნენ 1937 წელს. მამა, რომელიც თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის დამაარსებელი და პირველი დირექტორი

იყო – დახვრიტეს, დედა კი, 11 წლით გადაასახლეს ყაზახეთში, აკმოლინსკის სამშობლოს მოღალატეთა ცოლების (ამზირ) მკაცრი რეჟიმის ბანაკში. მშობლების გარეშე დარჩენილი ბავშვები მოხუცმა ბებია ალზარდა, რომელიც იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III ციციქიშვილის მომვლელი ქალბატონი.

1941-51 წლებში თინათინ ყანდარელი სწავლობდა ჯერ თბილისის 42-ე საშუალო სკოლაში, შემდეგ – ქალთა მე-8 საშუალო სკოლაში. 1951-56 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე. სკოლის ასაკიდან თინათინ ყანდარელი აქტიურ სპორტულ ცხოვრებას ეწეოდა. იყო საქართველოს რეკორდსმენი მსუბუქ ათლეტიკაში, ასევე უნივერსიტეტის მოცურავეთა, საკალათბურთო და მოთხილამურეთა გუნდების წევრი. 1956-62 წლებში მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტში, უმცროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე. 1960 წელს შექმნა ოჯახი. მეუღლე – საქართველოს დამსახურებული მხატვარი, მოქანდაკე გურამ კორძახია, გარდაიცვალა 1970 წელს. ჰყავს ორი ქალიშვილი – ქეთევან (1961) და ნინო (1964) კორძახიები. 1963-65 წლებში მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში უმცროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე. 1965-93 წლებში მუშაობდა სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „მიონში“, ინჟინრის, უფროსი ინჟინრის, წამყვანი ინჟინრის, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფროსის და ინფორმაციის განყოფილების უფროსის თანამდებობებზე.



თინათინ ყანდარელი აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში. იგი 12 წელი ხელმძღვანელობდა სანარმოო გაერთიანება „მიონის“ პროფესიულ კავშირს. მაღალი კვალიფიკაციის, მიღწეული წარმატებებისა და შრომისმოყვარეობისთვის თინათინ ყანდარელი დაჯილდოვებული იყო ორი ორდენით „სახელოვანი შრომისთვის“, მედლით „მრავალწლიანი კეთილსინდისიერი შრომისთვის“, საპატიო სიგელებითა და დიპლომებით.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ქალბატონმა თინამ 1992 წლის 5 მაისიდან მუშაობა დაიწყო საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში, ბიბლიოგრაფის პოზიციაზე. მეოცე საუკუნის 80-იან წლებში, ახლად აღდგენილ საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში უამრავი აუცილებელი საქმე იყო გასაკეთებელი, მათ შორის, პირველ რიგში, წიგნების სრული აღწერა-კატალოგიზაცია: ანბანური, სისტემური, საგნობრივ-თემატური და ანალიტიკური კარტოთეკების შექმნა. ამ საქმის შესასრულებლად ბიბლიოთეკის თანამშრომლებს სათავეში ჩაუდგა ქალბატონი თინათინი. მისი მეთაურობით განხორციელდა ქართულ, (მხედრულ-ხუცურ), რუსულ, სლავურ, ბულგარულ, ფრანგულ, ინგლისურ, ბერძნულ, გერმანულ, სომხურენოვანი წიგნების სრული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა. შეიქმნა ანბანური, სისტემური და საგნობრივი კატა-

ლოგები. სისტემურად გაეწყო და მოწესრიგდა წიგნთსაცავი. წესრიგში იქნა მოყვანილი უცხოენოვანი წიგნები და პერიოდიკა.

ბიბლიოგრაფიული საქმიანობის პარალელურად ქალბატონი თინათინი ემსახურებოდა ბიბლიოთეკაში მოსულ მკითხველებს: სასულიერო პირებს, აკადემია-სემინარიის სტუდენტებს. ეხმარებოდა მათ სასურველი ლიტერატურის მოძიებაში. შრომისმოყვარეობასთან ერთად ქალბატონი თინა თანამშრომლებს შორის გამოირჩეოდა განსაკუთრებული პატიოსნებით, მონყალების გაღებით და ღვთისსათნობით. მას არასოდეს ავიწყდებოდა თანამშრომელთათვის ღირსშესანიშნავი დღეების აღნიშვნა. იგი წელიწადში სამჯერ (ახალ წელს, აღდგომასა და დაბადების დღეს), თანამშრომლების სამუშაო ადგილებზე სიურპრიზად საჩუქრებს გვახვედრებდა. დიდია მისი ამაგი საქართველოს ეკლესიისა და საპატრიარქოს ბიბლიოთეკის წინაშე. თინათინ ყანდარელი გარდაიცვალა 2021 წლის 1 ივლისს. დაკრძალულია მეუღლის, გურამ კორძახიას გვერდით, თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ქალბატონი თინათინის უკვდავი სული და დაამკვიდროს, სადაც მართალნი განისვენებენ, ამინ.

*კონსტანტინე ალიბეგაშვილი,  
ბიბლიოგრაფი*





**დავით გიგინიშვილი**

ხელოვნების კრიტიკოსი,  
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

# ვიტორიო დე სიკას გაკვეთილები ფილმი ბიბლიოთეკის თაროდან

ცნობილ იტალიელ რეჟისორს და მსახიობს, ვიტორიო დე სიკას ქართველი მაყურებელი კარგად იცნობს. წარსული საუკუნის მინურულს მისი ნეორეალისტური („ველოსიპედების გამტაცებლები“, „ჩოჩარა“) და კომედიური ჟანრის („ქორწინება იტალიურად“, „გუშინ, დღეს და ხვალ“) ფილმები ფართოდ იყო გავრცელებული და გადიოდა როგორც ეკრანზე, ასევე ტელევიზიით. მაგრამ არის კი ეს საკმარისი იმისათვის, რომ გაიცნო რეჟისორის შემოქმედება, რომელსაც 35 ფილმი აქვს გადაღებული, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მსახიობის ამპლუაში იგი 150-ზე მეტ ფილმში არის გადაღებული?! ამიტომაც ინტერესით გავეცანი მის ადრეულ რეჟისორულ ნამუშევარს, ფილმს – „გარიბალდიელი მონასტერში“ (Un garibaldino al convento), რომელიც შორეულ 1942 წელს არის შექმნილი. ფილმის ქართველი მნახველი უდავოდ გაავლებს პარალელებს დღევანდელ ქართულ რეალობასთან, რამაც ამ წერილის დაწერას შეუწყო ხელი.

ფილმის სიუჟეტს გადავყავართ XIX საუკუნის მეორე ნახევრის იტალიაში, რისორჯიმენტოს (იტალიის გაერთიანების) ეპოქაში. მაგრამ სიუჟეტური ხაზი მხოლოდ პოლიტიკურ პერიპეტეიებზე არ გადის. ორი ახალგაზრდა ქალიშვილი – მარიელა დომინიანი და კატერინეტა ბელელი ხდებიან სამონასტრო სკოლის, სანტა როსანას მოსწავლეები. მათ არაფერი აერთიანებთ – მარიელა არის არისტოკრატიული, მატერიალურად გაკოტრებული, მაგრამ ამაყი და ამპარტავანი საზოგადოების წარმო-

მადგენელი, კატერინეტა კი, – პირიქით, ახალგაზრდა ბურჟუაზიის წრეს ეკუთვნის, რომელსაც კაპიტალი და ამბიციები გაუჩნდა. ისინი ქალაქშიც ქუჩის საპირისპირო მხარეს ცხოვრობენ და ერთი თვალის გადავლებითაც ჩანს, რომ მათ შორის ანტაგონიზმი გარდაუვალია. თუმცა იტალიელ რეჟისორს იუმორს რა დაუღევს და აი, დე სიკას ფილმში შემოაქვს მესამე სიუჟეტური ხაზი – შემოჰყავს კატერინეტას ბიძა, ჯიაჩინტო ბელელი, საიდუმლოდ შეყვარებული მარიელას მამიდაზე – მარკიზა დომინიანიზე. ჯიაჩინტო ბელელი ცდილობს რა, მონახოს საშუალება გალანტურად გაუხსნას მარკიზას გული, უკითხავს მას თავის სასიყვარულო ლექსებს. მაგრამ მარკიზა შეუდრეკელია. ამ დროს, მარკიზას მყარ იზოლაციონიზმს მოულოდნელად სისუსტე გამოუჩნდება – მისი უდიდებულესობის ეტლი, სუსტი და მო-

ვიტორიო  
დე სიკა



GARIBALDINO-DE LPOGGIO (მარცხენი)  
MERCADER (მარჯვნივ)

უფლელი ცხენების გადაღლის გამო, ვერ დაძლევს მოგზაურობას ქალაქიდან სამონასტრო სკოლამდე და იმავე გზაზე, იმავე მიზნით მყოფი კატერინეტას ბიძა დაუთმობს მარკიზას თავის ეტლს.

მონასტერში, სადაც ისინი ჩავლენ და სადაც ერთმანეთს დაპირისპირებული ქალიშვილები სწავლობენ, უცნაური ამბავი დატრიალდება, რამაც გოგონები ერთმანეთთან დაახლოვა და მათი დაპირისპირება დააცხრო. დედათა მონასტრის ტერიტორიაზე, მონასტრის მცველის – ტიეპოლოს საგუშაგოში თავშესაფარს ნახავს დაჭრილი ახალგაზრდა გარიბალდიელი ოფიცერი, რომელსაც ბურბონების სამხედროები ეძებენ. გარიბალდიელი, გრაფი ფრანკო ამიდეი, აღმოჩნდება მარიელას შეყვარებული. თუმცა კატერინეტამ ამაზე არაფერი იცის და ორივე ქალიშვილს დაჭრილისადმი თანაგრძობა, მისი სიცოცხლის გადარჩენა და მონასტ-



LEONARDO-CORRTESE-E-MARIA-MERDADER

რის ხელმძღვანელებისაგან მისი დამალვა გააერთიანებთ. სამწუხაროდ, დაჭრილ მამაკაცს უეცრად მონაზონი იგნაცია აღმოაჩენს და გაამხელს დედათა მონასტრის წინამძღვართან. მონასტრის ტერიტორიას ბურბონელი ჯარისკაცები ალყას შემოარტყამენ და გარიბალდიელის აყვანას შეეცდებიან. კატერინეტა არ დაიბნევა, ცხენით გაარღვევს მონასტრის ალყას და მოიყვანს გარიბალდიელ მხედრებს დაჭრილის გასათავისუფლებლად.

ფილმი იწყება სწორედ იმ სურათით, როდესაც ამ რომანტიკულ ამბავს, უკვე ქალარა კატერინეტა უყვება თავის ორ შვილიშვილს მაშინ, როდესაც სტუმრად ეწვევა მარტოხელა მარინელას. მარინელა კი იმ დღემდე სიფრთხილით და სიფაქიზით, სამუდამოდ ინახავდა სიყვარულს ომიდან შინდაუბრუნებელი გრაფ ამიდეის მიმართ.

ეს კომედიური სცენებით სავსე დრამა ასახავს დაპირისპირებულ სამყაროებს (არისტოკრატია და ბურჟუაზია, ბურბონები და აჯანყებული გარიბალდიელები), რომლებიც, მიუხედავად მწვავე პოლარიზაციისა, მაინც გამონახვენ საერთო ენას: კატერინეტა და მარინელა დამეგობრდებიან. იტალია კი გაერთიანდება. სიყვარულით, სითბოთი და შემწყნარებლობით სავსე ვიტორიო დე სიკას ფილმი საინტერესო სანახავია ახლაც, რადგან წარმოადგენს დიდი ოსტატის ჰუმანისტური შემოქმედების ერთ-ერთ ნამუშევარს. ფილმის სცენარი ეყრდნობა რენატო ანჯიოლილოს მოთხრობას. მის შექმნაში მიიღო მონაწილეობა სცენარისტების მთელმა ჯგუფმა ადოლფო ფრანჩისა და ვიტორიო დე სიკასთან ერთად. ეს შავთეთრი ფილმი გამოირჩევა როგორც რეალისტური მხატვრული გაფორმებით, ასევე კოსტიუმებით და მსახიობთა კარგი თამაშით (მარია მერკადერი მარინელას როლში და კარლა დელ პოჯო კატერინეტას როლში). გარიბალდიელ ცხენოსანთა ოფიცრის პატარა როლში თავად რეჟისორს, ვიტორიო დე სიკას შევხვდებით.

და ბოლოს, ფილმის მოყვარულებს ვურჩევდი, ერთხელ კიდევ გადაავლონ თვალი დიდი მსახიობისა და რეჟისორის – ვიტორიო დე სიკას სიყვარულის, მეგობრობის, ერთგულებისა და, ამავე დროს, იტალიელი ერის გამთლიანებისათვის ბრძოლის ჭირვეული დროის გამომხატველ ამ მშვენიერ ფილმს.






# საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის 2021 წლის გამოცემები




**მირიან ხოსიტაშვილი, სალომე ჭანტურიძე, ანა ბარბაქაძე.** მწვანე ქალაქი: [ალბომი] / წინასიტყვაობა გიორგი კვეციტაძისა; რედაქტორი კატო ჯავახიშვილი ; თარგმნა მარინე ჭყონიამ; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ., 2021. -249 გვ.




**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) შეიარაღებული ძალები:** [ალბომი] / დიმიტრი სილაქაძე, მიხეილ ბახტაძე, მამია ბალახაძე (ბრიგადის გენერალი), დავით რაზმაძე (პოლკოვნიკი), მირიან ხოსიტაშვილი, სალომე ჭანტურიძე, ანა ბარბაქაძე; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ., 2021 -174 გვ.



**სალომე ჭანტურიძე, მირიან ხოსიტაშვილი.** საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1918-1921 სამუსიკო ცხოვრება /რედაქტორი კატო ჯავახიშვილი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ., 2021 – 132 გვ.




**ალექსანდრე ელერდაშვილი.** ქართველი პოეტები: [ენციკლოპედია] / რედაქტორი ვახტანგ ელერდაშვილი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ., 2021. – 434 გვ.



**ვიქტორ ნოზაძე.** თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტომი IV: ვეფხისტყაოსანის საზოგადოებათმეტყველება / გურამ შარაძის საერთო რედაქციით; მე-4 ტომის რედაქტორი თამაზ ტყემალაძე; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ., 2021. - 577 გვ.




**მერაბ დაღანიძე.** ლიტერატურა, კულტურა, რელიგია. ტომი 1: [კრებული 2000-2009] / ქრისტიანული თეოლოგიის კულტურის ცენტრი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ., 2021. – 527 გვ.




**მერაბ დაღანიძე.** ლიტერატურა, კულტურა, რელიგია. ტომი 2/1: [კრებული 2010-2019] / ქრისტიანული თეოლოგიის კულტურის ცენტრი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ., 2021. – 487 გვ.



**მერაბ დაღანიძე.** ლიტერატურა, კულტურა, რელიგია. ტომი 2/2: [კრებული 2010-2019] / ქრისტიანული თეოლოგიის კულტურის ცენტრი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ., 2021. – 495 გვ.



**ლუიზე ლამბერგი, მიკაელ ალექსანდერსონი.** სასკოლო ბიბლიოთეკა, როგორც სასწავლო სივრცე /რედ.: ლაშა გველესიანი, მარიამ ხოფერია; ინგლისურიდან თარგმნა გიორგი კილაძემ; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ., 2021. - 75 გვ.



**თამაზ ჯოლოგუა.** დიმიტრი ყიფიანი. თხზულებანი. ტომი VI: საჯარო სიტყვები, სხვადასხვა დაუმთავრებელი / შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებო დაურთო თამაზ ჯოლოგუამ; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ., 2021. – 588 გვ.

## უკრაინის ბიბლიოთეკები ღდას



მარიუპოლის საჯარო ბიბლიოთეკის ნანგრევები



უკრაინელი ბავშვის გზავნილი ბიბლიოთეკის კედლებიდან

# უკრაინის ჰიმნი

არ მომკვდარა უკრაინის დიდება და ნება,  
ქვაბო, უკრაინელაბო, ჩვენი ღროც იქნება.  
გაქრებიან ჩვენი მტრები, როგორც მზადა ნაში,  
დაგვიდგება ჩვენაც, ქვაბო, აღმავების ჟამი.

მოვრწყათ, ქვაბო, მტრების სისხლით სიანი და ღონი,  
ვინც ჩვენს მხარეს თვალს დაადგამს, დავუბნელოთ გონი.  
გაგვიღიებას შავი ზღვა და ჩვენი დნიპრო-კაპა,  
გადნიერი სვე ენვევა უკრაინის მთა-ბარს.

ჩვენი გარჯა, შეგართება ბევრჯერ გვასახელებს,  
შვების ჰანგი გადაუვლის უკრაინის ველაბს,  
კარკაბებსაც გადაუვლის თავისუფალ ფრთებით,  
უკრაინის დიდებაზე შეკრთებიან მტრები.

სულსაც, სორცსაც ვანაცვალაბთ, შვაბას ჩვენის მხარის,  
დავაბტკიცაბთ, რომ ვართ, ქვაბო, ჩვენ კაგაკთა გვარის.

კავლო ჩუბინსკი (1839-1884)

თარგმნა რაულ ჩილაჩავაძე